

ISSN 1512-0449

# ამირანი



კავკასიოლოგიის საერთაშორისო  
სამეცნიერო-კვლევითი  
საზოგადოებრივი ინსტიტუტის

**მოაზგა**

**AMIRANI**

Journal  
of the International Caucasological  
Research Institute

მონრეალი – თბილისი

Montréal - Tbilisi

# ამირანი

კავკასიოლოგიის საერთაშორისო სამეცნიერო-  
კვლევითი საზოგადოებრივი ინსტიტუტის

## მოამბე

# AMIRANI

## Journal

of the International Caucasological Research Institute

## Mitteilungsblatt

des Internationalen Kaukasiologischen gesellschaftlichen  
wissenschaftlichen Forschungsinstitutes

# АМИРАНИ

## Вестник

Международного Кавказологического  
Научно-исследовательского  
Общественного Института

# XXXVII

Montréal-Tbilisi

2023

ჟურნალ ამირანში ქვეყნდება სტატიები კავკასიის ხალხთა ენების, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნიკური ყოფისა და ხელოვნების შესახებ. ჟურნალში ასევე იბეჭდება ნებისმიერი თემატიკის სამეცნიერო სტატია, რომელიც ზოგადად კავკასიას შეეხება. სტატიები შეიძლება წარმოდგენილი იყოს როგორც ქართულ (ვრცელი რეზიუმეთი ინგლისურ ენაზე), ასევე – ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ და რუსულ (ვრცელი რეზიუმეთი ქართულად და ინგლისურად) ენებზე.



The ICRI publishes the journal of Caucasology, entitled Amirani. Articles concerning the peoples, cultures and languages of the Caucasus, from the perspective of any of the humanities or social sciences, will be considered for publication. The articles may be written in English, French, Georgian, German, Russian, or any other language accessible to a significant number of Caucasologists.

By having each volume of Amirani available online, it vastly increases the accessibility of these materials to those who are interested in this particular topic. It also invites those who have already gained completed significant studies on the Caucasus region to submit relevant and scholarly articles for publication. Archived articles are also available on this website, as is information on events of interest and other information-sharing activities.

The papers will be published after peer review by the Publishing-Editorial board.

სტატიებში გამოთქმული ხედვები და მოსაზრებები ავტორების აზრია და შეიძლება არ ასახავდეს რედაქციის ოფიციალურ პოლიტიკას და პოზიციას.

**The views and opinions expressed in articles are those of the authors and do not necessarily reflect the official policy or position of the editorial board.**

**Взгляды и мнения, выраженные в статьях, принадлежат авторам и не обязательно отражают официальную политику или позицию редакционной коллегии.**

შინაარსი ◆ Contents ◆ Inhalt ◆ Содержание

არქეოლოგია ◆ Archaeology ◆ Археология

**პაატა ბუხრაშვილი**

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ჰალეს მარტინ ლუთერის უნივერსიტეტის მიერ, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში, 2022 წელს ჩატარებული ერთობლივი არქეოლოგიური სამუშაოების შუალედური ანგარიში ..... 5

**თინა აბულაშვილი**

მარნეულის ყორანები ..... 12

**Tina Abulashvili**

Marneuli Kurgans ..... 18

**ლერი ჯიბლაძე**

რეცენზია გიორგი ბედიანაშვილის და ები რობინსონის მონოგრაფიულ გამოკვლევებზე „ლითონი, რიტუალი და განადგურება (ლითონის ნივთების განზრახ დაზიანება საქართველოში ბრინჯაო-ადრერკინის ხანის განძებში და სამარხებში)“, თბილისი, 2022 ..... 25

ისტორია ◆ History ◆ История

**დავით მერკვილაძე**

ტყვეთა სყიდვა XVII საუკუნის დასავლეთ საქართველოში უცხოელ ავტორთა ცნობების მიხედვით ..... 31

**Davit Merkviladze**

Trade in captive slaves in 17<sup>th</sup> century Western Georgia according to reports of foreign authors ..... 56

**Ярослав Пилипчук**

Абхазский и Цхинвальский вопросы в истории Грузии XX века ..... 57

**Yaroslav Pylypchuk**

Abkhaz and Tskhinvali questions in the history of Georgia in the 20<sup>th</sup> century ..... 88

**Ярослав Пилипчук**

«Пороховой погреб» Российской Федерации. Северный Кавказ второй половины XX в. – начала XXI в. .... 90

**Yaroslav Pylypchuk**

“Powder cellar” of the Russian Federation North Caucasus in the second half of the 20<sup>th</sup> century - the beginning of the 20<sup>th</sup> century ..... 142

**Ярослав Пилипчук**

От Баркука до Туманбая II. Черкесские мамлюки в Египте ..... 144

**Yaroslav Pylypchuk**

Circassian Mamluks in Egypt ..... 175

**უჩა ოქროპირიძე**

კიდევ ერთხელ „თურქი-მესხების“ პრობლემის შესახებ ..... 177

**Ucha Okropiridze**

Once again on the problem of “Turk Meskhs” ..... 191

**გიორგი ლალიაშვილი**

რამდენიმე შენიშვნა მანანა სანაძის მონოგრაფიაზე: „მეფე დარჩილი (ვახტანგ გორგასლის ვაჟი) და მისი ცხოვრების ამსახველი ქრონიკები“ ..... 192

მოგონებანი ◆ Memories ◆ Воспоминания

„ჩაის სახლი“ ანუ რამდენიმე სურათი გასული საუკუნის 70-80-იანი წლების სტუდენტური ცხოვრებიდან ..... 202

ჟურნალ ამირანში ქვეყნდება სტატიები კავკასიის ხალხთა ენების, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნიკური ყოფისა და ხელოვნების შესახებ. ჟურნალში ასევე იბეჭდება ნებისმიერი თემატიკის სამეცნიერო სტატია, რომელიც ზოგადად კავკასიას შეეხება. სტატიები შეიძლება წარმოდგენილი იყოს როგორც ქართულ (ვრცელი რეზიუმეთი ინგლისურ ენაზე), ასევე – ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ და რუსულ (ვრცელი რეზიუმეთი ქართულად და ინგლისურად) ენებზე.



The ICRI publishes the journal of Caucasology, entitled Amirani. Articles concerning the peoples, cultures and languages of the Caucasus, from the perspective of any of the humanities or social sciences, will be considered for publication. The articles may be written in English, French, Georgian, German, Russian, or any other language accessible to a significant number of Caucasologists.

By having each volume of Amirani available online, it vastly increases the accessibility of these materials to those who are interested in this particular topic. It also invites those who have already gained completed significant studies on the Caucasus region to submit relevant and scholarly articles for publication. Archived articles are also available on this website, as is information on events of interest and other information-sharing activities.

The papers will be published after peer review by the Publishing-Editorial board.

სტატიებში გამოთქმული ხედვები და მოსაზრებები ავტორების აზრია და შეიძლება არ ასახავდეს რედაქციის ოფიციალურ პოლიტიკას და პოზიციას.

**The views and opinions expressed in articles are those of the authors and do not necessarily reflect the official policy or position of the editorial board.**

**Взгляды и мнения, выраженные в статьях, принадлежат авторам и не обязательно отражают официальную политику или позицию редакционной коллегии.**

შინაარსი ◆ Contents ◆ Inhalt ◆ Содержание

არქეოლოგია ◆ Archaeology ◆ Археология

**პაატა ბუხრაშვილი**

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ჰალეს მარტინ ლუთერის უნივერსიტეტის მიერ, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში, 2022 წელს ჩატარებული ერთობლივი არქეოლოგიური სამუშაოების შუალედური ანგარიში ..... 5

**თინა აბულაშვილი**

მარნეულის ყორანები ..... 12

**Tina Abulashvili**

Marneuli Kurgans ..... 18

**ლერი ჯიბლაძე**

რეცენზია გიორგი ბედიანაშვილის და ები რობინსონის მონოგრაფიულ გამოკვლევებზე „ლითონი, რიტუალი და განადგურება (ლითონის ნივთების განზრახ დაზიანება საქართველოში ბრინჯაო-ადრერკინის ხანის განძებში და სამარხებში)“, თბილისი, 2022 ..... 25

ისტორია ◆ History ◆ История

**დავით მერკვილაძე**

ტყვეთა სყიდვა XVII საუკუნის დასავლეთ საქართველოში უცხოელ ავტორთა ცნობების მიხედვით ..... 31

**Davit Merkviladze**

Trade in captive slaves in 17<sup>th</sup> century Western Georgia according to reports of foreign authors ..... 56

**Ярослав Пилипчук**

Абхазский и Цхинвальский вопросы в истории Грузии XX века ..... 57

**Yaroslav Pylypchuk**

Abkhaz and Tskhinvali questions in the history of Georgia in the 20<sup>th</sup> century ..... 88

**Ярослав Пилипчук**

«Пороховой погреб» Российской Федерации. Северный Кавказ второй половины XX в. – начала XXI в. .... 90

**Yaroslav Pylypchuk**

“Powder cellar” of the Russian Federation North Caucasus in the second half of the 20<sup>th</sup> century - the beginning of the 20<sup>th</sup> century ..... 142

**Ярослав Пилипчук**

От Баркука до Туманбая II. Черкесские мамлюки в Египте ..... 144

**Yaroslav Pylypchuk**

Circassian Mamluks in Egypt ..... 175

**უჩა ოქროპირიძე**

კიდევ ერთხელ „თურქი-მესხების“ პრობლემის შესახებ ..... 177

**Ucha Okropiridze**

Once again on the problem of “Turk Meskhs” ..... 191

**გიორგი ლალიაშვილი**

რამდენიმე შენიშვნა მანანა სანაძის მონოგრაფიაზე: „მეფე დარჩილი (ვახტანგ გორგასლის ვაჟი) და მისი ცხოვრების ამსახველი ქრონიკები“ ..... 192

მოგონებანი ◆ Memories ◆ Воспоминания

„ჩაის სახლი“ ანუ რამდენიმე სურათი გასული საუკუნის 70-80-იანი წლების სტუდენტური ცხოვრებიდან ..... 202



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ჰალდეს  
მარტინ ლუთერის უნივერსიტეტის მიერ,  
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში, 2022  
წელს ჩატარებული ერთობლივი არქეოლოგიური  
სამუშაოების  
შუალედური ანგარიში

პროფ. პაატა ბუხრაშვილი  
(ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი)  
paata@iliauni.edu.ge

მიმდინარე საანგარიშო 2022 წელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში შემუშავებული სასწავლო-კვლევითი პროექტის – „კავკასიაში სახელმწიფოებრივობის სათავეებთან“ ფარგლებში, გაერთიანებული ქართულ-გერმანული არქეოლოგიური ექსპედიცია,<sup>1</sup> რომელიც ქართველი და გერმანელი პროფესორებისა და სტუდენტებით არის დაკომპლექტებული და რომელიც ფინანსდება გერდა ჰენკელის ფონდის (<https://www.gerda-henkel-stiftung.de/>), გერმანიის აღმოსავლური საზოგადოების (<http://www.orient-gesellschaft.de/>) და ჰალლეს უნივერსიტეტის (<https://www.uni-halle.de/>) მიერ, 2017-2021 წლებში დანყებული გათხრითი სამუშაოების განახლებას გეგმავდა:

1. სოფ. სამრეკლოს მახლობლად მდებარე ე. წ. „საყარაულო სერზე“ და
2. მთა „ნაზარლებზე“, წინა წლებში გამოვლენილი სამლოცველოს შესასწავლად.

საქმე იმაში გახლავთ, რომ აღნიშნული საერთაშორისო საუნივერსიტეტთაშორისო პროექტი, ბოლონის პროცესის<sup>2</sup> შემადგენელი ნაწილია და თავისი შინაარსით სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო ხასიათისაა, რაც თავის მხრივ გულისხმობს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი პრაქტიკული სამუშაოების კალენდარულ თანხვედრას.

ანუ, ხსენებული პროექტის პრაქტიკული (საველე-გათხრითი სამუშაოები) ნაწილის განხორციელება, მხოლოდ სასწავლო სემესტრულ პერიოდებს შორისაა შესაძლებელი, კერძოდ კი, მხოლოდ აგვისტო-სექტემბრის თვეებში.

გამომდინარე ყოველივე ზემოთ თქმულიდან, ჯერ კიდევ მიმდინარე წლის დასაწყისში, 2022 წლის თებერვალ-მარტში,

<sup>1</sup> ექსპედიციის შემადგენლობა: პროფ. პაატა ბუხრაშვილი (ექსპედიციის ხელ-ი, ილიას სახ. უნივერსიტეტი), პროფ. ფელიქს ბლოხერი (ჰალლეს უნივერსიტეტი), დოქტ. სიმონე არნჰოლდი (ჰალლეს უნივერსიტეტი), ზურაბ ცქვიტინიძე (ილიას სახ. უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი), დოქტ. საბინა ბროდბეკ-იუკერი (ციურიხი, შვეიცარია), დოქტ. რენე კუნცე (ჰალლეს უნივერსიტეტი), ჰაიკო შტაინვანდი (Steichardt&Wedekind), შორენა დავითაშვილი (სადოქტორო პროგრამის სტუდენტი, ილიას სახ. უნივერსიტეტი), ლიკა ლოლაშვილი (სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი, ილიას სახ. უნივერსიტეტი), ელენე დავითაშვილი (სტუდენტი, ილიას სახ. უნივერსიტეტი), ბეატრის ვოლნი (სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი, ჰალლეს უნივერსიტეტი), იულია ფიშერი (სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი, ჰალლეს უნივერსიტეტი), სამანტა პეტრელა (სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი), კლაუდია მიულერი (სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი), როლანდ ფრანკი (სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი), მორიც ნოიბაუერი (სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი).

<sup>2</sup> ევროპის ქვეყნების განათლების სისტემების დაახლოებისა და ჰარმონიზაციის პროცესი.

აღნიშნულ ორ უნივერსიტეტს შორის შედგა სავსებით სამუშაოების ჩატარების გრაფიკი<sup>3</sup> რომელიც, გამომდინარე ორი საკვლევი ძეგლის ხასიათიდან, განისაზღვრა ორ ნაწილად:

1. „საყარაულო სერი“ – 2022 წლის 03 აგვისტოდან 31 აგვისტომდე პერიოდი. ამასთანავე, განისაზღვრა, რომ ამ ძეგლზე, კალენდარულად ამავე დროს, დაგეგმილ სავსელ სამუშაოებში ჩაერთვებოდნენ, VolkswagenStiftung-ის მიერ დაფინანსებული<sup>4</sup> და ამავე პერიოდში საქართველოსა და სომხეთში მიმდინარე საერთაშორისო საზაფხულო სადოქტორო სკოლის მუშაობაში მონაწილე დოქტორანტები.

2. მთა „ნაზარლებზე“ წინა წლებში გამოვლენილი გვიანი ბრინჯაო-ადრე რკინის ხანის სამლოცველოს პირველი ეტაპის გათხრითი სამუშაოების დასრულება – 2022 წლის 21 აგვისტოდან 20 სექტემბრამდე პერიოდი.

შესაბამისად, მიმდინარე წლის 22 აგვისტოდან - 31 აგვისტომდე პერიოდში, განსაზღვრული იყო პარალელურად მოქმედი VolkswagenStiftung-ის საერთაშორისო სადოქტორო სკოლის მსმენელთა პრაქტიკული ჩართვა ორივე ძეგლზე დაგეგმილ არქეოლოგიურ სამუშაოებში.

აქვე განვმარტავთ, რომ ორივე ძეგლს, სახელმწიფოსგან უკვე მინიჭებული აქვს უძრავი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი, რაც თავის მხრივ გულისხმობს იმას, რომ სტატუსის მიმნიჭებელი დაწესებულების სათანადო რეესტრში, ჩვენს მიერ, წინა წლებში მიწოდებული ანგარიშების საფუძველზე, ზუსტადაა დაფიქსირებული ორივე ძეგლის შესაბამისი კოორდინატებიცა და ტერიტორიალური მდებარეობა, თანმდევი ნახაზებითურთ.

არსებული კანონმდებლობის შესაბამისად, მიმდინარე წლის 6 ივნისს, მოთხოვნილი ჩამონათვალის შესაბამისად, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოში, სავსელ გათხრითი სამუშაოების ჩასატარებელი სამუშაოების ნებართვის მისაღებად, ჩვენს მიერ შემოტანილი იქნა ყველა საბუთი:

1. განცხადება გენ. დირექტორის სახელზე;
2. კვლევითი სამუშაოების გეგმა პროექტი;
3. კვლევითი სამუშაოების მცირე გეგმა-პროექტი;
4. თანხმობა დედოფლისწყაროს მუნიციპალური მუზეუმიდან მოპოვებული არქეოლოგიური მასალის მასალის განთავსების თაობაზე.

<sup>3</sup> რომლის მიხედვითაც, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოსგან მოვითხოვეთ არქეოლოგიური სამუშაოების სანებართვო მოწმობა მიმდინარე წლის 01.08-იდან 01.10-მდე.

<sup>4</sup> <http://portal.volkswagenstiftung.de/search/projectPDF.do?projectId=9987>

5. თანხმობა, ადგილ „საყარაულო სერი“-ს მფლობელისგან, მის კუთვნილ მიწაზე არქეოლოგიური სამუშაოების ჩატარების თაობაზე.

6. თანხმობა, მთა „ნაზარლები“-ს მოიჯადარისგან, მის ტერიტორიაზე არქეოლოგიური სამუშაოების ჩატარების თაობაზე.

7. სახელმწიფო მოსაკრებელის (100 ლ) გადახდის დამდასტურებელი ქვითარი.

ყველაფერი ამის შემდეგ, ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, დამატებით წარმოსადგენი გახდა დამატებითი თანხმობის დოკუმენტები სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოდან და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიიდან იმ ტერიტორიების შესახებ, სადაც მდებარეობს აღნიშნული ძეგლები; და რომლებიც სარგებლობაში უკვე გაცემული აქვს აღნიშნულ უწყებებს კერძო მფლობელებზე (რომელთა ნოტარიანულად დამოწმებული თანხმობები, ჩვენს მიერ წარმოდგენილი იყო 6 ივნისს საერთო დოკუმენტაციასთან ერთად).

ჩვენს მიერ, ახალ ხსენებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის სააგენტომ, ჩვენს სახელზე გასცა არქეოლოგიური სამუშაოების სანებართვო მოწმობა № 5/12/51, რომლის მოქმედების ვადადაც განისაზღვრა პერიოდი მიმდინარე წლის 09 სექტემბრიდან 9 ნოემბრის ჩათვლით.

ნებართვის მიღების მომენტისთვის (09.09.2022) კი, ჩვენი ექსპედიცია (რომელიც წინდანინ შემუშავებული კალენდარული გეგმის მიხედვით უკვე ამა წლის აგვისტოს პირველი რიცხვიდან მიმდინარეობდა) უკვე დასასრულს უახლოვდებოდა.

**ამიტომ, გერმანული მხარის (რომელიც წარმოადგენს ექსპედიციის დამფინანსებელ მხარეს) თხოვნით გადაწყდა, რომ მიმდინარე წელს გათხრითი საველე სამუშაოები არ ჩატარებულიყო და ამ წლის სამუშაოებისთვის გამოყოფილი დრო, მთლიანად წინა წლებში მოპოვებული მასალის კამერალურ დამუშავებისთვის დაგვეთმო.**

აღნიშნულ სამუშაოებში, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის და მარტინ-ლუთერის უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტებთან ერთად (რომელთაგანაც არის დაკომპლექტებული ექსპედიცია) მონაწილეობა მიიღეს, VolkswagenStiftung-ის მიერ დაფინანსებული სადოქტორო სკოლის მსმენელებმაც.

გაცნობებთ, რომ ერთობლივმა ქართულ-გერმანულმა ექსპედიციამ, მიმდინარე წლის 03 აგვისტოდან 27 სექტემბრის პერიოდში მუშაობის მანძილზე, კამერალურად დაამუშავა წინა 2017-2021 წლებში ჩვენს მიერ მოპოვებული არქეოლოგიური მასალა,


რომელიც განთავსებულია დედოფლისწყაროს მუნიციპალური მუზეუმისა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი ბაზის საცავებში.

გაიწმინდა ძეგლზე მოპოვებული ბრინჯაოს მასალა და შეძლებისდაგვარად აღდგა კერამიკის ნაწარმი.

აგრეთვე, გერმანიის ქალაქ მანჰაიმის ლაბორატორიაში დამუშავდა ძეგლების ტერიტორიიდან აღებული ორგანულ ნიმუშები.

ამასთანავე, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს გვინდა მოგმართოთ თხოვნით, რომ თუ ეს შესაძლებელია, თქვენგან ჩვენდამი მონიჭებული არქეოლოგიური სამუშაოების სანებართვო მოწმობას № ნ/12/51, რამდენადაც მიმდინარე 2022 წელს იგი არ გამოგვიყენებია და ჩამოთვლილ ძეგლებზე არ გვინარმოებია გათხრითი სამუშაოები, გადაგვივადოთ მომდევნო კალენდარულ 2023 წლის 01.08-01.10 პერიოდისთვის, როდესაც ჩვენს ორივე უნივერსიტეტს, გამომდინარე თავისი აკადემიური საქმიანობიდან, შეუძლია აწარმოოს სავსე გათხრითი სამუშაოები ხსენებულ ძეგლებზე.

გარდა ამისა, ექსპედიციამ გადაიღო ნაზარლების სამლოცველოსა და ნამოსახლარის სრული ორთოფოტო, რის საფუძველზეც მომზადდა DEM (Digital Elevation Model) მოდელი, რომელიც სრულად წარმოაჩენს ძეგლის დაგეგმარების დეტალებს. ამის საფუძველზე მომზადდება სამეცნიერო ნაშრომი ნაზარლების ურბანულ განვითარებასა და ლანდშაფტურ არქეოლოგიაზე.



## ლიტერატურა

### **ბუხრაშვილი პ. და სხვ. 2017**

ბუხრაშვილი პ., ბლოხერი ფ., ცქვიტინიძე ზ., დავითაშვილი შ., (2017) ნაზარლების ნაქალაქარზე ჩატარებული ქართულ-გერმანული არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიში, ამირანი XXX, თბ. 2017 გვ. 5-17

### **ბუხრაშვილი პ. და სხვ. 2018**

ბუხრაშვილი პ., ბლოხერი ფ., ცქვიტინიძე ზ., დავითაშვილი შ., (2018) მთა „ნაზარლებზე“ (დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი) მიმდინარე ქართულ-გერმანული ერთობლივი არქეოლოგიური ექსპედიციის 2018 წლის სამუშაოების მოკლე ანგარიში; ამირანი XXXI, თბ. 2018; გვ. 5-27

### **ბუხრაშვილი პ. და სხვ. 2020**

ბუხრაშვილი პ., ბლოხერი ფ., ცქვიტინიძე ზ., დავითაშვილი შ., ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ჰალლეს მარტინ ლუთერის უნივერსიტეტის მიერ, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში 2019 წელს ჩატარებული ერთობლივი არქეოლოგიური სამუშაოების მოკლე ანგარიში., ამირანი XXXII, თბ. 2020; გვ. 9-23

### **ბუხრაშვილი პ., ბახსოლიანი ნ., 2022**

ბუხრაშვილი პ., ბახსოლიანი ნ., „ორნამენტირებული“ ორპირი ცული ნაზარლების სამლოცველოდან/Ornamented double ax from the Nazarlebi sanctuary, ამირანი XXXVI, მონრეალი/თბილისი. 2022, გვ. 62-79

### **Arnhold et al. 2019**

Simone Arnhold, Paata Bukhrashvili, Shorena Davitashvili, Bericht zu den Ausgrabungen in Samreklo Municipality Dedoplistskaro 2019. Amirani XXXII, 2019, 5–8

### **Arnhold et al. 2020**

Simone Arnhold, Paata Bukhrashvili, Jörg Faßbinder, Zurab Tskvitinidze, Jonas Abele, Shorena Davitashvili, Untersuchungen in Samreklo, Georgien 2019. Mitteilungen der Deutschen Orient-Gesellschaft 152, 2020, 111–123

### **Bukhrashvili P. et al. 2019**

Bukhrashvili P., Blocher F., Tskvitinidze Z., Davitashvili Sch., Ausgrabungen in Nazarlebi, Kachetien (Georgien) 2017 und 2018, Mitteilungen der Deutschen Orient- Gesellschaft zu Berlin (MDOG) 151, 2019, 271-294

### **Bukhrashvili P. et al. 2020**

Bukhrashvili P., Blocher F., Tskvitinidze Z., Davitashvili Sch., Ausgrabungen in Nazarlebi, Kachetien (Georgien) 2019, Mitteilungen der Deutschen Orient- Gesellschaft zu Berlin (MDOG) 152, 2020, 125 - 149

**Brodbeck-Jucker 2019**

Sabina Brodbeck-Jucker, Die Keramik von Udabno, Bonn 2019

**Jörg Fassbinder 2020**

Jörg Fassbinder, Magnetometerprospektion der spätbronze- bis früh-eisenzeitlichen Fundstelle Nazarlebi, Shiraki-Ebene, Kachetien, Georgien (2018) Mitteilungen der Deutschen Orient- Gesellschaft zu Berlin (MDOG) 152, 2020, 150 - 154

**Ludwig 2010**

Nadine Ludwig, Ostgeorgische Fundplätze des 1. Jahrtausends v. Chr., Langenweißbach 2010

თინა აბულაშვილი

### მარნეულის ყორღანები

1965-1968 წლებში, მარნეულის ველზე, ქვემო ქართლის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ო. ჯაფარიძის ხელმძღვა-ნელობით გათხარა ცხრა ყორღანი. საველე არქეოლოგიური სამუშაოების ანგარიში გამოქვეყნებულია წიგნში „ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები (1965-1971 წწ.)“. ჩვენი მიზანია შემოგთავაზოთ ამ ექსპედიციის მიერ გათხრილი და შესწავლილი ყორღანების სტრუქტურული სურათი.

მარნეული მდებარეობს ქვემო ქართლში, მდ. ალგეთის ნაპირებზე, თოფრა-ყალას ჩრდილო-დასავლეთით, ღლოვანას აღმოსავლეთით [ლორთქიფანიძე 1935: 326]. ექსპედიციის მიერ გათხრილი ყველა ყორღანი საშუალო ზომის იყო, დაბალი ქვამინაყრილიანი, წრიული მოყვანილობის. ყრილის სტრუქტურაც თითქმის ერთგვაროვანი ჰქონდათ, უმეტესად მიწაში არეული კლდის წვრილი და შედარებით მსხვილი ნაფლეთი ქვებისაგან შედგებოდა. ყრილის სიმაღლე თანაბარი 1.5-2 მ-ის ფარგლებში. დაკრძალვის წესი ინჰუმაციური. ცენტრალურ ნაწილში გაჭრილი იყო სამკუთხა მოყვანილობის, კუთხეებმომრგვალებული და ძელებით გადახურული ორმო.

#### ყორღანი №1

ყორღანი ქვამინაყრილიანი იყო. ყრილის სიმაღლე 1.6 მ შეადგენდა, დმ – 13 მ. ყორღანს თავი გაბრტყელებული ჰქონდა და ქმნიდა პატარა მოედანს. 0.8 მ სიღრმეზე იწყებოდა სამარხი ორმო. ორმო ყორღანის S-W კიდიდან 4 მ-ით იყო დაშორებული, ხოლო კიდიდან – 5.5 მ-ით. ორმოს სიგანე 3 მ უდრიდა, სიგრძე – 4 მ, მიმართული იყო NO-SW. ორმო ძირისკენ ვიწროვდებოდა. ძირზე მისი სიგრძე 3.3 მ ხოლო სიგანე – 2.7 მ შეადგენდა. ორმო ამოვსებული იყო ქვით და მიწით. ორმოს SW და SO ნაწილებში შეიმჩნეოდა ხის კვალი. დაკრძალვის წესი ინჰუმაციური, ინდივიდუალური. მიცვალებულის თავის ქალა და ძვლები ერთმანეთში იყო არეული. თავდაპირველად სავარაუდოდ მჯდომარე პოზა უნდა ჰქონოდა, შემდეგ კი მარჯვენა გვერდზე გადაწოლილი.

ინვენტარი: 2 ქილა, ბადია, ქოთანი, ბრინჯაოს სატევრის პირი, ხის ნაშთი, ყურძნის წიპნები, ნაცრის ნაშთი.

შუაბრინჯაოს ხანა.

ოსტეოლოგიური მონაცემები: ხარის მთლიანი ჩონჩხი თავის გარეშე. ცხოველი იწვა მარცხენა გვერდზე მოკუნტული კიდურებით, თითქოს მოძრაობაში იყო. ხარის ჩონჩხის სიგრძე 1.75 მ, მიმართული იყო N-W-დან S-O-სკენ. წვრილფეხა საქონლის ძვლები, ცხვრის თავი.

(ტაბ. 1)

### ყორღანი №2

ყორღანის ქვამინაყრილის სიმაღლე იყო 1.5 მ. ცენტრალურ ნაწილში აღმოჩნდა წრიულად განლაგებული მოზრდილი ქვებით გადახურული სამარხი ორმო. ცენტრში ქვები ქმნიდნენ დაბრისებრ ჩაღრმავებას. ორმოს სიგრძე – 2.4 მ, სიგანე – 1.2 მ, სიმაღლე – 1.25 მ. მიცვალებულის თავის ქალა და ძვლები ორმოს სხვადასხვა ნაწილში იყო მოთავსებული. პოზის დადგენა შეუძლებელი იყო, თითქოს მჯდომარე მდგომარეობაში იყო დაკრძალული.

ინვენტარი: თიხის 8 ჭურჭელი, ქილები, სამარილე.

გვიანბრინჯაოს ხანა.

ოსტეოლოგიური მონაცემები: ცხვრის თავის ქალა და ძვლები, ფრინველის ძვლები. პალეობოტანიკური მონაცემების ორბლის მარცვლები.

(ტაბ. 2)

### ყორღანი №3

ყორღანი მდებარეობდა №1 ყორღანიდან დაახლოებით 100 მ-ის დაშორებით, დაზიანებული. N-W მხარე მოჭრილი ჰქონდა. დმ – 20 მ, სიმაღლე – 2 მ. ყრილში აღმოჩნდა რამოდენიმე სამარხი, რომელთაგან პირველი ყორღანის თავიდან 0.5 მ სიღრმეზე მდებარეობდა. სამარხის სიგრძე 1.5 მ იყო, სიგანე – 1 მ. მიცვალებულის ძვლები ძლიერ დაშლილი, ესვენა მარჯვენა გვერდზე N-O. ფეხები ძლიერ მოკეცილი ჰქონდა. ამ სამარხის W-ით მეორე სამარხი მდებარეობდა. მიცვალებულის ძვლების ქვეშ, დაახლოებით ყორღანის ცენტრალურ ნაწილში, შემოიხაზა ორმო, რომელიც მიწით და ქვით იყო სავსე. ორმოს სიღრმე 1 მ იყო, დმ – 1.2 მ. ორმო ცარიელი იყო, მასში მხოლოდ დიდი ზომის მოგრძო ქვა ეგდო.

ინვენტარი: ბადიები, ტოლჩები, ქილები, კოჭობი, ძვლის კვირისტავი, ჭურჭლის ნატეხები ღია ფერის სარჩულით.

ძვ.წ. III ათასწ-ის დასაწყისი.

ოსტეოლოგიური მონაცემები: ხარის ძვლები, ცხვრის თავის ქალა და ძვლები.

**ყორლანი №4\***

ყორლანი მიწის სამუშაოების დროს იყო გაჭრილი. დმ – 30 მ, სიმაღლე – 2.1 მ. ყორლანის ცენტრალურ ნაწილში 2 მ სიღრმეზე გამოვლინდა O-დან-W-კენ მიმართული ოვალური მოყვანილობის ორმო, რომელიც ქვით და მიწით იყო ამოვსებული. O-W-ით ორმოს დმ 3.4 მ-ს შეადგენდა, N-S-ით – 2.5 მ, სიმაღლე – 1.8 მ. შესაძლოა ორმო ხის ძელებით იყო გადახურული. მიცვალებულის ძვლები და თავის ქალა დაშლილი იყო. სავარაუდოდ, მიცვალებული იწვა მარცხენა გვერდზე, ფეხმოკეცილი O-W მიმართულებით, თავით O-ით.

ინვენტარი: 2 პატარა ტიგელისებრი ჭურჭელი, შავი ფერის ჭურჭლის ნატეხები, კოჭობები, 6 ქოთანის, დერგი, ქილა, 2 ტოლჩა, სასმისი, პატარა დოქის ნატეხები, კაჟის და ობსიდიანის ისრის პირები, ბრინჯაოს სადგისი, ბრინჯაოს სატევრის პირი, ხის ნაშთი.

ძვ.წ. III ათასწ-ის ბოლო საუკუნეები.

ოსტეოლოგიური მონაცემები: მსხვილფეხა საქონლის ძვლები, ბატკნის ჩონჩხი.

(ტაბ. 3)

**ყორლანი №5\*\***

ყორლანი მდებარეობდა მეოთხე ყორლანიდან 800 მ-ის დაშორებით მისგან O-ით. დმ – 25 მ, სიმაღლე – 1 მ. ყრილის ცენტრალური ნაწილი დაზიანებული იყო. S-O ნაწილში გამოვლინდა სამარხი ორმო, რომელიც ხის ძელებით იყო გადახურული და ქვით და მიწით იყო ამოვსებული. ძელების ნაწილი N-S-კენ იყო მიმართული, ნაწილი კი – O-W-სკენ. ორმოს ოთხკუთხა მოყვანილობა ჰქონდა და O-W იყო დამხრობილი. მისი სიგანე 3 მ-ს შეადგენდა, სიგრძე – 4 მ, სიმაღლე – 3 მ. გამოვლინდა მიცვალებულის დაშლილი კიდურების და მენჯის ძვლები, თავის ქალის ნატეხები, ქვედა ყბა. პოზის დადგენა შეუძლებელი იყო.

ინვენტარი: შავპრიალა თიხის ჭურჭელის ფრაგმენტები, 2 სასმისი, 2 ქოთანის, ტოლჩა, დერგის ნატეხები, ობსიდიანის ნატეხები.

ძვ.წ. III ათასწ. ბოლო საუკუნეები.

(ტაბ. 4)

**ყორლანი №6**

ყორლანს წესიერი წრიული მოყვანილობა ჰქონდა, დმ – 20 მ უდრიდა, სიმაღლე – 2 მ. ყორლანის ცენტრალურ ნაწილში გამოვლინდა ოვალური მოყვანილობის ორმო, რომელიც O-W

\* ორმოს O ნაწილი დაზიანებული იყო სკვითური პერიოდის სამარხით.

\*\* ორმოს თავთან 1.6 მ სიღრმეზე და S ნაწილში აღმოჩნდა შუასაუკუნეების ჩაშვებული სამარხები.

მხარეს იყო მიმართული. ორმოს სიგრძე იყო 6 მ, სიგანე – 3.2 მ, სიღრმე – 1.8 მ. მიცვალებულის ძვლები აღმოჩნდა ორმოს ძირზე. ორმოს ცენტრალურ ნაწილში ჩაჭრილი იყო მეორე, უფრო ვიწრო, ოვალური ფორმის ორმო, რომელიც O-W-სკენ იყო დამხრობილი. სიგრძე – 3.2 მ, სიგანე – 1.5 მ, სიღრმე – 0.8 მ. ორმოს W ნაწილში აღმოჩნდა თავის ქალის ნაწილები. მიცვალებულის ძვლები ორივე ორმოში ძლიერ დაშლილი იყო.

ინვენტარი: დერგი, ქოთანები, 2 სასმისი, ობსიდიანის ისრის პირი, ბრინჯაოს სატევრის პირი, სადგისი.

ძვ.წ. III ათასწ-ის ბოლო საუკუნეები.

(ტაბ. 5)

### ყორღანი №7

ყორღანი ქვამინაყრილიანი იყო და წესიერი წრიული მოყვანილობა ჰქონდა. ყრილის დმ 20 მ უდრიდა. მისი ყველაზე მაღალი წერტილი მდებარეობდა N ნაწილში და 1.2 მ აღწევდა, ყველაზე დაბალი W ნაწილში – 0.3 მ. ყორღანს ცენტრალურ ნაწილში ძაბრისებრი ჩაღრმავება ჰქონდა, რომლის დმ 2 მ, ხოლო სიღრმე 0.4 მ უდრიდა. ყორღანს ორმო არ ჰქონდა და სამარხი მოწყობილი იყო მინის ზედაპირზე, ყორღანის ცენტრალურ ნაწილში, ქვაყრილის ქვეშ 1 მ სიღრმეზე. მისი ზომები: 1.5x0.8 მ. მიცვალებულის ჩონჩხი ცუდად იყო დაცული, იწვა მარცხენა გვერდზე, ფეხმოკეცილი. ხელები სახის წინ WO მიმართულებით ჰქონდა დაწყობილი, თავით W-სკენ.

ინვენტარი: 2 სასმისი, ტოლჩა, მსხლისებრი ფორმის თეთრი მარმარილოს ქვის ლახტის თავი, შუაში ნახვრეგით, ბრინჯაოს სადგისი და ისრისპირი, ობსიდიანის ნატეხი, ვარდისფერკეციანი შავი ჭურჭლის ნატეხები.

ძვ.წ. II ათასწ-ის დასაწყისი.

(ტაბ. 6)

### ყორღანი №8\*

ქვამინაყრილიან ყორღანს წესიერი წრიული მოყვანილობა ჰქონდა, თავზე პატარა მოედნით. დმ – 26 მ, სიმაღლე – 1.7 მ. სამარხი ორმო გამოვლინდა ყორღანის ცენტრში. ორმოს სიღრმე – 2.5 მ, ზომები: 5.5x5 მ. ყორღანი გაძარცული იყო. გამოვლინდა დაშლილი ძვლების ნატეხები.

ინვენტარი: ქოთანი, კერამიკის ფრაგმენტები.

ძვ.წ. II ათასწ-ის დასაწყისი

\* ყორღანის S-W ნაწილში 1.4 მ სიღრმეზე აღმოჩნდა გვიანბრინჯაოს ხანის ჩაშვებული სამარხი.

### ყორლანი №9

ყორლანი გაძარცვული იყო, მისი დმ – 34 მ, სიმაღლე – 2 მ. ყრილის სტრუქტურა შემდეგნაირი იყო: გრუნტის დონეზე – ლორლიანი მიწის თხელი ფენა, მის თავზე – 1.5 მ სისქის თიხნარი ფენა, რომელსაც ეფარა კლდის მსხვილი ნაფლეთი ქვები. ყორლანის ცენტრალურ ნაწილში გამოვლინდა არანესიერი ოთხკუთხედის მოყვანილობის ორმო, რომლის ზომები იყო 5.5x5.5 მ. ორმოს ჰქონდა ხის გადახურვა, სავსე იყო მიწით და ქვით. ორმოს პირის დონეზე დაფიქსირდა დაშლილი ხის კვალი და ნაცროვანი ფენა. ნაცროვანი ფენა სცილდებოდა ორმოს საზღვრებს. ორმოს NW ნაწილში, 2 მ სიღრმეზე, ჩაჭრილი იყო პატარა არანესიერი მოყვანილობის ორმო, რომელიც ამოვსებული იყო თიხნარით და ნამსხვრევი კლდის დიდი ქვებით. მის ზედა ფენებში ჩნდებოდა ადამიანის (მცირეწლოვანის) თავის ქალის ფრაგმენტები, რომელიც შესაძლოა ამ პატარა ორმოს გადახურვაზე იყო დაკრძალული.

ინვენტარი: შავპრიალა თიხის ჭურჭლის ნატეხები, 5 ქილა, ბადია, ბრინჯაოს 2 ყუამილიანი ცული ერთი ყუაზე ნიბოთი, სატეხი, ბრტყელი ცული, სადგისი, ბრინჯაოს სატევრის პირი, ობსიდიანის ისრისპირი, სატეხი, ხის ნაშთი, მიწის ერთი ნატეხი. ძვ.წ. III ათასწლეულის ბოლო ხანები.

ოსტეოლოგიური მონაცემები: ირმის დატოტვილი რქა.  
(ტაბ. 7)

\*

\* \*

ინვენტარის ხასიათის მიხედვით ეს ყორლანები მამაკაცის სამარხები უნდა ყოფილიყო, რადგან მათში არ იყო სამკაული და ძირითადად ლითონის იარაღი აღმოჩნდა. პირველი ყორლანის კერამიკას არქაული იერი ჰქონდა, მაგრამ მასში აღმოჩენილი იარაღი განვითარებული ტიპის იყო და ახლოს იდგა თრიალეთის შუაბრინჯაოს ხანის ყორლანებში გამოვლენილ იარაღთან. ამიტომ ეს ყორლანი შუაბრინჯაოს ხანას მიაკუთვნეს. მეორე ყორლანში აღმოჩენილი თიხის ჭურჭელი, კერძოდ კი ქილები თავისი ფორმით და ორნამენტით ძალიან უახლოვდებოდა ბორის კუფტინის მიერ ოზნის ნამოსახლარზე გვიანბრინჯაოს ხანის ჩაშვებულ სამარხში აღმოჩენილ ჭურჭელს [Куфтин 1948: 34]. ამ ყორლანში შესაძლოა მეორადი დაკრძალვაც ყოფილიყო, რადგან აქ მიცვალებულის ძვლები ორმოს ძირის ერთ ნაწილში იყო შევსებული [ჯავახიანი 1975: 151]. შედარებით სხვაგვარ ხასიათს ატარებდა მესამე ყორლანი, რომლის ყრილში რამდენიმე სამარხი გამოვლინდა. მისი სამარხეული ინვენტარიც განსხვავდებოდა

დანარჩენი ყორღანების მასალისაგან. აქ გამოვლენილი თიხის ჭურჭელი თავისი ხასიათით უახლოვდებოდა ქვემო ქართლში აღმოჩენილი მტკვარ-არაქსის კულტურის შედარებით ადრეული, დიდუბე-კიკეთის ჯგუფის თიხის ჭურჭელს, განსაკუთრებით ახლოს იდგა კიკეთის და სამშვილდის სამაროვნებზე მოპოვებულ თიხის ნაწარმთან და ასევე მსგავსი იყო წალკის ზეგანზე გამოვლენილი მასალებისა. თავისი ხასიათით ეს ყორღანი უახლოვდებოდა ტყვიავის და საჩხერის ყორღანულ სამარხებს და დათარილდა ძვ.წ. III ათასწ-ის დასაწყისით [ჯაფარიძე 1975: 150]. მეოთხე ყორღანში ნაპოვნი სატევრის პირი უახლოვდებოდა 1939 წელს საჩხერეში აღმოჩენილ სატევრის პირს [ჯაფარიძე 1961: 154]. განვითარებული ფორმისა იყო მეექვსე ყორღანში აღმოჩენილი სატევრის პირი და გარკვეულ მსგავსებას იჩენდა ეშერის VI დოლმენის სატევრის პირთან [Куфтин 1949: таб. XXXII, 6]. ამ ყორღანის ცენტრალურ ნაწილში გამოვლინდა პატარა ორმო. ეს პატარა ორმოები შესაძლებელია დიდ ორმოებთან ერთად იყო გაჭრილი. ორმო არ ქონდა მეშვიდე ყორღანს. მისი სამარხი მდებარეობდა მიწის ზედაპირის ცენტრალურ ნაწილში. მასში აღმოჩენილი ლახტის თავები საქართველოში და ზოგადად კავკასიაში ძვ.წ. III და II ათასწ-შია ცნობილი [Куфтин 1949: 18]. განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა მეცხრე ყორღანი. ყორღანის ცენტრალურ ნაწილში მდებარეობდა ოთხკუთხა ორმო, ხოლო N-W ნაწილში პატარა ორმო. ყორღანში აღმოჩენილი ლითონის ნივთები დარიშხანიანი სპილენძისგან იყო ნაკეთები. გამოვლენილი ცული ზომით უახლოვდებოდა საჩხერეში, ცარცის გორაზე აღმოჩენილ ყუამილიან ცულს და ასევე თეთრინყაროს ყორღანში აღმოჩენილ იარაღს [ჯაფარიძე 1975: 155]. ადამიანის ძვლების ცუდად დაცულობის გამო მეოთხე და მეშვიდე ყორღანის გარდა მიცვალებულის პოზის, დაკრძალვის წესის დადგენა ვერ მოხერხდა. საიდან გავრცელდა ჩვენში ეს ინდივიდუალური სამარხები უცნობია. მტკვარ-არაქსის კულტურის ხანაში აქ ცნობილი იყო ყორღანები კოლექტიური სამარხებით (ასეთი იყო მესამე ყორღანი). შესაძლოა ძვ.წ. III ათასწ-ის ბოლოს ყორღანების გაჩენა ინდივიდუალური სამარხებით დაკავშირებული იყო საზოგადოებაში მომხდარ სოციალურ-ეკონომიკურ ცვლილებებთან [გოგაძე 1972: 93]. რადგან ძვ.წ. III ათასწ-ის ბოლოსათვის ჩვენში საგრძნობლად იყო დანიანურებული მესაქონლეობა, განსაკუთრებით კი მეცხვარეობა და ქვემო ქართლის მაღალმთიანი პლატო (წალკა, ბედენი), ინტენსიურად იყო გამოყენებული უპირატესად საზაფხულო საძოვრებად, ამიტომ საფიქრებელია, რომ ეს ყორღანები საზოგადოების იმ ნაწილს ეკუთვნებოდა, რომელიც მესაქონლეობასთან იყო დაკავშირებული (მეოთხე ყორღანში აღმოჩნდა ბატკნის მთლიანი ჩონჩხი და მსხვილფეხა საქონლის

ძვლები, პირველ ყოვლისაში ორმოს ძირზე გამოვლენილი იქნა საქონლის ძვლები). ეს ყოვლიანები ახლოს დგას ბორის კუფტინის მიერ ნალკის ზეგანზე, მდ. ქციის აუზში გათხრილ ყოვლიანებთან [Куфтин 1941: 101], კუფტინი მათ მომთაბარეებს ან მაღალმთიან საძოვრებზე მეზობელი ადგილებიდან ამოსულ მოსახლეობას უკავშირებდა [Куфтин 1941: 201]. მისი აზრით უორმო ყოვლიანების არსებობა იმაზე მიანიშნებდა, რომ დაკრძალვის წესზე გავლენას წელიწადის დრო ახდენდა და ზამთრის ცივი კლიმატი ხელს უშლიდა ნიადაგში ორმოს გაჭრას [კუფტინი 1949: 24]. მარნეულის ველზე და ზოგადად ჩვენში ყოვლიანული სამარხები ძვ.წ. III ათასწ-ის მეორე ნახევარში იჩენს თავს და კერამიკის საფუძველზე ისინი თრიალეთის ყოვლიანებთან შედარების გზით ძვ.წ. III ათასწ-ის ბოლოთი დათარიღდა [ჯაფარიძე 1975: 156]. მარნეულის ყოვლიანების განათხარი მასალა ინახება ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში.

### ლიტერატურა

- გოგაძე ე., 1972, თრიალეთის ყოვლიანული კულტურის პერიოდიზაცია და გენეზისი, თბ.
- კუფტინი ბ., 1949, ქართული კულტურის უძველესი კერა თრიალეთში, თბ.
- ჯაფარიძე ო., 1975, ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები (1965-1971 წწ.) თბ.
- ჯაფარიძე ო., 1961, ქართველი ტომების ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე, თბ.
- Куфтин Б., 1941, Археологические раскопки в Триалети, Тб.
- Куфтин Б., 1948, Археологические раскопки 1947г. в Цалкинском районе, Тб.
- Куфтин Б., 1949, Материалы к археологии Колхиды т. I, Тб.



Tina Abulashvili

### Marneuli Kurgans

#### Summary

Marneuli municipality is situated in Kvemo (Lower) Kartli region of Georgia. It occupies the territory along both banks of the Algeti River. Kvemo Kartli archaeological expedition of the S. Janashia State Museum uncovered and investigated nine kurgans in the area. All the tumuli were consist of pit tombs, covered with 1.5-2.0 m high soil and stone barrow mounds. They were individual inhumation graves. Kurgan no. 3 was the earliest among them. As to the other one no. 9 it was arranged in a rectangle pit and thus attracted the special attention of the scholars. Artifacts are kept in the depository of the S. Janashia Georgian National Museum.

ტაბ. I




ყორღანი №1




ყორღანი №2

ტაბ. 3




ყორღანი №4




ყორღანი №5

ტაბ. 5




ყორღანი №6

ტაბ. 6



ყორღანი №7



ყორღანი №9

ლერი ჯიბლაძე

### რეცენზია

გიორგი ბედინაშვილის და ები რობინსონის მონოგრაფიულ გამოკვლევებზე ლითონი, რიტუალი და განადგურება (ლითონის ნივთების განზრახ დაზიანება საქართველოში ბრინჯაო-ადრერკინის ხანის განძებში და სამარხებში), თბილისი, 2022

## ლითონი, რიტუალი და განადგურება METAL, RITUAL AND DESTRUCTION

გიორგი ბედინაშვილი  
ები რობინსონი

GIORGI BEDIANASHVILI  
ABBY ROBINSON



წარმოდგენილი ნაშრომი ეხება საქართველოს ტერიტორიაზე ბრინჯაო-ადრერკინის ხანაში ლითონის ნივთების რიტუალური დაზიანების ფენომენს, რომელიც ბრინჯაოსა და რკინის ნივთების სახით აღმოჩენილია სამარხებში და განძებში. ავტორების აზრით, საქართველოში გვინბრინჯაო-ადრერკინის ხანის სამარხებსა და განძებში გამოვლენილ დაზიანებულ ნივთთა ტიპების ერთ-გვაროვნება უნდა მიუთითებდეს ლითონის ნივთების მიწაში ჩადებადგე განზრახ დაზიანებაზე, რომელსაც უნდა ჰქონოდა გარკვეული რიტუალური დანიშნულება. მათი აღნიშვნით, როგორც განძებში, ისე ცალკეულ სამარხებში ეს წესი ფართოდ ყოფილა გავრცელებული ბრინჯაოს ხანის ევროპულ კულტურებში – დიდი ბრიტანეთის კუნძულებიდან ბალკანეთის ნახევარკუნძულამდე და არც საქართველოსთვის უნდა ყოფილიყო უცხო ევროპული ეს ფენომენი. ამ ფაქტს უნდა ადასტურებდეს მოხენიებული კატეგორიის ძეგლებზე განზრახ დაზიანებული ნივთების აღმოჩენები. ისინი მიუთითებენ აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიიდან 61 ასეთ სამარხზე, სადაც განზრახ დაზიანებული ნივთებია გამოვლენილი. სინამდვილეში მათი რაოდენობა ბევრად მეტი უნდა ყოფილიყო.

საქართველოში გავრცელებულ გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის კულტურაში დაზიანებული ლითონის არტეფაქტების არსებობა, სპეციალისტთა შორის, ძირითადად ცნობილი იყო განძების მასალების მიხედვით, მაგრამ ეს ფაქტი არ იხსნებოდა განზრახ დაზიანებით. ავტორების დამსახურებას წარმოადგენს ის ფაქტიც, რომ ანალოგიური განზრახ დაზიანებული ლითონის არტეფაქტები გამოყვეს სამარხეული ინვენტარის მიხედვითაც. მათი ვარაუდით, ეს წესი გავრცელებული იყო ევროპაში და საქართველოში აღნიშნული კატეგორიის ძეგლებში მათი დადასტურება კანონზომიერი მოვლენა უნდა ყოფილიყო, რადგან საკვლევი მხარე ბრინჯაო-ადრერკინის ხანაში ამ ევროპული ფენომენის ნაწილს წამოადგენდა.

დღემდე კოლხეთში დაზიანებული ლითონის არტეფაქტების არსებობაზე ყურადღება იყო გამახვილებული მხოლოდ განძების მასალების მიხედვით, მაგრამ მათ არ ჰქონდათ განზრახ დაზიანებულის სტატუსი მინიჭებული. ასევე საქართველოში გვინბრინჯაო-ადრერკინის ხანის სამარხებში დადასტურებულ ამგვარ ნივთებსაც ასეთი კვალიფიკაცია არ ჰქონდა მიცემული.

ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია კავკასიაში ლითონის ნივთების ყველაზე ადრე დაზიანების გამოვლენის ფაქტზე ჩრდილო კავკასიაში ნოვოსვაბოდაიას ერთ-ერთი ყორღანიდან. საქართველოში კი ასეთი ტრადიცია პირველად გვხვდება შუა

ბრინჯაოს ხანაში თრიალეთურ კულტურაში. გიორგი ბედიანაშვილი და ებბი რობინსონი მონოგრაფიის მომდევნო გამოყოფილ სათაურში – „განზრახ დაზიანებული ლითონის ნივთების განსაზღვრის მეთოდოლოგიისათვის“, ცდილობენ დაადგინონ შემდეგი: არქეოლოგიური გათხრებისას მოპოვებული ნივთები, მინაში ჩადებამდე იყო დაზიანებული, თუ მინაში ჩაფლვის შემდგომ. განიხილავენ იმის ალბათობასაც, რა დროს უნდა ყოფილიყო შესაძლო განძებში შემავალი ცალკეული არტეფაქტების დაზიანება. ასეთ მაგალითებად მოჰყავთ ლითონის ნივთების დაზიანება სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობისას, ანდა მათი აღმოჩენის შემთხვევაში მპოვნელის მიერ სახეობის დადგენის მიზნით მათი დაზიანება (მეტალის გაჭრა და ა.შ.). ავტორები ასკვნიან, რომ ევროპული მასალების მსგავსად, განზრახ დაზიანებული ობიექტი არის კონკრეტული ნივთი ან ნივთთა ჯგუფი. ევროპის არქეოლოგიური ლითონის ნივთების შესწავლის საფუძველზე ისინი ეხებიან ბრიტანელი არქეოლოგის მ. ნაითის მიერ გამოყოფილ ლითონის არტეფაქტების 7 ტიპის განზრახ დაზიანების ძირითად მახასიათებელ ნიშნებს. ასევე საუბრობენ ექვს კატეგორიად დაყოფილი განზრახ დაზიანებული ნივთების შეფასების სისტემაზე.

გიორგი ბედიანაშვილისა და ებბი რობინსონის დამსახურებად შეიძლება მივიჩნიოთ განზრახ დაზიანებული ლითონის არტეფაქტების ერთ ნიშნის მიგნება, რომელიც გ. ნაითის კლასიფიკაციაში არ შედის და მხოლოდ საქართველოში გვხვდება.

ავტორები არქეოლოგიური პერიოდებისა და ცალკეული ძეგლების მიხედვით განიხილავენ განზრახ დაზიანებული არტეფაქტების აღმოჩენის ფაქტებს. მათი დაკვირებით, საქართველოში განზრახ დაზიანებული ლითონის ნივთები ყველაზე ადრე შეინიშნება თრიალეთის შუაბრინჯაოს ხანის კულტურიდან მოყოლებული როგორც ინჰუმაციურ, ასევე კრემაციულ სამარხებში. ისინი ასკვნიან, რომ საქართველოს სამარხებში საბრძოლო იარაღების განზრახ დაზიანება არსებობდა უწყვეტად შუაბრინჯაოს ხანიდან მოყოლებული ადრერკინის ხანის ჩათვლით.

მეცნიერთა აზრით, მომდევნო, გვიანბრინჯაოს ადრეული ხანის (ისინი ამ პერიოდს უწოდებს ლქაშენ-ნითელგორების კულტურას) სამარხებში ლითონის ნივთების დაზიანების ფაქტები უფრო ხშირია შიდა და ქვემო ქართლის ტერიტორიაზე. საუბარია დაზიანებულ ნივთთა ტიპებზე და მათ სტატისტიკურ მონაცემებზე. მაგალითად, შუაბრინჯაოს ხანაში თრიალეთურ კულტურის სამარხებში შეინიშნება რაპირების, მახვილების, სატევრების დაზიანება.

მისაღები უნდა იყოს ავტორთა მოსაზრება, რომ შუაბრინჯაოს ხანაში განზრახ დაზიანებული ლითონის არტეფაქტების გაჩენა დაკავშირებული უნდა ყოფილიყო ორ ფაქტორთან: სამხრეთ კავკასიაში პირველი მახვილების გამოჩენასთან და წარჩინებული მეომრის სოციალური ფენის გაჩენასთან; მეორე – მიცვალებულის კრემაციასთან და მისი სხეულის ფრაგმენტიზაციასთან, რომელიც რეგიონში პირველად შუაბრინჯაოს ხანაში ჩნდება.

გამოთქვამენ ვარაუდს, რომ დასაკრძალ რიტუალს ადგილი ჰქონდა ყორღნის გარეთ და საბრძოლო იარაღების განზრახ დაზიანება, ამ საჯარო დასაკრძალავი რიტუალის ნაწილი უნდა ყოფილიყო, სადაც მხოლოდ მახვილებსა და სატევრებს აზიანებდნენ. სამარხეული ინვეტარის სხვა ნივთებზე დაზიანების კვალი არ ჩანს. სავსებით ლოგიკურად გამოიყურება მონოგრაფიის ავტორთა მოსაზრება დასაკრძალავ ნივთთა შერჩევითობაზე, რომელიც უნდა მიუთითებდეს იმაზე რომ შუაბრინჯაოს ხანის მეომართა საზოგადოებაში მახვილსა და სატევარს განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა, რომელიც დაკავშირებული უნდა ყოფილიყო მის მფლობელთან. ამ მხრივ გამოყოფენ რაპირებს, რომელიც სამხედრო თვალსაზრისით ტექნოლოგიური სიახლეს წარმოადგენდა. ლოგიკურად უნდა გამოიყურებოდეს ავტორების მოსაზრება რაპირების ასოცირებაზე მის სოციალურ სტატუსთან. მფლობელის განადგურების შემდეგ რაპირასაც ამტკვრევდნენ და მწყობრიდან გამოყავდათ და ეს იდეოლოგიური განადგურება მათი აზრით დაკავშირებულია მიცვალებულთა კრემაციასთან, მისი სხეულის განადგურებასთან და ფრაგმენტიზაციასთან.

ავტორთა დაკვირებით, მომდევნო, გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში საბრძოლო იარაღები იშვიათადაა ფრაგმენტირებული. საქართველოს ტერიტორიაზე ამ პერიოდში პირველად ჩნდება განზრახ დაზიანებული ლითონის ნივთები განძებში. თავისი მნიშვნელობითა და დაზიანების ტიპების მიხედვით ერთმანეთისაგან მიჯნავენ განძებში და სამარხებში აღმოჩენილ ლითონის არტეფაქტებს.

გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია ბრინჯაოს იარაღების განზრახ მოკეცვა, დაზიანება, მაგრამ მთლიანობის შენარჩუნებით. რამდენად გასაზიარებელია ავტორთა ეს მოსაზრება, რომ მგავსი დაზიანება უნდა ასახავდეს მიცვალებულთა მოხრილ მდგომარებაში დასვენებას, სადავოდ გვეჩვენება.

მკვლევარები გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის განძებში ეხებიან დაზიანებული ლითონის არტეფაქტების აღმოჩენის

ფაქტებს. მათივე სიტყვებით რომ ვთქვათ, ამ კატეგორიის ძეგლები საქართველოს ტერიტორიიდან ირლანდიაში იყო გავრცელებული. აღნიშნულია, რომ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის განძები კოლხური კულტურის გავრცელების არეალში გვხვდება. დანარჩენი კი აღმოჩენილია შიდა ქართლში, კოლხური და სამთავროული კულტურების თანაარსებობის არეალში. ავტორები სწორად შენიშნავენ, რომ კოლხური გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის განძებისთვის ნაკლებად დამახასიათებელია ე.წ. პერსონალური ნივთები, სადაც ძირითადად გვხვდება მინათმოქმედებისა და მეტალურგიასთან დაკავშირებული არტეფაქტები.

როგორც ჩვენში, ასევე გარე სამყაროში მოკლედ განხილულია განძების ფუნქციონალურ დანიშნულებაზე არსებული მოსაზრებები. ყურადღების მიღმა არ რჩებათ უკანასკნელ პერიოდში კოლხეთის მდინარეებში ოქროს მოპოვებისას და სხვა ვითარების დროს აღმოჩენილი ბრინჯაოს ნივთები, რომელიც ღვთაებისადმი შეწირული უნდა ყოფილიყო.

განძებში შემავალი განზრახ დაზიანებული ნივთების შესწავლის საფუძველზე განხილულია ამ კატეგორიის ძეგლების რიტუალური დანიშნულება, რომლის შესახებ საქართველოში პირველი მოსაზრება ეკუთვნის ოთ. ლორთქიფანიძეს. ავტორების სიტყვებით რომ ვთქვათ, იგი ემყარება როგორც კონკრეტული განძების მაგალითებს, ასევე ზოგადად ამ კატეგორიის ძეგლებში შემავალ განზრახ დაზიანებული ნივთების ტიპების კვლევას. განსაკუთრებით საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ავტორები დიდ ყურადღებას აქცევენ დაზიანებულ ნივთთა ზოგად სტატისტიკურ მონაცემებს.

ისინი საგანგებოდ ჩერდებიან ზემო სასირეთისა და გამდლისწყაროს განძებზე, რომლებიც განზრახ დაზიანებული არტეფაქტებისაგან შედგება. გამდლისწყაროს განძის ფრაგმენტული ნივთების მაგალითზე, მათ ძნელად წარმოსადგენად მიაჩნიათ მათი გამოყენება ჯართად ხელმეორედ გადადნობის მიზნით.

მონოგრაფიულ გამოკვლევას როგორც ტექსტში, ასევე ბოლოს დართული აქვს შესანიშნავად შესრულებული, განზრახ დაზიანებულ ნივთთა ამსახველი ტაბულები და განზრახ დაზიანებული ლითონის არტეფაქტების გავრცელების რუკა. ნაშრომს ღირსებას მატებს, არსებული საკითხის ირგვლივ, უხვად გამოყენებული უახლესი ლიტერატურის ჩამონათვალი. ცალკე აღნიშვნის ღირსია მონოგრაფიის მაღალი პოლიგრაფიული დონე.

ამრიგად, თუ შევაჯამებთ ყოველივე ზემოთქმულს ვფიქრობ შემდეგი დასკვნები გამოვიტანოთ. გიორგი ბედიანაშვილისა

და ებბი რობისონის ნაშრომი მრავალმხრივ საყურადღებოა. შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში ბრინჯაო-ადრერკინის ხანაში ლითონის ნივთების განზრახ დაზიანების საკითხი დღემდე არ გამხდარა მსჯელობის საგანი. წინმდებარე მონოგრაფიული გამოკვლევა კი ამ მხრივ პირველი სიტყვაა ქართულ არქეოლოგიურ მეცნიერებაში. თუ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე კოლხური კულტურის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის განძების ფუნქციონალურ დანიშნულებაზე, მათ რიტუალურ დანიშნულებაზე არაერთი მოსაზრებაა იყო გამოთქმული, ამ მხრივ თითქმის არაფერი იყო თქმული ამ კატეგორიის ძეგლებში შემავალი არტეფაქტების განზრახ დაზიანებაზე. ასევე გარკვეული ლაკუნა არსებობდა გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის სამარხებში განზრახ დაზიანებული ლითონის არტეფაქტების ჩატანებაზე. აღმოსავლეთ საქართველოს გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის სამარხების მასალების მიხედვით ეს არსებული სიცარიელე ერთგვარად შეივსო. თუმცა, ამ თვალსაზრისით სასურველი იქნებოდა თვალი გაედევნებინათ დასავლეთ საქართველოს ბრინჯაო-ადრერკინის ხანის სამარხეული ლითონის ინვენტარზე.

დასასრულს აღვნიშნავთ, რომ გიორგი ბედიანიშვილისა და ებბი რობისონის ნაშრომი ლითონი, რიტუალი და განადგურება (ლითონის ნივთების განზრახ დაზიანება საქართველოში ბრინჯაო-ადრერკინის ხანის განძებში და სამარხებში) არის მეტად საყურადღებო მონოგრაფიული გამოკვლევა, რომელსაც გვერდს ვერ აუვლის ამ საკითხებით დაინტერესებული ვერცერთი მკვლევარი. ვფიქრობთ, გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით რომ იგი წარმოადგენს სამაგიდო ნაშრომს აღნიშნულ საკითხებზე მომუშავე სპეციალისტებისათვის.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოთ. ლორთქიფანიძის არქეოლოგიური კვლევის ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

ლერი ჯიბლაძე

დავით მერკვილაძე

**ტყვეთა სყიდვა XVII საუკუნის დასავლეთ საქართველოში  
უცხოელ ავტორთა ცნობების მიხედვით**

**შესავალი**

XVI-XVIII საუკუნეებში საქართველოში გავრცელება ჰპოვა ისეთმა მანკიერმა მოვლენამ, როგორც არის ადგილობრივი მაცხოვრებლების, ძირითადად გლეხების მონებად გაყიდვა. ყოველწლიურად ათასობით, უმეტესად ახალგაზრდა და ჯანმრთელ ადამიანს უსპობდნენ თავისუფლებას და იძულებით ჰყიდდნენ უცხოეთში [ანჩაბაძე 1959: 287]. მოზარდ ვაჟთა უმრავლესობა საგანგებო სამხედრო მომზადების შემდეგ ოსმალეთის რჩეული გვარდიის, იანიჩართა რიგებს ავსებდა, რათა სულთნის იმპერიისათვის დაეღვარათ სისხლი. ლამაზი ქალწულები ოსმალური არისტოკრატის ჰარამხანებში ნანილდებოდნენ. სხვებს სხვადასხვა სამუშაოებისათვის იყენებდნენ შინამოსამსახურებად, სამხედრო და სავაჭრო გემებზე მენიჩბეებად, ქარავნების გამცილებლებად ა. შ. [ბერძენიშვილი 1965: 91]. როგორც წესი, მცირე გამოწვევის გარდა, გაყიდულები ველარასოდეს ბრუნდებოდნენ სამშობლოში და სამუდამოდ შორდებოდნენ თავიანთ ოჯახის წევრებსა და ძვირფას ადამიანებს. „სოციალურ ბოროტებად“ სახელდებულ ამ მოვლენას [ბერძენიშვილი 1965: 92] საქართველოში იმთავითვე უწოდეს „ტყვის სყიდვა“. აღსანიშნავია, რომ ტყვეთა სყიდვამ განსაკუთრებით ფართოდ მოიქიდა ფეხი დასავლეთ საქართველოში და ამას თავისი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური წინაპირობები გააჩნდა.<sup>1</sup>

ამ მძიმე თემას ქართულ ისტორიოგრაფიაში არაერთი გამოკვლევა მიეძღვნა.<sup>2</sup> წარმოდგენილ ნაშრომში ტყვეთა სყიდვის საკითხს ჩვენის მხრივ განვიხილავთ XVII საუკუნის განმავლობაში საქართველოში მოღვაწე თუ მოგზაურ უცხოელ ავტორთა ცნობებზე დაყრდნობით. მათ შორის აღსანიშნავია აქ ხანგრძლივი

<sup>1</sup> თავისი ნაშრომის შესაბამის ქვეთავში „Работоторговля в Абхазии в XVI-XVII вв.“ ჯერ კიდევ ზ. ანჩაბაძე მიუთითებდა, რომ აღნიშნულ ხანებში „კავკასიაში და მათ შორის აფხაზეთში გაბატონებულმა სოციალ-ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა ვითარებამ ძალზე ხელსაყრელი პირობები შექმნა ამ მხარის ახლო აღმოსავლეთის ტყვეთა ბაზარზე მონების სახით იაფი მუშახელის ერთ-ერთ მთავარ მომწოდებლად გადასაქცევად“ [ანჩაბაძე 1959: 285].

<sup>2</sup> მათ შორის აღსანიშნავია ამ თემისადმი მიძღვნილი სამეცნიერო მონოგრაფია [კილახონია 2006].

დროის განმავლობაში მოღვაწე თეატელთა კონგრეგაციის კათოლიკე მისიონერები: პიეტრო ავიტაბილე, ჯუზეპე (ჯოზეფო) ჯუდიჩე, კრისტოფორო კასტელი, არქანჯელო ლამბერტი და ჯუზეპე მარია ძამპი (აქვე უნდა ითქვას, რომ ავიტაბილეს გარდა, ჩამოთვლილ პირთაგან ყველამ თავისი მოღვაწეობის ძირითადი დრო დასავლეთ საქართველოში - სამეგრელოსა და გურიაში გაატარა), რომლებიც ენაწყლიანად მოგვითხრობენ საქართველოში არსებული ვითარებისა და მათ შორის ტყვეთა სყიდვის შესახებაც. აქვე მოვიხმობთ სხვა უცხოელ ავტორებსაც (ესენია: ოსმალ ოსტორიკოსი ევლია ჩელები, ფრანგი ვაჭარი ჟან შარდენი, ანტიოქიის მართლმადიდებელი პატრიარქი მაკარი), რომელთაც საქართველოში იმოგზაურეს იმავე ეპოქაში, მეტნაკლები დრო დაჰყვეს აქ და აგრეთვე ძალზე მნიშვნელოვანი ცნობები დაგვიტოვეს საქართველოსა და ზოგადად კავკასიაში ტყვეთა სყიდვის თაობაზე.

ზემოაღნიშნულ უცხოელ ავტორთა მიერ დატოვებული მონაცემები საშუალებას იძლევა, მკითხველის წინაშე წარმოვაჩინოთ იმდროინდელ საქართველოში ამ მხრივ შექმნილი მდგომარეობა და ტყვეთა სყიდვის ამდენად ფართოდ გავრცელების ობიექტური წინაპირობების მთელი წყება, რის შედეგადაც ყოველწლიურად დასავლეთ საქართველოდან ათასობით თავისუფლებანართმეული ადამიანი ძალდატანებით გაჰყავდათ სამშობლოდან უცხოეთში.

## 1. ტყვეთა სყიდვის მიზეზები

### 1.1. პოლიტიკური მიზეზები

XVII საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოს ერთიანი მონარქიის სამეფო-სამთავროებად დაშლამ მაქსიმალურ ნიშნულს მიაღწია. ეს ვითარება კიდევ უფრო მეტად აისახა დასავლეთ საქართველოზე, სადაც ხუთი დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეული იყო ჩამოყალიბებული ერთი სამეფოსა (იმერეთი) და ოთხი სამთავროს (გურია, სამეგრელო, აფხაზეთი, სვანეთი) სახით. დიდი ხანია, აღარ არსებობდა ცენტრალური სახელმწიფო ხელისუფლება, რომელსაც შეეძლო წინ აღდგომოდა ტყვეებით ვაჭრობას. მეტიც, იმერეთის მეფის ხელისუფლება იმდენად დასუსტებული აღმოჩნდა, რომ გაძლიერებული ოდიშის მთავრის (ლევან II-ის) თავდასხმების მოგერიებაც კი უალრესად უჭირდა.

1555 წელს სპარსეთსა და ოსმალეთს შორის გაფორმებული ამასიის ზავით მთელი დასავლეთ საქართველო ოსმალეთის ხელდებული გახდა. დასავლეთ საქართველოს ხელისუფალნი არათუ ერთმანეთთან ვერ ახერხებდნენ შეთანხმებას გარეშე მტრის წინ

ნააღმდეგ რაიმე ერთობლივი ღონისძიებისათვის, თავის ისედაც მწირ სამხედრო და ეკონომიკურ შესაძლებლობებს ერთმანეთთან გაუთავებელ კინკლაობასა და ბრძოლებში ხარჯავდნენ და ამ ბრძოლებისას კიდევ უფრო ასუსტებდნენ ერთმანეთს. XVII საუკუნის პირველ ნახევარში მომეტებულად გაძლიერდა ოდიშის სამთავრო, რომელმაც თავის გავლენაში მოაქცია გურია, თუმცა მისი ამ გაძლიერების შესაბამისად, უკიდურესად დაკნინდა იმერეთის სამეფო, რაც უშუალო შედეგი იყო მის მიმართ ლევან II-ის მიერ განხორცილებული აგრესიული პოლიტიკისა. თუმცა ოდიშის სამთავროს შედარებითი სიძლიერეც ამ უკანასკნელი მთავრის გარდაცვალებასთან ერთად დასრულდა. ამგვარ შიდაბრძოლებში კი დაპირისპირებული მხარეები მოწინააღმდეგე მხარის დასუსტების მიზნით დაუნდობლად არბევდნენ ერთმანეთის მინა-წყალს, აჩანაგებდნენ სოფლებს და ტყვედ მიჰყავდათ ადგილობრივი მოსახლეობა, ძირითადად კი სწორედ მწარმოებელი ფენა, რომელთაც შემდეგ მონებად ჰყიდნენ ოსმალთა ვაჭრებზე. ცხადია, ზემოაღწერილი ვითარება ხელსაყრელი იყო ოსმალეთისათვის, რომელსაც უკვე დაეკავებინა ქართული სამთავროების მინა-წყალზე მდებარე ყველა საზღვაო ნავსადგური.

აღსანიშნავია, რომ XVII საუკუნისათვის ოსმალეთის ხელისუფლებას უკვე დასრულებული ჰქონდა ბრძოლა შავ ზღვაზე სრული გაბატონებისათვის, რის შედაგადაც მთელი ვაჭრობა შავიზღვისპირეთში ოსმალების ხელში იყო გადასული. შავიზღვისპირა ნავსადგურებშიც მხოლოდ სულთნის ქვეშევრდომი ვაჭრების ხომალდები მიმოდით. სულთნის საბრძანებლოში კი ამ დროს დიდი მოთხოვნილება იყო ტყვე-მონებზე. ამ ცოცხალი „საქონლის“ მთავარ მომწოდებლად კი სწორედ შავი ზღვის რეგიონი გადაიქცა. ამ მხრივ საგულისხმოა არქანჯელო ლამბერტის შენიშვნა იმის შესახებ, რომ ოსმალებს „მიჰყავთ მრავალი ტყვე არა მარტო სამეგრელოდან, არამედ ჩერქეზეთიდან, ალანეთიდან და ჯიქეთიდან. გარდა ამისა, თათრები (იგულისხმებიან ყირიმელი თათრები - დ. მ.) ხშირად შედიან რუსეთში და პოლონეთში და იქ იძენენ მრავალ ტყვეს, რომელსაც ჰყიდიან თურქებზე“ [ლამბერტი 2011: 183].

## 1.2. ეკონომიკური მიზეზები

საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს დაშლამ, მუდმივმა ომიანობამ ქართულ სამეფო-სამთავროების მძაფრი ეკონომიკური დაქვეითება გამოიწვია. მასობრივი გაღატაკება შეეხო ყველა სოციალურ ფენას, გამორჩეულად კი - გლეხობას. უკიდურესად შემცირდა ან სრულიად შეწყდა ადგილობრივი წარმოება არათუ ფუფუნების, მრავალი აუცილებელი პირველადი მოხმარებისა

საგნებისაც კი მინიმუმამდე დავიდა ქვეყანაში ფულის მიმოქცევა. ამის გამო ადგილობრივი ვაჭრობა ეპოქისადმი მეტად შეუსაბამო და ჩამორჩენილი სახით - უმთავრესად ნატურალური გაცვლის სახით მიმდინარეობდა.

კრისტოფორო კასტელის ცნობით, „კოლხეთში არავითარი ალბ-მიცემობა ან ფულით სავაჭრო ურთიერთობა არ არსებობს, სახელოსნო-დუქნები ანუ სავაჭრო ადგილები კი აქვთ. ქვეყნის შიგნით ფული ხმარებაში არაა“. იქ „საქონლით ასე ვაჭრობენ: მაგალითად, ერთი ქათამი ღირს ერთი გირვანქა მარილი... ცხვარი თხაზე იცვლება, ერთი ხარი - სამ ვერძზე, ცხენი - სამ ხარზე და სხვ.“ [კასტელი 1976: 54]. ამ ცნობას ადასტურებს ჯუზეპე ჯუდიჩეც: „სავაჭროდ ფულს არა ხმარობენ, არამედ სყიდვა-გაყიდვისათვის საქონლის გაცვლა-გამოცვლა სწარმოებს... ერთი თხა რვა ან ათ დედლად იყიდება, ერთი ჭედილა - ორ თხად, ერთი ძროხა - ორ ჭედილად, ერთი ცხენი - ორ ან სამ ძროხად“ [ჯუდიჩე 1964: 89].

არქანჯელო ლამბერტი კი მოგვითხრობს: „ფულით აქ (იგულისხმება სამეგრელო – დ. მ.) საერთოდ არ სარგებლობენ. თუმცა გურიის პროვინციაში იგი მცირე რაოდენობით მიმოქცევა-შია. ფულის ნაცვლად გამოიყენება ნემსები, მარილი, ფერადი ტილო, საკმეველი, წინაკა და მთის ბროლი“ [ლამბერტი 2015: 25]. იტალიელი მისიონერების ამ ცნობას ეხმიანება დასავლეთ საქართველოში 20-ოდე წლის შემდეგ ნამყოფი ფრანგი ვაჭარი ჟან შარდენიც: „სამეგრელოს მთელ ვაჭრობას გაცვლითი ხასიათი აქვს და წარმოებს ბაზრობაზე, რომელიც მონაცვლეობით სხვადასხვა ადგილზე ტარდება... საქონელს საქონელში ცვლიან. ხალხში ფულს დადგენილი ღირებულება არ აქვს.“ ავტორი იქვე დასძენს, რომ „მიმოქცევაშია, პიასტრები, ჰოლანდიური ეკიუ და აბაზი“ [შარდენი 2018: 134-135]. ამკარაა, ფრანგი ავტორის მიერ დასახელებული ფულის ერთეულები სამეგრელოში უმნიშვნელო რაოდენობით მოიპოვებოდა, სხვა შემთხვევაში „მთელ ვაჭრობას გაცვლითი ხასიათი“ არ ექნებოდა და საქონელს საქონელში კი არ გაცვლიდნენ, არამედ მის შესაძენად შესაბამის ფულად თანხას გამოიყენებდნენ.

ოქრო და ვერცხლი ან ამ მასალის ნაკეთობანი თვით სამეგრელოს არისტოკრატიულ ოჯახებშიც ძნელად თუ მოიპოვებოდა („არ იშოვებოდა“) და თუ რამე იძებნებოდა, ისიც ოსმალეთიდან იყო ვაჭრების მიერ შემოტანილი [კასტელი 1976: 54]. იოლი მოსაპოვებელი არ იყო ტანისამოსიც, რის გამოც მოსახლეობის დიდი ნაწილი გადაძვლებული და გაცვეთილ-დაკუმსილი სამოსით („დაძინძილი“) დადიოდა. აღსანიშნავია, რომ ასეთივე „ძონძებით“ იყვნენ შემოსილნი გურიასა და სამეგრელოში მოღვაწე კათოლიკე პატრებიც.

მაშასადამე, ამ შემთხვევაში ჩვენს თვალწინ იშლება სამეგრელოს სამთავროში შექმნილი უმძიმესი ეკონომიკური მდგომარეობა, რომელიც საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს დაშლის შემდეგ დაწყებული საერთო ეკონომიკური დაქვეითების გამოხატულება იყო და ეს მაშინ, როცა ეს სამთავრო ამ ხანებში ყველაზე ძლიერ პოლიტიკურ ერთეულს წარმოადგენდა მთელს დასავლეთ საქართველოში. ცხადია, მსგავსი ან უარესი მდგომარეობაა საგულვეტელი დასავლეთ საქართველოს დანარჩენ პოლიტიკურ ერთეულებშიც. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საერთო ეკონომიკურმა დაცემამ საქართველოში პიკს სწორედ XVII საუკუნეში მიაღწია. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ერთიანი ქართული მონარქიის დაშლის შემდეგ ეს იყო ყველაზე მძიმე და კრიზისული ხანა მთელი საქართველოსათვის.

საჭირო ნივთების დიდი ნაწილი და ფუფუნების საგნები კი მთლიანად მეზობელი ოსმალეთიდან შემოდიოდა. „კონსტანტინოპოლიდან ჩამოდიან ხომალდები, რომელთაც მოაქვთ ყოველგვარი საქონელი და ყველა კეთილგონიერი ადამიანი მთელი წლისთვის იმარაგებს ფეხსაცმელს, ტანსაცმელს, ზეთს, მარილს, დამარილებულ თევზს და სხვა ნივთებს, რომელიც აქ არ არის“ [ლამბერტი 2015: 25-26]. კონსტანტინოპოლის გარდა, ვაჭრები მოდიოდნენ უფრო ახლომდებარე ქალაქებიდანაც (რიზე, გონიო, ტრაპიზონი), საიდანაც მათ მოჰქონდათ „ბლომად ფული და ტანისამოსი, რაც ფრიად ეჭირვება აქაურ ხალხს“ [ლამბერტი 2011: 94]. სხვაგან იგივე ავტორი უფრო დაწვრილებით აღწერს შემოტანილი საქონლის სახეობებს: „თურქებს მოაქვთ კონსტანტინოპოლიდან ოდიშში შემდეგი საქონელი: მშვენიერი ნაირნაირი ხალები, საბნები, თურქული ტყავები, უნაგირები, ცხენის მოკაზმულობა, მშვილდ-ისრები, შალეები და მაუდები ყოველნაირი ფასისა, რკინა, თითბერი, ქვაბები, მატყლი, შეღებილი და სახეებიანი ტილოები, დამარილებული თევზი, ხიზილალა, დანები, საკმეველი, პილპილი, შაქარი და მარილი“ [ლამბერტი 2011, 180-181]. ვაჭრობაში მონაწილეობას იღებდნენ ასევე სულთნის ქვეშევრდომი ლაზები, რომელთა ჭოროხის აღმა და სამეგრელოსაკენ მიჰქონდათ მარილი, რკინეული და სხვადასხვა ხელსაწყო-იარაღები“ [ჩელები 1971: 95]. დასავლეთ საქართველოში გასაყიდად შემოტანილი საქონლის მრავალფეროვნება უდავოდ თვალში საცემია.

ვინაიდან ქვეყანაში ფულის დიდი ნაკლებობა იყო, ადგილობრივი მოსახლეობა საჭირო საქონელს გაცვლის საშუალებით იძენდა: „თურქთა გემების მოსვლის დროს მეგრელები უფრო ეტანებიან უცხო საქონლის შეძენას ადგილობრივ საქონელში გაცვლით“ [ლამბერტი 2011: 180]. ჩამოსული ვაჭრები „სამაგი-

ეროდ მეგრელებისაგან იღებენ თაფლს, ცვილს, ადგილობრივ ტილოს, ძაფს, აბრეშუმს, ხარის, კვერნის და წავის ტყავებს. ბზის ხეებში თურქები ძალიან იგებენ, რადგან სამას თუ ოთხას სკუდის მარილით ყიდულობენ იმდენ ხეს, რომელიც ხუთიათას სკუდიზე მეტი ღირს. თითო ხომალდში ატევენ ხუთ-ექვს ათას ხეს და კონსტანტინოპოლში ჰყიდიან“ [ლამბერტი 2011, 181]. მაგრამ ასევე ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ გაცვლის ყველაზე გავრცელებულ და სამარცხვინო საგანს წარმოადგენდნენ ადგილობრივი ტყვეები: „ვისაც ამ მომენტისათვის ფული არა აქვს, ის თურქებზე ყიდის მონებს“ [ლამბერტი 2015: 26]. ადამიანებით ვაჭრობას კი ახალისებდნენ ჩამოსული ვაჭრები, რომლებიც თავიანთ ჩამოტანილ საქონელს სიამოვნებით ცვლიდნენ ტყვეებში [ჯუდიჩე 1964: 89]. ისინი „არ ჰზოგავენ არც ჯაფას და არც ფულს, ოღონდ შეიძინონ ტყვეები“ [ლამბერტი 2011: 183]. ადგილობრივთათვის ფრიად საჭირო შემოტანილ საქონელში ოსმალთ ვაჭრები „სამაგიეროდ მხოლოდ ტყვეებს თხოულობენ“ [ლამბერტი 2011: 94]. „მონად გაყიდულ კოლხელ ყმებში მაჰმადიანი მოვაჭრენი აძლევენ ვერცხლის ლარნაკს, ოქროსა და მისთანას“ [კასტელი 1976: 54]. მთლიანობაში „თურქები დიდ მოგებას ღებულობენ სამეგრელოდან გატანილი საქონლით – ოთხ ეკიუდ ჰყიდიან იმას, რაშიც ერთი ეკიუ აქვთ გადახდილი. განსაკუთრებით ბევრს იგებენ ტყვეებზე“ [შარდენი 2018: 133-134]. ტყვე მონებით ვაჭრობით ორივე მხარის განსაკუთრებულ დაინტერესებას მწყობრად და ცხადად განმარტავს ლამბერტიც. ამგვარი გარიგებით ჩამოსული ვაჭრები განსაკუთრებულ მოგებას ნახულობდნენ: „რადგან ტყვეები ბევრს არ იწონიან, რამდენსაც იშოვნებენ, იმდენს ჩაჰყრიან ხომალდში.“ კმაყოფილები იყვნენ ადგილობრივი ტყვეების გამყიდველებიც, „რადგან ერთ ტყვეში აიღებენ ყველა საქონელს, რაც სახლში ეჭირვებათ.“ ამიტომ ისინი „დიდი სიამოვნებით ჰყიდიან ტყვეებს“ [ლამბერტი 2011: 181]. ვაჭრები დიდად იყვნენ დაინტერესებული ლამაზი ქალების შეძენით, „რომელთა სასყიდლად თურქები ფულს არ ზოგავენ, ოღონდ ქალი ლამაზი იყოს. მეგრელის ქალები ხომ უმეტეს წილად იშვიათი სილამაზისანი არიან. ზოგჯერ თითო ქალში იძლევიან სამას თუ ოთხას სკუდოს.“ [ლამბერტი 2011: 181]. ამის გამო სამეგრელოში ქალების ნაკლებობა ძალზე შესამჩნევი გამხდარა [ლამბერტი 2015: 26].<sup>3</sup> აღსანიშნავია, რომ კასტელის ჩანახატებში

<sup>3</sup> შესაძლოა ამ მდგომარეობით აიხსნას მაკარი ანტიოქიელის შენიშვნა, რომ „როცა ცოლიან კაცს ჰყიდიან, მისი ცოლი უმაღვე სხვას მიჰყვება“ [მაკარი 1982: 106].

მოიპოვება სურათი წარწერით: „თურქებზე გაყიდული ქართველი ქალი“ [კასტელი 1976: 117, სურ. 153].

ოსმალეთიდან მოსულ ვაჭრები ასევე სიამოვნებით იძენდნენ ბავშვებს. კასტელის ცნობით, ამის გამო მათთან მრავალი ხელშეკრული ბავშვი მიჰყავდათ გასაყიდად. მისიონერი იქვე დასძენს, რომ მას „საკუთარი თვალთ უნახავს კოლხეთის პროვინციაში გაყიდული უამრავი ყმაწვილი“, შემდგომ კონსტანტინოპოლის გზას რომ გაუყენეს [კასტელი 1976: 54]. ხშირად სავაჭრო გემი ძირითადად გაყიდული ბავშვებით დატვირთული ტოვებდა შავი ზღვისპირა ნავსადგურს [კასტელი 1976: 148].

როგორც ვხედავთ, თეატელი მისიონერების მიერ მოწოდებული ცნობების მიხედვით, დასავლეთ საქართველოში ტყვეთა სციდვის ეკონომიკურ მიზეზებად იკვეთება ერთი მხრივ, ადგილობრივი მოსახლეობის დიდი ეკონომიკური სიდუხჭირე და პირველადი მოხმარებისა თუ ფუფუნების საგნების ადგილობრივი წარმოების უკიდურესი დაქვეითება (ხშირ შემთხვევაში საერთოდ არარსებობაც) და მეორე მხრივ, ოსმალეთის იმპერიაში ტყვე მონებზე გაძლიერებული მოთხოვნილება, რის გამოც ოსმალეთიდან შემოსული ვაჭრები მათ მიერ შემოტანილ საჭირო საქონელს უფულო ადგილობრივებს სიამოვნებით უცვლიდნენ ტყვეებში.

### 1.3. სოციალური მიზეზები

ჩვენთვის საინტერესო ეპოქაში ფეოდალურ ურთიერთობას ქართულ სამეფო-სამთავროებში მეტ-ნაკლებად მძიმე ფორმები ჰქონდა მიღებული. ფეოდალურ ზედაფენას ოსმალეთიდან შემოტანილი საქონლის შესძენად საჭირო ფული არ გააჩნდა, ქვეყანი ფულის მიმოქცევის უკიდურესი სიმცირის გამო. ამავე მიზეზით ისინი ვერ ახერხებდნენ თავიანთი ყმების ფულად დაბეგრასაც (ამ უკანასკნელთ იგი, როგორც წესი, საერთოდ არ მოეპოვებოდათ). ვინაიდან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ოსმალეთის ბაზარზე დიდი მოთხოვნილება იყო ტყვე-მონების მიმართ, ადგილობრივი ფეოდალური ზედაფენის წარმომადგენლები მათთვის საჭირო საგნების შეძენას ფულის უქონლობის პირობებში საკუთარი ყმების გაცვლის გზით ახერხებდნენ. მათთვის ყმები იქცნენ ასევე უშუალოდ ფულის შოვნის წყაროც. ამას ხელს უწყობდა და ამავე დროს ახალისებდა კიდევ ის გარემოება, რომ ფეოდალურმა ზედაფენამ პოლიტიკურ უფლებებთან ერთად კიდევ უფრო გაიმყარა თავიანთი სოციალური უფლებები თავიანთ

ვასალებზე და განსაკუთრებით ყმა-გლეხობაზე. ამ მხრივ იტალიელი მისიონერების ძირითადი ცნობები სამეგრელოს ეხება, საიდანაც ცხადად ჩანს, როდენ დესპოტური სახე ჰქონდა მიღებული ბატონყმურ ურთიერთობას ამ სამთავროში XVII საუკუნის განმავლობაში.

იტალიელ მისიონერებს, ცხადია, შეუმჩნეველი არ დარჩენიათ სოციალური ურთიერთობის თვალსაზრისით ესოდენ მძიმე ვითარება, რისი შემსწრეც თავად გახდნენ და ასევე რამდენად განსხვავდებოდა აღნიშნული ურთიერთობანი ევროპის სახელმწიფოებში იმავე ხანებში არსებული ფეოდალური ურთიერთობისაგან. ისინი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად აღნიშნავენ ყმა-გლეხობის სრულიად უფლებო მდგომარეობას, როცა ყმა-გლეხი ფაქტობრივად მისი მებატონის საკუთრებას წარმოადგენდა და ბატონს საკუთარი ნება-სურვილისამებრ შეეძლო მას მოქცეოდა.

ა. ლამბერტი მიუთითებს, რომ სამეგრელოში „თავადებს ისეთი უფლება და მნიშვნელობა აქვთ სამეგრელოში, როგორც არ მოეპოვება არც ერთ თავადს ევროპაში“ [ლამბერტი 2011: 50]. შემდეგ იგი საუბრობს, რამდენად განუზომელი უფლებები გააჩნდა მათ თავიანთი ყმების მიმართ და რაში გამოიხატებოდა განსხვავება მისი მშობლიური იტალიისაგან: „აქაური ბატონების უფლება ბევრად აღმატება ჩვენი იტალიელი ბატონების უფლებას, რადგან აქაურ ბატონს შეუძლია გაასამართლოს თავისი ყმა და ყმას ნება არ აქვს მის განაჩენზე იჩივლოს თვით მთავრის წინაშე. ბატონს შეუძლია არამც თუ დაატუსაღოს თავისი ყმა, არამედ აწამოს და სასტიკად დასაჯოს, მაგალითად მოსჭრას ხელი, ფეხი, ამოთხაროს თვალები, წაართვას ყოველივე ქონება და მოუსპოს თვით სიცოცხლეც“ [ლამბერტი 2011: 52]. მსგავსი მითითება იძებნება ჟან შარდენის ნაშრომშიც: „დიდებულებს აქ (სამეგრელოში - დ. მ.) თავიანთ ქვეშევრდომების სიცოცხლესა და ქონებაზე განუზომელი უფლებები აქვთ, როგორც უნდათ, ისე ექცევიან მათ“ [შარდენი 2018: 127].

ბუნებრივია, ფეოდალთა ზედაფენის შეუზღუდავი უფლებები თავიანთ ყმებზე და შესაბამისად ყმა-გლეხთა სრული უუფლებობა ამ უკანასკნელ სოციალურ ფენას სრულიად დაუცველს ხდიდა, რაც მის ნებისმიერ წარმომადგენელს მუდმივად აყენებდა იმ საფრთხის წინაშე, ნებისმიერ დროს აღმოჩენილიყო საკუთარი ოჯახისა და მშობლიური გარემოდან ძალადობრივად მოწყვეტისა და უცხოეთში მონად გაყიდვის მსხვერპლი.

## 2. ტყვეთა სყიდვის სახეები

იტალიელი მისიონერების ცნობებში ადამიანების ნების უკითხავად და ძალადობრივად საზღვარგარეთ სამუდამოდ ტყვედ გაგზავნის სხვადასხვა სახე ფიქსირდება. შეიძლება ითქვას, რომ ამ ცნობებში არ (ან თითქმის არ) არის გამორჩენილი არც ერთი ფორმა ამ ზნედაცემული მოვლენისა.

### 2.1. ბატონების მიერ თავიანთი ყმების მონებად გაყიდვა

ბატონების მიერ თავიანთი ყმების მონებად გაყიდვა ტყვეთა სყიდვის ყველაზე გავრცელებული სახე იყო. ფეოდალური ზედაფენის მიერ საკუთარ ყმებზე ზემოაღწერილი უზომო და შეუზღუდავი უფლებები, რომლებიც ხშირად დესპოტურ სახეს იძენდა, ბატონებს ხელ-ფეხს უხსნიდა, თავისუფლად და ასევე შეუზღუდავად მიეყიდათ თავიანთი ყმები ოსმალო ვაჭრებისათვის. თანამედროვე ფრანგი მოგზაურის სიტყვით, „ისინი მხოლოდ შემთხვევას ეძებენ, თავიანთ ქვეშევრდომებს რომ დაესხან თავს, რათა მათი ცოლშვილიანად გაყიდვის საშუალება მიეცეთ“ [შარდენი 2018: 134]. მათ ამისკენ უბიძგებდა ასევე შექმნილი მძიმე ეკონომიკური შეჭირვებული მდგომარეობა. ფუფუნებისა და თუ სხვა საგნების შესაძენად საჭირო თანხა არ იშოვებოდა, მონებზე კი ოსმალეთის ბაზარზე დიდი მოთხოვნილება იყო და ფასსაც კარგად იხდიდნენ როგორც უშუალოდ ფულის, ასევე შემოტანილი საქონლის სახითაც. ფული კი განსაკუთრებით საჭირო ხდებოდა ოსმალეთიდან სხვადასხვა საქონლით დატვირთული სავაჭრო გემების შემოსვლის დროს. ხოლო „ვისაც ამ მომენტისათვის ფული არ აქვს, ის თურქებზე ყიდის მონებს“ - გვაუწყებს ლამბერტი [ლამბერტი 2015: 26]. ამის გამო იყო, რომ პიეტრო ავიტაბილეს სიტყვებით, „ყველაზე დიდი ვაჭრობა, რასაც ეს ქართველი დიდებულები მისდევენ... ქალ-ვაჟების თურქებზე გაყიდვა“ [ავიტაბილე 1977: 34].

ჯუდიჩე წერს, რომ „სამეგრელოში ყველა ყმა, მთავრისაა იგი თუ თავადისა, შეუძლიათ გაყიდონ. მართლაც, ყოველ წელს მრავალრიცხოვან ქალსა და კაცს თურქებზე ჰყიდებენ“ და ამგვარი ვაჭრობით „ტანსაცმელს, მოვერცხლილ იარაღს და სხვა საჭირო ნივთებს იძენენ ოჯახისათვის“ [ჯუდიჩე 1964: 89]. მისიონერის ამ ცნობას კარგად მიესადაგება მაკარი ანტიოქიელის სიტყვებიც, რომ „ზოგი ქართველი ქრისტიანი ტყვეების გაყიდვას ისე უყურებს, როგორც ჩვენში ნივთის გაყიდვას.“ პატრიარქი იქვე დასძენს, რომ ამ სამარცხვინო ვაჭრობაში ჩაბმული იყვნენ ქალებიც (აქ უთუოდ იგულისხმებიან ფეოდალური ზედაფენის წარმომადგენელი ქალბატონები): „ქართველი ქალებიც კი ჰყიდ-

იან თავიანთ მსახურებს და ამ გზით ნაშოვნი ფულით საჭმელ-სასმელსა და ძვირფასი აბრეშუმის სამოსს ჰყიდულობენ“ [მაკარი 1982: 99]. შარდენის სიტყვით, სამეგრელოს თავადები თავიანთ ქვეშევრდომებს ართმევდნენ ცოლებსა და ბავშვებს და ჰყიდიდნენ [შარდენი 2018: 127].

ყმების მონებად გაყიდვა უშუალოდ ამ გარიგებით აღებული საფასურის გარდა, ცალკეულ შემთხვევებში ბატონს საშუალებას აძლევდა, გაყიდული ყმის ქონებასაც დაუფლებოდა. ასე მაგ., ლამბერტის ცნობით, უშვილოდ გარდაცვლილი ყმის მთელ ქონება, ჩვეულებრივ, მის ბატონს რჩებოდა, მაგრამ ზოგჯერ ისეც ხდებოდა, რომ როცა ყმას ერთადერთი მცირეწლოვანი შვილი ჰყავდა, ბატონი მას გაუყიდდა ხოლმე ოსმალეთში („თურქეთში“) და ამ გზით ეპატრონებოდა მის მემკვიდრეობას [ლამბერტი 2011: 52]. ამ მხრივ კიდევ უფრო სასტიკ ვითარებაზე საუბრობს პატრიარქი მაკარი. მისი თქმით, ყოფილან ისეთი გულქვა ქართველებიც (შინაარსობრივად აქაც უთუოდ ფეოდალური კლასის ზოგიერთი წამომადგენელი იგულისხმება), რომლებიც მრავალშვილიან ყმა-გლეხებს მხოლოდ იმიტომ ხოცავდნენ, რომ მათი დაობლებული შვილები იოლად გაეყიდათ. ხოლო თუკი ბავშვებს ორივე ან ერთ-ერთი მშობელი გარდაეცვლებოდათ, ბატონი სარგებლობდა ამით და დაობლებულებს მონებად ყიდდა. „ამიტომაა, რომ ქართველებში არ არიან ობლებიო“, – წერს პატრიარქი [მაკარი 1982: 105].<sup>4</sup>

ლამბერტის აღწერილი აქვს ერთი საინტერესო შემთხვევაც, როცა ოდიშის წარჩინებულ თავად ჭილაძეს, რომელიც დაჩვეული ყოფილა ყმების გაყიდვას, ერთხელაც „თურქთა გემების მოსვლის დროს დასჭირდა ათი-თორმეტი ტყვე ოსმალებზე გასასყიდად, რათა სამაგიეროდ ეყიდნა მათგან სხვადასხვა საქონელი, რომელიც სახლში სჭირდებოდა.“ ყმებმა იცოდნენ რა თავიანთი ბატონის სიხარბის ამბავი, დროებით სხვაგან გახიზნულან, ბატონს ხელში რომ არ ჩავარდნოდნენ. მაგრამ ჭილაძეს იხტიბარი არ გაუტეხია და ერთი ვერაგული ხერხი მოუფიქრებია: მან სახალხოდ გამოაცხადა, რომ თავის კარის ეკლესიაში საზეიმო წირვის ჩატარებას აპირებდა და მღვდლებს სანაქებო პურ-ღვინოსა და კარგ გასამრჯელოს შეპირდა. „დანიშნულ დღეს თორმეტი მღვდელი გამოცხადდა. მათ დიდებულად შეასრულეს წირვა, რომელსაც დიდი ღვთისმოსაობით დაეწრო ჭილაძე.“ წირვის

<sup>4</sup> პატრიარქი მაკარი იმასაც აღნიშნავს, რომ ბატონები ხშირად ყიდდნენ დაქვრივებულ ქალებსაც [მაკარი 1982: 105].

დასრულების შემდეგ დაპირებული სუფრისა და საჩუქრების ნაცვლად ჭილაძემ თორმეტივე ღვთისმსახური ეკლესიაში ჩაკეტა, ჯაჭვებით შეაკვრევინა, თმა-წვერი „მოაპარსვინა და პირდაპირ წაიყვანა თურქთა გემებზე გასასყიდად... და ფასად აიღო ათასი სკუდოს სხვადასხვა საქონელი“<sup>5</sup> [ლამბერტი 2015: 181-182]. მსგავსი შემთხვევა შეიძლება არც ისე ძალიან ხშირად ხდებოდა, მაგრამ გამონაკლისიც რომ არ ყოფილა, ამას ისიც ადასტურებს, რომ 1660-ანი წლების შუახანებში სამეგრელოში მყოფი ანტიოქიის პატრიარქიც თავად ყოფილა არაერთი ასეთი ფაქტის მომსწრე. იგი წერს: „ბევრი გვინახავს ქრისტიანებით მოვაჭრენი, რომლებიც ქრისტიანებს ჰყიდიან. მათ მღვდლებიც კი გაუყიდათ ხოლმე. მე ვუხმე რამდენიმეს, რომლებიც მღვდლებს ჰყიდდნენ [ტყვეებად]. ცემა და ბორკილი არ დავაკელი, სანამ ის მღვდელი არ დაიხსნეს, რომელიც უკვე გაეყიდათ. {ასე} დავიხსენი ტყვეობიდან რამდენიმე მღვდელი.“ [მაკარი 1982: 98].

მაკარი პატრიარქი ასახელებს ისეთ შემთხვევასაც, როცა თავად სასულიერო იერარქს გაუყიდა თავისი დაქვემდებარებული მღვდელი: ერთ-ერთი მონასტრის წინამძღვარს (ვინმე ევსევის) მღვდელი მიუყიდა თურქებისათვის, ხოლო გაყიდულის ცოლი სხვისთვის გადაუცია. მღვდელს ტყვეობიდან თავის დახსნა და დაბრუნება მოუხერხებია და სამეგრელოში მყოფ ანტიოქიის პატრიარქთან უჩივლია [მაკარი 1982: 97]. სხვათა შორის, ვინაიდან მაკარი საეკლესიო საკითხებზე ამახვილებდა ყურადღებას, ისეთ ამბებს გადმოგვცემს, როცა სამეგრელოში თვით ეპისკოპოსებიც იყვნენ ჩაბმულნი თავიანთი ეპარქიის ყმებით ვაჭრობაში: „ჩვენ ვნახეთ, როგორ გაყიდა მარტო ერთ წელიწადში მოქვის ეპარქიის ეპისკოპოსმა, სახელად ანდრიამ თავისი სამწყსოს სამოცი კაცი“. ამის გამო ანტიოქიის პატრიარქმა ანდრია თანამდებობიდან გადააყენა, განკვეთა და მის ადგილას „ახალი ღირსეული კაცი“ აკურთხა [მაკარი 1982: 98]. დასავლეთ საქართველოს საეკლესიო თანამდებობის პირთა მხრიდან ადამიანებით ვაჭრობა რომ ერთეულ შემთხვევათაგანი არ ყოფილა, ამას მოწმობს პატრიარქის შემდეგი სიტყვები: „ზოგიერთი ქართველი მღვდელმთავარი ჰყიდის თავის სამწყსოს ლამაზ გოგო-ბიჭებს, პირმშვენიერ ქალი-

<sup>5</sup> ეს ამბავი იმდენად გახმაურებულია, რომ ხალხში კიდევ წლების შემდეგაც სალაპარაკო თემა იყო. შედეგად ამ ამბის განსხვავებულ ვერსიებს ვხვდებით მაკარი ანტიოქიელისა და ჟან შარდენის თხზულებებშიც [მაკარი 1982: 98; შარდენი 2018: 134]. თუმცა ლამბერტის, როგორც თანამედროვის მიერ მოწოდებული ცნობები, უდავოდ უფრო ზუსტი უნდა იყოს და მეტ ნდობას იმსახურებს.

შვილებს და ყველას, ვისაც მისი რისხვა დაატყვებდა. ტყვეებით მოვაჭრენიც მას საამისოდ აქეზებენ. {საქმე იქამდე მივიდა, რომ} კაცს თვალნი ცოლს უყიდიან, ანდა კაცს ჰყიდიან ცოლის თვალნი“ [მაკარი 1982: 98]. ეს გასაკვირი არ მოგვეჩვენება, თუ გავითვალისწინებთ, რომ მაკარისავე ცნობით, სასულიერო იერარქებად ქრთამის სანაცვლოდ სამთავროში ხშირად ინიშნებოდნენ ქრისტიანული ზნეობის უქონელი, უღირსი და გაუნათლებელი, ხანდახან შესაბამისი ხარისხის არ მქონე პირებიც კი, რომლებიც პატარა ტირანებივით განაგებდნენ თავიანთ სამწყსოს. იშვიათი არ იყო, როცა რომელიმე დიდებული თავისი გავლენის წყალობით მღვდელმთავრად ნიშნავდა თავის შვილს. ამრიგად, „მთელი სამწყსო მისი ყმა ხდება, – აღშფოთებული წერს ამის თაობაზე მაკარი – თუ მოისურვებს, მიჰყიდის თურქებსა და {სხვა} ხალხს ლამაზ გოგო-ბიჭებს, ახალგაზრდა ქალებს, ჭაბუკებს და სხვ. ამ საქმეში ხელის შემშლელი მას საერთოდ არავინა ჰყავს“ [მაკარი 1982: 95]. ხანდახან, – განაგრძობს პატრიარქი, – „ზოგიერთ საეპისკოპოსო ტახტზე ბერს ან დიაკვანს დასვამენ ხოლმე. იგი ეპისკოპოსივით განაგებს თავის მრევლს. ვისაც მოისურვებს, თურქებს მიჰყიდის, ბორკილს დაადებს, დააჯარიმებს. [ერთი სიტყვით] აკეთებს იმას, რაც მოეპრიანება. თუ ვინმე არ შეეპუა, იგი მაშინვე გაჰყიდის მას ცოლშვილთან ერთად. [ამიტომ] არც არავინ ეურჩება“ [მაკარი 1982: 96]. ზემოთქმულის დამადასტურებელია ჯუზეპე მარია ძამპის სიტყვებიც: სამეგრელოს ეპისკოპოსები „მდიდრულად იცვამენ, ამ ფუფუნების მოსაპოვებლად უკანასკნელ სისხლს სწოვენ თავიანთ ქვეშევრდომებს, ხოლო შემდეგ თურქებს მიჰყიდიან ხოლმე.“ [შარდენი 2018: 146-147].

ხდებოდა ხოლმე ისეც, როცა რომელიმე ფეოდალი თვითონ „ქრისტიანებისაგან იაფად ყიდულობდა“ თანამემამულეებს „ათასი ფიქტიური და ტყუილი ფიცით, თითქოს ეს ტყვეები სახლში გამოსაყენებელ მსახურებად, ან მათი ნათესავებისა და მეგობრებისთვის უნდოდეთ და შემდეგ კი მაღალ ფასებში თურქებზე ჰყიდდნენ“ [ავიტაბილე 1977: 74]. ასეთი თაღლითური „კომერცია“, ცხადია, მათ მნიშვნელოვან შემოსავალს აძლევდა.

ამრიგად, ქრისტიანულ ზნეობასთან ისეთი შეუთავსებელი საქციელი, როგორცაა ადამიანების გაყიდვა, ხელსაყრელი ვითარების პირობებში მეტისმეტად გავრცელდა დასავლეთ საქართველოს ფეოდალურ საზოგადოებაში, მის როგორც საერო, ისე საეკლესიო წრეებში. ცდუნება ძალზე დიდი იყო. ამით უნდა აიხსნებოდეს ჯუდიჩეს სიტყვებიც: „თუმცა მონებით, ტყვე-

ებით ვაჭრობა ცოდვად მიაჩნიათ, მაგრამ თითქმის ყველა იღებს მონაწილეობას ამ ვაჭრობაში“ [ჯუდიჩე 1964: 98].<sup>6</sup>

## 2.2. ტყვეების სახით გადახდილი ხარკი

XVII საუკუნეში დასავლეთ საქართველო ოსმალეთის ხელ-  
დებულ მხარედ მიიჩნეოდა. აქაურ მთავრებს, როგორც სულთ-  
ნის ვასალებს, ევალებოდათ ყოველწლიურად ეხადად მათთვის  
დადგენილი ხარკი. ამგვარ ხარკში, როგორც წესი, აუცილებლად  
მოიაზრებოდნენ ადამიანებიც. მათი ოსმალეთში გაგზავნა ერთ-  
ერთ მნიშვნელოვან ვალდებულებას წარმოადგენდა დასავლეთ  
საქართველოს ხელისუფალთათვის.

ოსმალეთის მიმართ დასავლეთ საქართველოს მეფე-  
მთავრების სახარკო ვალდებულების შესახებ დაწვრილებით  
ცნობებს იძლევა თეატელი მისიონერი, ჯუზეპე მარია ძამპი:  
„იმერეთის მეფის გადასახადს წარმოადგენდა ოთხმოცი მოზარდი  
– გოგონები და ბიჭები, ათიდან ოც წლამდე;<sup>7</sup> გურიის მთავრისას  
– ორმოცდაექვსი ასეთივე მოზარდი; სამეგრელოს მთავარი იხ-  
დიდა ადგილობრივი წარმოების სამოცდაათი ათას არშინ სელის  
ტილოს.“ სამეგრელოში მოღვაწე ბერი იქვე დასძენს, რომ „ხარკი  
აფხაზებსაც ჰქონდათ დაკისრებული,“ რასაც ისინი თავიდან  
ცოტა ხნის განმავლობაში იხდიდნენ, ახლა კი კი საერთოდ აღა-  
რაფერს იხდიანო [შარდენი 2018: 206]. სამეგრელოს მთავარზე  
დაკისრებულ ხარკში ძამპთან, დასავლეთ საქართველოს სხვა  
ხელისუფალთაგან განსხვავებით, ტყვეები დასახელებული  
საერთოდ არ ჩანს, რაც ცოტა არ იყოს, უცნაურად გამოიყ-  
ურება. სამაგიეროდ ჯუდიჩე გვამცნობს, რომ ლევან დადიანი  
სამთავროში თავისი ხელისუფლების სტაბილურობის უზრუნვე-  
ლსაყოფად „ხონთქარს (turco) ხარკის სახით ყოველწლიურად  
უგზავნის ქალ-ვაჟებს, მიმინოებსა და სხვ.“ [ჯუდიჩე 1964: 85].  
ჯუდიჩეს ამ ცნობას ადასტურებს ევლია ჩელებიც. იგი წერს, რომ

<sup>6</sup> „ასეთი მოვლენა უფრო მძიმე ცოდვაა, როცა იციან, რასაც სწადიან“ – საყვე-  
დურით აღნიშნავს ადამიანებით ვაჭრობის შემხედვარე მეორე მისიონერი [აკი-  
ტაბილე 1977: 74]. ამგვარი სამარცხვინო ვაჭრობის ესოდენ გავრცელებას ამის  
შემხედვარე შეწუხებული მაკარი ანტიოქიელი იმით ხსნის, რომ „ქართველები  
მაგალითს იღებდნენ მღვდელმთავრებისა და მღვდლებისაგან“ [მაკარი 1982: 99],  
რაც, ცხადია, აღნიშნული ვითარების გამომწვევი მიზეზების ძალიან ზედაპი-  
რული და უზუსტო განმარტებაა.

<sup>7</sup> საგულისხმოა, რომ ოსმალ ოსტორიკოსი ევლია ჩელები თავის „მოგზა-  
ურობის წიგნში“ აღნიშნავს, რომ იმერეთიდან „ყოველწლიურად სტამბოლში  
ტყვეებს, შევარდნებს, სონღულებს, ჯორებს და იმევათი სილამაზის ქართველ  
ქალებს აგზავნიან“ [ჩელები 1971: 298].

„სამეგრელოსა და გურჯისტანის {სხვა} ბეგები“ ტრაპიზონის ფაშას ემორჩილებოდნენ და „ყოველწლიურად მშვიდობიანობისა და მორჩილების დასადასტურებლად ორმოც-ორმოცდაათამდე ბიჭსა და გოგოს, ... სხვა მრავალ ძღვენს აგზავნიან“ [ჩრელები 1971: 83].<sup>8</sup>

გარდა ამისა, ჯუდიჩე იტყობინება, რომ ლევან დადიანი „ორსამ წელიწადში ერთხელ სპარსეთის ხელმწიფის კარზე დიდ ელჩიონს“ აგზავნიდა ხოლმე საჩუქრებით“ [ჯუდიჩე 1964: 85], ჩანს, შაჰის გულის მოსაგებად. ლამბერტის ცნობით, კი სპარსეთის მეფესთან გასაგზავნ საჩუქრებში მრავალი ბავშვიც შედიოდა. [ლამბერტი 2020: 309].

საგულისხმოა, რომ ავიტაბილეს ცნობით, ქართლში თავისი ვასალის, როსტომ მეფის ხელისუფლად დასმიდან მალევე ირანის შაჰის კარი შეეცადა აქ ხარკის სახით ყმანვილი ვაჟების მიღებასაც - „ყოველ 30 კომლზე გამორჩეულ ერთ ვაჟს ითხოვდა ხარკად“, მაგრამ ამ მოთხოვნას ქართლში იმდენად დიდი აღმფოთება მოჰყოლია, ხალხს აჯანყებაც კი განუზრახავს [ავიტაბილე 1977: 13].

### 2.3. საკუთარი ოჯახის წევრების გაყიდვა

XVII ს-ში გავრცელებული ყოფილა მონათვაჭრობის ისეთი ზნედაცემული სახეც, როგორცაა საკუთარი ოჯახის წევრების უცხოელი ვაჭრებისათვის მონად მიყიდვა. ლამბერტი აღნიშნავს, რომ თავად ბევრჯერ შესწრებია ისეთ შემთხვევას, რომ ქმარს თავისი ცოლი გაუყიდა თურქებზე მხოლოდ იმიტომ, რომ ეჭვი ჰქონია მის კუდიანობაზე, რასაც მეგრელები მრუშობაზე უფრო სდევნიან“ [ლამბერტი 2011: 182]. როგორც ჩანს, აქ საქმე მხოლოდ „კუდიანობითაც“ არ ყოფილა განპირობებული და მეტი მნიშვნელობა მაინც ფინანსურ დაინტერესებას ენიჭებოდა. ლამბერტი ამგვარი შემთხვევების სიხშირის მიზეზს შემდეგნაირად განმარტავს: „ამ შემთხვევაში ფასი (ცოლის გაყიდვით მიღებული საფასური – დ. მ.) მარტო ქმარს როდი ერგება, არამედ გაანაწილებენ სამად და ერთი წილი ერგება ბატონს, რომლის ყმად ითვლება ქალი, მეორე – ქმარს, მესამე – ქალის მშობლებს. აქედან სჩანს, რომ ამ საქმეში ბევრს აქვს სარგებლობა და ამიტომაც ხშირია ყიდვა-გაყიდვა.“ ამის გამო ამგვარი საქციელი იტალიელ მისიონერს უკიდურესი გაკიცხვის

<sup>8</sup> ნიშანდობლივია, რომ ძამპის ცნობით, იმერეთის მეფე და გურიის მთავარი გასაცემ ხარკს ახალციხის ფაშასთან აგზავნიდნენ, „სამეგრელოს მთავართან კი ხარკის წასაღებად მოდიოდა ჩაუში“ [შარდენი 2018: 206].

საგნად წარმოუდგენია და იგი „სარგებლობისა და გამორჩენისათვის“ „ბარბაროსობის“ ყველაზე უკეთურ გამოვლინებად ესახება [ლამბერტი 2011: 182-183].

ოჯახის წევრების გაყიდვის მხრივ ლამბერტი რომ არაფერს აჭარბებს, ამას ისიც ადასტურებს დასავლეთ საქართველოში გარკვეული დროით მოღვაწე ანტიოქიის პატრიარქ მაკარისაც უხილავს არაერთი ადგილობრივი მცხოვრები, რომლებსაც გაუყიდათ საკუთარი ცოლი, ანდა და-ძმა [მაკარი 1982: 105]. ასევე შარდენიც მიუთითებს, რომ აქ ჰყიდდნენ „ასევე საკუთარ შვილებს, ცოლებსა და დედებს.“<sup>9</sup>

დედის გაყიდვას რაც შეეხება, საქართველოში მოღვაწე იტალიელი მისიონერები ამის რამდენიმე მაგალითს აღწერენ. კასტელი აღნიშნავს, რომ მისიონერებს უნახავთ ვინმე მატუტა ჩენსერია, როცა იგი ჰყიდდა თავის დედას. მათ შეკითხვაზე, თუ რატომ სჩადიოდა იგი ასეთ დიდ ცოდვას, მატუტამ თავი იმით იმართლა, რომ დედამისი მას ოჯახს უმხედრებდა თავისი ენით. გაყიდული დედა „თურქების ქვეყანაში“ მდგომარეობას გაიუმჯობესებდა, ცოლი კი დამშვიდებული ეყოლებოდა [კასტელი 1976: 147].

ლამბერტის მიხედვით, მსგავსი შემთხვევა მომხდარა ქართლშიდაც, როცა იქ 1633 წელს სპარსული ჯარი შემოსულა (როსტომ-ხანის გასამეფებლად), „ერთ აზნაურს მოეწონა მშვენიერი ირანული ცხენი და რადგან სხვა არაფერი არ ჰქონდა, რომ ეყიდნა ეს ცხენი, ფასად თავისი დედა მისცა ცხენის პატრონს.“ მისიონერი ამის გამო გულისტკივილით აღნიშნავს, რომ ამ საქციელით „ამ აზნაურმა დაჰგმო თვით ბუნების კანონი და ღვიძლ დედას, რომელმაც მიანიჭა მას სიცოცხლე, თავისუფლება მოუსპო მხოლოდ იმიტომ, რომ შეეძინა პირუტყვი“ და ამით პირუტყვზე უარესადაც მოიქცა [ლამბერტი 2011: 183].

იტალიაში 1635 წლს გაგზავნილ წერილში ავიტაბილე ქართლში მომხდარი ამბების შესახებ აღნიშნავს, რომ ამ წელს მას „გულისმტანჯველი რამ უნახავს“: ირანის შაჰთან ელჩად მიმავალ ერთ კაცს (ეს კაცი აშკარად დიდებული იქნებოდა, ვინაიდან სხვა შემთხვევაში მას ელჩად, ცხადია, არ გააგზავნიდნენ - დ. მ.) ქალიშვილი გორში მიჰყავდა დასანიშნად, მაგრამ ვინაიდან მისი არასრულწლოვანობის გამო გათხოვება ჯერ არ უხერხდებოდა, უფიქრია, „სპარსეთის მეფეს ხელცარიელი როგორ წარვუდგე, უხერხული იქნებო და საჩუქრად საკუთარი ქალიშვილი მიჰ-

<sup>9</sup> ვინაიდან შარდენი ამ მძიმე ვითარების სოციალ-ეკონომიკურ მიზეზებს ვერ უღრმავდებოდა, ამგვარ საქციელს მარტივი და ზედაპირული მიდგომით, ადგილობრივთა „მანკიერი ბუნებით“ ხსნის [შარდენი 2018: 134].

გვარა“. ავიტაბილე იქვე უმატებს, რომ ასევე „მაზლმა საკუთარი ძმის ცოლი თურქებს მიჰყიდიო“ და ასეთი შემთხვევები იმდენია, ყველაფერი რომ დაწერო წერილი ზედმეტად გრძელი გამომივაო [ავიტაბილე 1977: 34].<sup>10</sup>

მაკარი ანტიოქიელი სამეგრელოში მომხდარი ასეთი შემთხვევის შესახებ გვიამბობს: მას უნახავს ერთი „მდიდარი კაცი“ „ვინმე ქოიავა,“ რომელმაც თავისი ზრდასრული ვაჟი გაყიდა იმის გამო, რომ მას გამუდმებული დავა ჰქონდა თავის დედასთან, რადგან ამ უკანასკნელს თავისი ვაჟის ცოლი ჰყავდა თვალში ამოღებული, „რძალი კი სხვას მიათხოვა.“ გარკვეული დროის შემდეგ გაყიდულ ახალგაზრდას ტყვეობიდან თავი დაუხსნია და საჩივრით სამეგრელოში მყოფ ანტიოქიის პატრიარქისათვის მიუმართავს [მაკარი 1982: 105-106]. ვინაიდან მაკარი ხაზგასმით მიუთითებს ვინმე ქოიავას სიმდიდრეზე, ამით ეტყობა, სურს თქვას, რომ მას საკუთარი ვაჟი უსახსრობის გამო არ გაუყიდა და ამის მიზეზი მხოლოდ ოჯახური დავა იყო.

ზემომოყვანილი მონაცემებიდან დგინდება, რომ ოჯახის წევრების მონად გაყიდვა დამახასიათებელი ყოფილა საზოგადოების ყველა ფენისათვის. რასაკვირველია, უდიდესი შემთხვევები მოდიოდა საზოგადოების დაბალ და საშუალო ფენებზე და ზედაფენებში ასეთი რამ იშვიათად, მაგრამ მაინც ხდებოდა. ფეოდალთა შორის უფრო გავრცელებული ჩანს სულთნისა და შაჰებისათვის ქალიშვილების ან ოჯახის სხვა წევრი ქალიშვილების საჩუქრად მირთმევა.

#### 2.4. ადამიანის გაყიდვა, როგორც სასჯელის სახე

გურია-სამეგრელოში გავრცელებული ყოფილა ადამიანის ოსმალებისათვის მონად მიყიდვა რაიმე დანაშაულის გამოც. იტალიელი მისიონერების მოწმობით, დამნაშავედ გამოცხადებულის უცხოეთში მონად გაყიდვა სასჯელის ერთგვარ სახედ განიხილებოდა.

ლამბერტი ერთგან წერს, რომ ოსმალო ვაჭრები ბავშვებისა და ახალგაზრდების გარდა, „ყიდულობენ ასევე ასაკში შესულ კაცებსაც. ამათ მეგრელები ჰყიდიან რაიმე დანაშაულისათვის, უფრო კი ქურდობისათვის. ჩვენში ასეთებს კატორღაზე გზავნიან

<sup>10</sup> თხრობის კონტექსტი და მომხდარი შემთხვევების დრო გვაფიქრებინებს, რომ ქართლში აღწერილი შემთხვევები 1633 წელს აქ ირანის დიდი ჯარის შემოსვლას მოჰყვა. ნიშანდობლივია, რომ შარდენი მოგვითხრობს, რომ გამაჰმადიანებულ ქართველ დიდებულთა შორისაც იყვნენ ისეთნიც, „რომლებსაც თვითონ მიჰყავთ თავიანთი უღამაზესი ქალიშვილები ხელმწიფისათვის, ჯილდოდ კი იღებენ ჯამაგირს ან თანამდებობას“ [შარდენი 2018: 310].

და მეგრელები კი თურქებზე ჰყიდიან“ [ლამბერტი 2011: 181]. ძნელი მისახვედრი არაა, რომ ასაკოვანი მამაკაცების შექენა ვაჭრებს ნაკლებად იზიდავდა, ბაზარზე მათზე მოთხოვნა, ცხადია, ნაკლები იყო და ამიტომ ფასსაც ნაკლებს იხდიდნენ. ამის გამო მათი გაყიდვა ფინანსური თვალსაზრისით, ახალგაზრდა ქალ-ვაჟთაგან განსხვავებით, მომგებიანი არ იყო. ამიტომ მათი მონებად გაყიდვა დასჯის ერთ-ერთ მეთოდად განიხილებოდა.

როგორც ლამბერტისთან, ასევე კასტელისთან ვხვდებით გურული ლამაზმანის - ლელოკას შესახებ თხრობას. ეს უკანასკნელი უზნეო ცხოვრების გამო კინალამ სამუდამო მონობის მსხვერპლად იქცა. მას შემდეგ, რაც გურიის მთავარმა, დასავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა მალაქია გურიელმა ლელოკას ქმარს, შეძლებულ კაცს, რაღაც დანაშაულის გამო თვალები დათხარა და ქონებასთნ ერთად ცოლიც ჩამოართვა, მომხიზვლელმა ლელოკამ კეკლუცობასა და თავაშვებულ ცხოვრებას მიჰყო ხელი. მისი მოქმედება არაერთხელ გამხდარა ჩხუბისა და აყალმაყალის მიზეზიც. „ფულის მოტრფიალე“ მალაქიამ ლელოკას დასჯისა და მოცილების მიზნით, მისი შეპყრობა და თურქებისათვის მიყიდვა გადაწყვიტა. გურიაში მოღვაწე შემოფოთებული მისიონერები მთავარ-კათოლიკოსს ეახლნენ და შეახსენეს, რომ იგი ამით „დიდ ცოდვას იღებდა საკუთარ თავზე – მწყემსი, რომელსაც თავისი ცხვრები მგლებისგან უნდა დაეცვა, საკუთარი ხელით აბარებდა მათ დასაგლეჯად.“ პატრებმა მასზე მეურვეობა თავად იკისრეს. ამგვარად, თეატელი მისიონერების შუამდგომლის წყალობით ლელოკა ოსმალეთში გაყიდვას გადაურჩა და ამის შემდგომ ძირეულად შეცვალა თავისი ცხოვრების წესიც [ლამბერტი 2020: 305-306; კასტელი 1976: 64, 69].

სხვაგან ვაწყდებით ისეთ შემთხვევას, როცა რაიმე დანაშაულის გამო პიროვნებას ეკისრება დიდძალი ფულადი (ე. წ. სასისხლო) გადასახადი. ხოლო უსახსრობის გამო შესაბამისი თანხის უქონლობისას დამნაშავის მთელი ოჯახიც კი შეიძლება მონად გაყიდულიყო. ანტიოქიის პატრიარქი მაკარი გვიამბობს: ერთ კაცს ბატონმა სიძე რომ გაუყიდა, თავისი ქალიშვილი სხვას მიათხოვა. მეორე სიძის ბატონი კი ამ კაცს რაღაცის გამო წაჩხუბებია, რაც ბატონის მკვლელობით დასრულებულა. მკვლელს მოკლულის ოჯახისათვის ოცი ყურუშის გადახდა დააკისრეს. ამიტომ მისი ცოლი, ორი ვაჟიშვილი და ცოლისძმა ბატონმა გაკოჭილები წაიყვანა გასაყიდად. გზად შემთხვევით ანტიოქიის პატრიარქი და მისი ამაღა წაწყდომიან და ოთხივე ტყვე მოსალოდნელი მძიმე განსაცდელისაგან დაუხსნიათ [მაკარი 1982: 99-100]. მაკარი პირდაპირ არ მიუთითებს, თუმცა ძნელი

მისახვედრი არაა, რომ დამნაშავეს ჯარიმის საკმარისი გადასახდელო თანხა არ ჰქონია და ჯარიმის საზღაურად მისი ოჯახის ნევრების მონად გაყიდვა გადაუწყვეტიათ.

როგორც ჩანს, დასჯის მიზნით არა მარტო ყმა-გლეხი ან მისი ოჯახი შეიძლებოდა, გაყიდულიყო მონად. ასეთი ხვედრისაგან თურმე არც აზნაური ყოფილა დაზღვეული. ლაბერტი გვატყობინებს, რომ სამეგრელოში ერთი ეპისკოპოსის „ავაზაკობა იქამდი მივიდა, რომ... თავის აზნაურს ცოლი წაართვა და რადგან ის უბედური ეწინააღმდეგებოდა, რალაც დანაშაულობა დააბრალა და დაატუსალა; მერე გურიაში გაგზავნა და თურქებს ტყვედ მიჰყიდა. ამრიგად ერთბაშად ცოლიც, ქონებაც და თავისუფლებაც წაართვა და პატიოსნებაც შეუბღალა მხოლოდ თავისი ბინძური ჟინის დასაკმაყოფილებლად“ [ლამბერტი 2011: 139]. რადგანაც აქ საუბარია ეპისკოპოსის აზნაურზე („თავის აზნაურს“), ეს უკანასკნელი საეკლესიო აზნაურადაა საგულგებელი და შესაბამისი ეპარქიის მეთაურის ყმად მოიაზრება. სწორედ ამ მდგომარეობით შეეძლო ესარგებლა „ავაზაკ“ მწყემსთავარს თავისი ანტიქრისტიანული ქცევისას.

### 2.5. ადამიანების მოტაცება მათი გაყიდვის მიზნით

ბატონის მიერ თავისი ყმების მონად „კანონიერი“ გაყიდვის გარდა, ძალიან ხშირი ყოფილა ადამიანების „უკანონოდ“ გაყიდვაც. ეს მაშინ ხდებოდა, როცა ადამიანს ყაჩაღურად იტაცებდნენ და დატყვევებულები ჩუმად მიჰყავდათ ოსმალებზე გასაყიდად. ეს საქმიანობა მეტად სარფიანი იყო და ბევრს ჩვეულებრივ ხელობად ჰქონდათ გადაქცეული. ადამიანებს იტაცებდნენ მაშინ, როცა მათზე რაიმე უფლებამოსილება არ გააჩნდათ და ამიტომ მათ მალულად ასალებდნენ. ამგვარი ყაჩაღები შეიძლებოდა ნებისმიერი სოციალური ფენის წარმომადგენლები ყოფილიყვნენ. მათ შორის მრავლად არიან საგულგებელი თავზეხელაღებული გლეხებიც.<sup>11</sup>

ყაჩაღების დაკავება და დასჯა, როგორც ჩანს, იმ დროს არც ისე მარტივ საქმეს წარმოადგენდა. ამის შედეგად, გაყიდვის მიზნით ხალხის მოტაცება ჩვეულებრივი მოვლენა გახდა. სამეგრელოში მრავლად მოიპოვებოდნენ ისეთი ყაჩაღებიც, რომლებიც „ისე არიან დახელოვნებულნი ამ ხელობაში, რომ ადვილად იპარავენ როგორც მამაკაცებს, ისე დედაკაცებს, დიდებსაც და

<sup>11</sup> იმ გარემოებას, რომ სამეგრელოში „კაცებსა და ბავშვებს იტაცებდნენ და თურქეთში ჰყიდდნენ,“ ჯუღიჩეს მინიშნებით, ხელს უწყობდა ხალხის გაუნათლებლობა და სიღარიბე [ჯუღიჩე 1964: 38-39].

პატარებსაც.“ ღამ-ღამობით ისინი მოურიდებლად იჭრებოდნენ საცხოვრებელ სახლებში ცოცხალი ნადავლის მოსაპოვებლად ანდა ეშმაკობის გამოყენებით შეიპყრობდნენ ადამიანებს: „ზოგჯერ ასეთი ავაზაკები ღამე თავს ესხმიან მეზობლის სახლს, შეტეხენ ძალით სახლის კარს, შებოჭვენ, ვისაც შინ იპოვიან და პირდაპირ ქობულეთში გააქანებენ. ზოგჯერ კი მოტყუებით მიიბირებენ თავის სახლში, სადაც დაატყვევებენ და შესაფერის დროს ქობულეთშივე წაიყვანენ თურქებზე გასასყიდად“ [ღამბერტი 2011: 94]. ვინაიდან ასეთი ქმედება, ბატონის მიერ თავისი ყმის გაყიდვისაგან განსხვავებით, დანაშაულად განიხილებოდა, ადამიანებზე მონადირე ყაჩაღებსაც ტყვეები ჩუმად მიჰყავდათ ქობულეთის ნავსადგურში, რომელიც გურიის სამთავროში მდებარეობდა. უკანონოდ ნავაჭრი ტყვეებიც ოსმალებს სასწრაფოდ გადაჰყავდათ „თავის ქვეყანაში, რომელიც ძალიან ახლოა“ [ღამბერტი 2011: 94].

აღნიშნული დანაშაულებრივი ქმედებების შესახებ საუბრობს მაკარი პატრიარქიც: „არიან ისეთი სინდისგარეცხილი ავაზაკები, რომლებიც... მიდიან ღამით რომელიმე განაპირა სახლში, იტაცებენ რამდენიმე კაცს, დღისით ამათ გადამალევენ, ღამით კი მიჰყავთ ერთი დიდი მდინარის ნაპირზე, შავ ზღვაში რომ ჩადის და ტყვეებით მოვაჭრეებს მიჰყიდიან“ [მაკარი 1982: 99]. ირკვევა, რომ სამეგრელოში მოტაცებულ ტყვეებს თურმე აფხაზეთშიც ჰყიდდნენ. როგორც მაკარი მოგვითხრობს, წმინდა მთიდან (ათონიდან) ჩამოსულ ერთ მღვდელს თავის მხლებლებთან ერთად სადაც ღამე გაუთევია, იქაურები ავაზაკები აღმოჩენილან. მათ მღვდელი შეიპყრეს, თმა-წვერი გადაპარსეს, „მხლებლები ამოუხოცეს და თვით იგი აფხაზთა ქვეყანაში გაყიდეს. რამდენიმე წლის შემდეგ ეს მღვდელი გამოექცა აფხაზებს“ და დიდი გაჭირვებით „ქართველთა ქვეყანაში“ დაბრუნდა [მაკარი 1982: 99].

სამეგრელოდან ხალხს აფხაზები თვითონაც იტაცებდნენ, მაგრამ მათ არც მეგრელები რჩებოდნენ ვალში: „აბაზები მეგრელებს იტაცებენ, მეგრელები — აბაზებს და ვაჭრებს მიჰყიდიან ხოლმე“ [ჩელები 1971: 96]. მაკარის ცნობით კი „მეზობელი ხალხები (ვგულისხმობ აფხაზებს, ჩერქეზებს, სვანებს, ალანებს და სხვებს) თავს ესხმიან ქართველთა ქვეყნის განაპირა სანახებს, იტაცებენ, ვისაც მოიხელთებენ, მიჰყავთ და ყიდიან“ [მაკარი 1982:105].

ადამიანების გასასყიდად მოტაცება ძალზე გავრცელებული ყოფილა თვით აფხაზებს შორისაც: აფხაზები ფაცხების ირგვლივ „ღობეს და თხრილს იმიტომ აკეთებენ, რომ ემინიათ თავდასხმისა. გარეშე ხალხი კი არა, თვით აფხაზები თავს ესხმიან და

სძარცვავენ ერთმანეთს. ხოლო ართმევენ ერთმანეთს სახლის ავეჯს კიარა, რადგან აფხაზს ასეთი ავეჯი არც გააჩნია, არამედ კაცებს, ქალებს და ბიჭებს. ამისათვის ჩვეულებრივ დაეცემიან ერთმანეთს და ვისაც მოახელებენ, დაიჭერენ და წაიყვანენ“ [ლამბერტი 2011: 191]. ამასვე აღნიშნავს ევლია ჩელეები: „აბაზები ერთმანეთს ებრძვიან, ბავშვებსა და ქალებს ტაცებენ, ტყვეებს ჰყიდიან და ამით ცხოვრობენ“ [ჩელეები 1971: 102]. აფხაზებში ამ სახის ყაჩაღობის ესოდენ გავრცელების გამო უკაცრიელ ადგილებში დღისითაც არ იყო სიარული უსაფრთხო. ყველგან შეიძლებოდა მგზავრი ჩასაფრებულ ყაჩაღს გადაჰყროდა და თავისუფლება დაეკარგა. ამის გამო იარაღსხმულნი დადიოდნენ თვით ქალებიც კი: ისინი შუბით და ხმლით შეიარაღებულნი განა საძარცვაად დადიანო, - წერს კასტელი, - „არამედ იმიტომ, რომ მათ უხდებათ მთასა და ტყეში გავლა და თავდასაცავად სჭირდებათ ეს, რადგან ხალხს იტაცებენ თურქებზე გასაყიდად“ [კასტელი 1976: 111]. ერთ-ერთი ასეთი ქალის, ცხენზე ამხედრებული და შუბით შეიარაღებული მართას სურათი ამშვენებს კიდეც კასტელის ალბომს.<sup>12</sup>

მონად გაყიდვის მიზნით ხალხის ყაჩაღობით გზით მოტაცება გავრცელებული იყო ზოგადად კავკასიის მთელი შავიზღვის სპირეთის მკვიდრი ხალხებისათვის. „შავი ზღვის სანაპიროზე მცხოვრებთა შორის არიან ისეთებიც, რომლებიც ყაჩაღობენ, ხალხს იტაცებენ და თურქებზე ჰყიდიან და ასეთი სისხლიანი ტყვეთ იმოსებიან... რადგან ურწმუნონი არიან და ღვთისმსახურნი არა ჰყავთ, ერთმანეთსა {მტრობენ}. ზოგიერთი მათგანი ერთიმეორეს ჰყიდის თურქებზე, განსაკუთრებით კი ბავშვებს“ - წერს კასტელი [კასტელი 1976: 129].<sup>13</sup>

## 2.6. ომში ტყვეების მოპოვება

XVII საუკუნის საქართველოში ხშირი იყო შინაომები. მეფეთაგან შორის ასეთი დაპირისპირებანი კიდეც უფრო მომეტებულიად შეინიშნებოდა ამ პერიოდის დასავლეთ საქართველოში. გარდა იმისა, რომ ამგვარ გაუთავებელ, ხანმოკლე წვრილ თუ საშუალო ომებს მრავლად ეწირებოდა ქართველების სიცოცხლე ქართველებისვე ხელით, დიდი იყო ეკონომიკური ზარალიც. ერთი მხარე გამეტებით აჩანაგებდა მონინალმდეგის მიწა-წყალს, არ-

<sup>12</sup> „ჩერქეზი ქალი მართა“ [კასტელი 1976: სურ. 121].

<sup>13</sup> ეს მინაწერი კასტელს გაკეთებული აქვს ნახატზე, სახელწოდებით „ყაჩაღი“, რომელზეც გამოსახულია თოკებით შეიარაღებული პიროვნება [კასტელი 1976: სურ. 230].

ბევდა მის სოფლებს და ამასთანავე შეძლებისდაგვარად დიდი ოდენობით ატყვევებდა ადგილობრივ მოსახლეობასაც. ტყვე, როგორც ასეთი, აღიქმებოდა როგორც სარფიანი სასაქონლო ღირებულების ნადავლი: ხოლო მოსალოდნელი შემოსავალი განისაზღვრებოდა ტყვეების რაოდენობის შესაბამისად. შარდენის თქმით, „მეგრელებისა და მათი მეზობლების ომები არსებითად თავდასხმას და ძარცვას წარმოადგენს... თუ მტერი გააქციეს, მას ფეხდაფეხ მისდევენ, იჭრებიან მის მხარეში, წვავენ, ძარცვავენ მას, ატყვევებენ ყოველგვარი ჯურის ხალხს და სწრაფადვე ბრუნდებიან უკან. ტყვეები რაც შეიძლება მეტი მიჰყავთ“ [შარდენი 2018: 135]. „ქართველები მუდამ ერთმანეთს ეომებიან. ამ შინაომებში ურიცხვი იხოცება, ხოლო გამარჯვებულები ჰყიდიან დამარცხებულებს“ – წერს პატრიარქი მაკარი [მაკარი 1982: 105].

ზემოაღნიშნულს გარდა, მეზობლი მხარეები მონადინებულნი ყოფილან ასევე ცოცხლად შეეპყროთ თავიანთი მონინააღმდეგის მეომრებიც და ამისთვის საგანგებოდ იყვნენ კიდევ მომზადებულიებიც: ბრძოლის დროს „თუ მხედარი გადმოაგდეს უნაგირიდან, მაშინვე ჩამოხდებიან ცხენიდან, დამარცხებულს შებოჭავენ იმ თოკით, რომელსაც... ქამარზე ატარებენ და საკუთარ მხლებელს მიაბარებენ ხოლმე. შეპყრობილის სიკვდილ-სიცოცხლის საქმე დამტყვევებელის ხელთაა... ჩვეულებრივ მონად აქცევს და შემდეგ თურქებს მიჰყიდის.“ – მოგვითხრობს საქართველოში ნამოგზაურები ფრანგი ვაჭარი [შარდენი 2018: 135]. შარდენის ეს ცნობები, ჩანს, უმეტესად მაინც თავადაზნაურულ წრეს ეხება – საკუთარი მხლებელი უბრალო მოლაშქრეს, ცხადია, ბრძოლის ველზე თან ვერ ეყოლებოდა.

თუმცა ამ მხრივ ჩვეულებრივ საერო ფეოდალებს არაფრით ჩამოუვარდებოდნენ საეკლესიო იერარქებიც, როგორც ამის შესახებ სასაყვედურო ტონით მიუთითებს მაკარი ანტიოქიელი: საერო ხელისუფალს შინაომებში თან ახლდნენ ეპისკოპოსებიც თავიანთი მრევლით. „ისინი ებრძვიან ძმებს – {ასეთსავე} ეპისკოპოსებს, მღვდლებსა და მეზობელ ქრისტიანებს. თუ ერთმა მხარემ მეორეს სძლია, მაშინ გამარჯვებული ეპისკოპოსები და მღვდლები ატყვევებენ დამარცხებულებს და არ დაგიდევენ, ვინაა მათი ტყვე: ეპისკოპოსი, მღვდელი თუ უბრალო მრევლთაგანი. ისინი დამარცხებულებს უფრო ცუდად ექცევიან ხოლმე – ვიდრე ბარბაროსი ქრისტიანს. თუ მოინდომებენ, ტყვეებს მიჰყიდიან თურქებს ან სპარსელებს. განსაკუთრებით ღარიბების სახლებს არბევენ, ატყვევებენ მათ და ჰყიდიან; ან არა და ყმებად გაიხდიან,“ სანამ თავს არ გამოისყიდინო [მაკარი 1982: 95-96].

საგულისხმოა, რომ აღმოსავლეთ საქართველოში მოწინააღმდეგეების მიერ ერთმანეთის მიწა-წყლის აოხრება და იქ მოსახლე ხალხის გაყიდვის მიზნით დატყვევება შეინიშნება შაჰის ხელშეწყობით გაბატონებულ როსტომ ხანსა და იმერეთიდან დაბრუნებულ თეიმურაზ I-ს შორის მიმდინარე ბრძოლებისას. „არც ერთს არ სწადა პირისპირ შეხვედროდა მეორეს და არც მეორეს სურდა შეტაკებოდა პირველს, მაგრამ თავს კი ესხმოდნენ ერთმანეთს, ძარცვავდნენ და წყევტდნენ. ეს ამბავი კაცს ჯოჯობეთის დიდ დღესასწაულს მოაგონებდა. ტყვედ წამოყვანილებს მაჰმადიანებზე ჰყიდდნენ, როგორც პირუტყვებს. და ერთ დღეს მათი ფასი იმდენად დაეცა, რომ ხუთ პიასტრეზე ჩამოვიდა.“ – აღნიშნავს ამის თაობაზე გორის თეატელთა მისიონის ხელმძღვანელი თავის 1635 წლის ნოემბერში დაწერილ წერილში [ავტაბილე 1977: 33].<sup>14</sup>

სამეგრელოში ტყვეებზე გაჩაღებულ დიდ ნადირობას შეესწრო ჟან შარდენი სამთავროში ოსმალთა ჯარის შემოჭრისას, რომელსაც ზურგს უმაგრებდა გურიის მთავარი: ისინი ძარცვავდნენ სახლებს „და ყველგან, სადაც კი წაანყებოდნენ, იტაცებდნენ ადამიანებსა და პირუტყვს“ [შარდენი 2018: 208]. ამ შემოსევის დროს შეპყრობილი ტყვეების დიდ ოდენობაზე საუბრობს ამ ლაშქრობის მონაწილე ევლია ჩელები. მაგ., სამეგრელოს ერთ-ერთი ციხის (ბაჯანას) ალებისას ოსმალებმა „იქიდან შვიდასი ტყვე წამოიყვანეს. ჯარი ნადავლით აივსო“ [ჩელები 1971: 331]. მეორე ციხეში სამასი კაცი შეუპყრიათ. „დატყვევებული ბიჭები და ქალიშვილები ძღვევამოსილ სარდალს ჩააბარეს“ [ჩელები 1971: 331].

ნიშანდობლივია, რომ ტყვედ ჩავარდნის შემთხვევაში დიდებული თავის გამოსასყიდად სხვადასხვა სახის ქონებასთან ერთად იხდიდა ადამიანებითაც. ჩელები წერს, რომ ზემოაღნიშნული ლაშქრობის დროს ოსმალებს შეუპყრიათ სამეგრელოს მთავრის („ბეგის“) ბიძაშვილი, რომელმაც „ასი ტყვე, ათასი სული საქონელი, მრავალი საპალნე ოქროქსოვილი, მრავალი საპალნე ფარჩა მისცა და თავი გამოისყიდა“ [ჩელები 1971: 332].

<sup>14</sup> საგულისხმოა, რომ მანამდე როსტომ ხანს სპარსეთიდან მოყოლილი ჯარიდან მეომრების ცალკეულმა ჯგუფებმა თვითნებურად მიჰყვეს ხელი შიდა ქართლის სოფლებში თარეშს ადამიანების საძარცვავად და დასატყვევებლად: „დაახლოებით ერთ თვეს იდგა აქ სპარსელთა ჯარი, ამ ხნის განმავლობაში გამოქცეული ჯარისკაცების ერთი ჯგუფი ხან ერთ სოფელს აწიოკებდა და ხან მეორეს ტყვეების შესაქენად და ვისაც ხელში ჩაიგდებდა, ყველას ძარცვავდა“ [ავტაბილე 1977: 52].

ზოგიერთი დიდებული ოსმალეთან მორიგებას ძღვენის მიცემით ახერხებდა. ამ ძღვენის მნიშვნელოვან ნაწილს კი, როგორც წესი, ტყვე-ადამიანები შეადგენდნენ. შარდენი მოგვითხრობს ასეთ ამბავს, რომელსაც თავად შეესწრო: ერთ-ერთ ციხეში გამაგრებულ დიდებულს (საბახტარს) ოსმალეთან მოსალაპარაკებლად წასულს, მათი მეთაურისათვის საჩუქრად სხვა ნივთებთან ერთად თან ოთხი ტყვე გაუყოლებია. შეთანხმების შედეგად საბახტარს მისთვის ხარკის სახით ფულის ან აბრეშუმის გარდა, დამატებით „ორივე სქესის ათი ახალგაზრდა ტყვე“ უნდა მიერთმია. დიდებულმა კი ციხეში შეფარებულ ხალხთაგან 25 ტყვე და ასევე ბევრად მეტი თანხა ააგროვა. „ყველა ოჯახიდან, სადაც ოთხი ბავშვი ჰყავდათ, ერთი მას მიჰყავდაო“ – წერს შარდენი და განაგრძობს - „ეს იყო მეტად გულსაკლავი სანახაობა, როგორ გლეჯდნენ დედას მკლავებიდან საბრალო ბავშვებს, კრავდნენ მათ ორ-ორად და მიჰყავდათ თურქებთან. მე შემანერეს ოცი ეკიუ.“ თავადმა ოსმალთა მეთაურს შეპირებული მიართვა, განსხვავება კი თვითონ მიითვისაო, დასძენს ავტორი ბოლოს [შარდენი 2018: 249-250].

მტრის თავდასხმის გამო ოდიშის მთავარს დასახმარებლად აფხაზეთისათვის მიუმართავთ. მაგრამ მათ ისარგებლეს სამთავროს მძიმე მდგომარეობით და დახმარების ნაცვლად თვითონაც მისი რბევა და ხალხის დატყვევება დაიწყეს. შარდენის ცნობით, მთავრის მიერ დამხმარედ მოწვეული აფხაზები „არბევენ და სწვავენ ყველაფერს, იტაცებენ ხალხს და პირუტყვს“ და ისგაურის (დღევანდელი სკურჩა ოჩამჩირის რ-ნში) ნავსადგურსაც მიახლოებიან, სადაც თავს აფარებდა მათ თავდასხმებს გამორიღებული უამრავი გლეხი [შარდენი 2018: 209]. ფრანგი ვაჭრისთვის როგორც ერთ თეატელ მორჩილს უთქვამს, ამ შემოსევის შედეგად „აფხაზებს წაუყვანიათ ათას ორასი კაცი, ბევრი პირუტყვი და დიდი ნადავლიც წაუღიათ“, ამავ დროს „დაურბევიათ ერთი თეატინელის სახლი, საიდანაც მათ სამი მსახური გაუტაციათ“ [შარდენი 2018: 218].

სამეგრელოში ომის შედეგად იქაური ხალხისთვის მოტანილ დიდ უბედურებას კი სარგებელი მოჰქონდა შავიზღვისპირეთში მოვაჭრე უცხოელთათვის, ვინაიდან აფხაზებს მათთან გემზე მიჰქონდათ თავიანთი ნადავლი და ტყვეები [შარდენი 2018: 214]. ტყვეების სიმრავლის გამო მათი ფასი მნიშვნელოვნად იყო დაცემული: „თურქი და ქრისტიანი ვაჭრები მათ ცვლიდნენ იარაღზე, მრავალგვარ წვრილმანსა თუ სხვა საქონელზე. ისინი აძლეოდნენ ყველაფერს, რასაც კი მოსთხოვდნენ და მაინც ორჯერ მეტ მოგებას ნახულობდნენ. მამაკაცები, ოცდახუთიდან

ორმოცი წლის ასაკამდე, ღირდა მხოლოდ თხუთმეტი ეკიუ. ორმოცზე მეტი ასაკისა – რვიდან ათამდე. ლამაზი ქალწულები ცამეტიდან თვრამეტ წლამდე – ოცი ეკიუ. სხვები უფრო იაფად ფასობდნენ. ქალები – თორმეტად, ბავშვები – სამ ან ოთხ ეკიუდ“ - წერს შარდენი, რომელზეც განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა მასთან ერთად გემზე ჩვილი ბავშვითურთ მყოფმა „ულამაზესი ნაკვთებისა და ნამდვილი შრომანისებრი პირისახის“ ახალგაზრდა მეძუძურმა დედამ, რომელიც ბერძენ ვაჭარს თორმეტ ეკიუდ შეუძენია [შარდენი 2018: 214-215].

### დასკვნა

ამრიგად, ტყვეთა სყიდვად წოდებულ ადამიანებით ვაჭრობას თავის ღრმა სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური მიზეზები გააჩნდა. თავის დროზე იგი ძალზე გავრცელდა არა მარტო საქართველოსა და კავკასიაში, არამედ მთელს შავიზღვისპირეთსა და მის მიმდებარე ქვეყნებში. არსებობდა ტყვეებით ვაჭრობისა და თავისუფლებანართმეული ადამიანების საზღვარგარეთ გაყვანის სხვადასხვა ფორმა. ვინაიდან ტყვე მონების გაყვანა ძირითადად საზღვაო ტრანსპორტით ხორციელდებოდა, ამგვარი მანკიერი აღებ-მიცემობა ადამიანური რესურსით ყველაზე მეტად აზარალებდა შავიზღვისპირეთის სიახლოვეს ბინადარ ქრისტიანულ თუ წარმართულ ხალხებს (მუსლიმის მონად გაყიდვა ისლამის მიერ აკრძალული იყო). აღნიშნული გარემოების გამო XVII საუკუნეში კატასტროფული მასშტაბებშიღებული ტყვეთა სყიდვა უფრო მეტად მოედო დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროებს. ზღვასთან სიახლოვის გამო კი მან განსაკუთრებით მოიცვა გურია, აფხაზეთი და სამეგრელო. ყველა ზემოდასახელებული საკითხის შესწავლაში ისტორიკოსებს შეუცვლელ სამსახურს უწევს XVII საუკუნის საქართველოში მოღვაწე თეატელთა კონგრეგაციის წარმომადგენელი იტალიელი მისიონერების [ლამბერტი, კასტელი, ავიტაბილე, კასტელი, ჯუდიჩე] და ამ ხანებში აქ მყოფი სხვა უცხოელი პირების (ანტიოქიის პატრიარქი მაკარი, ფრანგი ვაჭარი ჟან შარდენი, ოსმალთა ისტორიკოსი ევლია ჩელები) მიერ დატოვებული ინფორმაციულად მდიდარი ცნობები. მათი, როგორც თვითმხილველთა მიერ მოწოდებული მრავალფეროვანი მასალა ამ მხრივ შესანიშნავ ისტორიული წყაროებს წარმოადგენს.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. **ავიტაბილე 1977** – დონ პიეტრო ავიტაბილე, ცნობები საქართველოზე (XVII საუკუნე), შესავალი, თარგმანი და კომენტარები ბეჟან გიორგაძისა, თბილისი, 1977.
2. **ანჩაბაძე 1959** – Анчабадзе Зураб, Из истории средневековой Абхазии (VI-XVII вв.), Сухуми, 1959.
3. **ბერძენიშვილი 1965** – ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. II, თბილისი, 1965.
4. **კასტელი 1976** – დონ კრისტოფორო კასტელი, ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ, ტექსტი გაშიფრა, თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ბეჟან გიორგაძემ, თბილისი, 1976.
5. **კილასონია 2006** – კილასონია ა., ადამიანებით ვაჭრობა საქართველო-კავკასიაში XVI-XIX საუკუნეებში (ისტორიულ-სამართლებრივი ასპექტები), თბილისი, 2006.
6. **ლამბერტი 2020** – არქანჯელო ლამბერტი, წმინდა კოლხეთი, იტალიურიდან თარგმნა გ. ცქიტიშვილმა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, განმარტებები და საძიებლები დაურთო დავით მერკვილაძემ, არტანუჯის წყაროები 20, თბილისი, 2020.
7. **ლამბერტი 2011** – არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თბ., 2011.
8. **ლამბერტი 2015** – დონ არქანჯელო ლამბერტი, რელაცია საქართველოზე (XVII საუკუნე), იტალიური ტექსტი თარგმნეს, შესავალი და შენიშვნები დაურთეს მურმან პაპაშვილმა და ზურაბ გამეზარდაშვილმა, „უნივერსალი“, თბილისი, 2015.
9. **მაკარი 1982** – მაკარი ანტიოქიელი, ცნობები საქართველოს შესახებ, არაბულიდან თარგმნა თინა მარგველაშვილმა, კრ. „არმალანი“, აღმოსავლური მწერლობის ნიმუშები, თბილისი, 1982, გვ. 88-122.
10. **შარდენი 2018** – შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში (ცნობები საქართველოს შესახებ), ფრანგულიდან თარგმნეს, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთეს მზია მგალობლიშვილმა და გიორგი სანიკიძემ, თბილისი, 2018.
11. **ჩელები 1971** – ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“, ნაკვ. I, თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გიორგი ფუთურიძემ, თბილისი 1971.
12. **ჯუდიჩე 1964** – დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი. წერილები საქართველოზე. XVII საუკუნე. იტალიურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ბეჟან გიორგაძემ. თბ. 1964.

---

Davit Merkviladze

**Trade in captive slaves in 17<sup>th</sup> century Western Georgia according to reports of foreign authors**

Summary

In the 17<sup>th</sup> century, selling people as slaves abroad was widespread in Georgia and throughout the Caucasus. This grave event had its deep political, economic and social preconditions.

There were various forms of trade in captives and the sale of people deprived of their freedom abroad. Since the passage of captured slaves was mainly carried out by sea transport, the people living near the Black Sea suffered the most. Due to the proximity to the sea, the slave trade spread especially to western Georgian principalities: Guria, Samegrelo and Abkhazia.

In the presented work, the issue of the slave trade is discussed based on the reports provided by the Catholic missionaries of the Theatine Congregation, who worked in Georgia for a long time in the second and third quarters of the 17<sup>th</sup> century. The informative accounts of the Italian missionaries: Pietro Avitabile, Giuseppe (Josepho) Giudice, Cristoforo Castelli, Arcangelo Lamberti and Giuseppe Maria Zampi provide more than enough material to create a more or less complete picture of the mentioned subject.

ал-Кабир, который был абхазом по происхождению. Он происходил из семьи православного священника, что вероятно указывает на его грузинское происхождение (из мегрелов или сванов, поскольку у абхазов было или синкретическое христианство или ислам). В 1763 г. он сразу же убил Ибрагим-бея из черкесов. Окружение Али-бея состояло из трех абхазов-апсуа, девяти мегрелов и четырех черкесов. Целиком природно что Али-бей должен был приблизить к себе своих земляков. В 1770 г. Али-бей подчинил себе Хиджаз. В 1771 г. мамлюки напали на Сирию фактически огласив войну Османам. В 1773 г. власть в Египте взял Мухаммед-бей Абу-з-Захаб которые перебил приближенных Али-бея. В 1775 г. Мухаммед Абу-з-Захаб вторгся в Палестину желая расширить свои владения за счет османских провинций. К тому времени Османская империя была вымотана войной с русскими. Мамлюки взяли Газу, Яффу, Акко, но Мухаммед Абу-з-Захаб неожиданно умер. В Египте взял власть Мурад-бей который правил вместе с кахетинцем Ибрагим-беем. Ибрагим-бей занял должность шейха ал-билада, а Мурад-бей был эмиром ал-хаджа. Мурад-бей имел светлые волосы и был гордым. В 1786 г. турки высадили в Египте десант под руководством Хасан-паши. Мурад сразившись с османами был разбит в битве на территории дельты, а Ибрагим-бей бежал в Верхний Египет. Вскоре собрав силы египтяне выбили турок из своей страны. Следующее вторжение в Египет произошло только в 1798 г., когда пришли французы во главе с генералом Наполеоном Бонапартом. Период 1711-1798 гг. был периодом бейликата. Мамлюкские эмиры тогда имели достоинство беев и санджакбеев [Зеленев 1999, с. 178-197; Иванов 2001, с. 39-57; Garcin 1998, p. 299; Winter 1998, p. 3-33; Nathaway 1998, p. 34-58; Crecelius 1998, p. 60-86; Nathaway 2008, p. 40, 51-56; Илюшина 2016в, с. 51-56; Muir 1896, p. 201-214; Хотко 2015а, с. 29-37; Хотко 2015в, с. 71-74; Хотко 2017б, с. 61-67; Winter 1992, p. 7-27; Илюшина 2021, с. 76-80; Хотко 1997, с. 73-92; Marsot 2017, p. 45-56; Elbendary 2015, p. 139; Holt 1986, p. 200-202; Petry 2022, p. 83-84; Толмачева 2003, с. 68-70; Панченко, Моисеева 2016, с. 642-656; Кобищанов 2015, с. 510-512; Родионов, Сарабьев 2013, с. 90-94; Панченко 2017, с. 18-33; Рыженкова 2021, с. 577-584; Илюшина 2009, с. 112-120; Куделин 2009, с. 48-57].

**Выводы.** Проведя исследование мы пришли к следующим выводам. Приход к власти черкесских мамлюков был подготовлен эпидемиями чумы, сокращением потока тюркских рабов вследствие исламизации населения Золотой Орды и внутренними склоками между мамлюками-кыпчаками. Первый черкесский султан Баркук был вынужден

вести жесткую борьбу за власть против Йалбуги ан-Насири и Минташа прежде чем черкесы утвердились на престоле в Каире. Баркук наладил связи с государствами Османов и Джелаиридов, а также с Золотой Ордой. Приемник Баркука султан Фарадж оказался слабым правителем и в его правление Египет пережил внутренний политический кризис, эпидемии и вторжения чагатаев. Стабилизировать ситуацию смог султан Шейх, который обуздал бедуинов и вынудил караманских беев покориться мамлюкам. При Барсбае Мамлюкский султанат осуществлял активную внешнюю политику. Было осуществлено несколько удачным морских рейдов против Королевства Кипр, а также мамлюки вели войну с туркманской конфедерацией Кара-Коюнлу. Бей Карамана и Зулкадыра признавали свою зависимость от Каира. Султан Джакмак подавил восстания мамлюкских эмиров и направил флот под командованием Инала против госпитальеров с Родоса. Султан Инал участвовал в усобице в королевстве Кипр. Хушкадам продолжил курс Инала во внешней политике. Временем наибольшего могущества мамлюков стало правление Каитбая. При нем мамлюки смогли выйти победителями из череды конфликтов с османским султаном и беями Зулкадыра. Доходы мамлюков росли. Также удалось обуздать мамлюков. Только в конце правления Каитбая система утратила стабильность. Период 1499-1501 гг. был периодом кризиса из которого вывел страну Кансу ал-Гаури, последний великий султан. Чтобы усмирить оппозицию ему пришлось прибегать к жестким мерам. Кансу столкнулся с вызовами, которых не было перед предыдущими султанами. Проникновение в Индийский Океан португальского флота вынудило султана тратить большие деньги на содержание флота. Кроме того, португальцы уничтожили мамлюкскую монополию на торговлю пряностями. В 1516 г. поражение при Мардж-Дабике в котором погиб Кансу символизировало конец мамлюкского доминирования на Ближнем Востоке. Сопrotивление оказанное Османам со стороны Туманбая II в 1516-1517 гг., и мамлюкское восстание 1521 г. Джанберди ал-Газали было агонией режима мамлюков. С 1521 по 1707 г. реальное управление землями мамлюков находилось в руках Османов. В XVIII в. Египтом правили грузинские мамлюки.

---

**Литература**

1. Захаров В. А., Чибисов В. Н. История Ордена Госпитальеров. СПб.: Алетейя, 2009. 464 с.
2. Зеленеv Е. И. Египет: Средние века. Новое время. СПб. Издательство Санкт-Петербургского университета, 1999. 340 с.
3. Иванов Н. А. Османское завоевание арабских стран, 1516-1574. М.: Наука, 2001.
4. Илюшина М. Ю. Политический кризис в Египте в начале XVIII в. между мамлюкскими домами Факарийа и Касимийа в Египте // Вестник Санкт-Петербургского университета. Санкт-Петербург: Санкт-Петербургский государственный университет, 2009. С. 112-123
5. Илюшина М. Ю. Борьба за власть в мамлюкском султанате в первый период правления султана Баркука (1382-1389) // Вестник Санкт-Петербургского государственного университета. Сер. 13. Вып. 4. СПб.: Санкт-Петербургский государственный университет, 2013. С. 32-45
6. Илюшина М. Ю. Политический кризис в Египте в период правления султана Фараджа (1399-1412 гг.) // Вестник Санкт-Петербургского государственного университета. Сер. 13. 2016. Вып. 3 Санкт-Петербург: Санкт-Петербургский государственный университет, 2016. С. 46-54.
7. Илюшина М. Ю. Последний мамлюкский султан в войне с османами (1516-1517) // Вестник Санкт-Петербургского университета. Сер. 13. Востоковедение. Африканистика. Вып. 1. Санкт-Петербург: Санкт-Петербургский государственный университет, 2016. С. 49-58
8. Илюшина М. Ю. Караман в политике султаната мамлюков (XIV-XV вв.). // Вестник Пермского университета. Серия: История. Пермь: Пермский государственный национальный исследовательский университет, 2019. С. 53-61
9. Илюшина М. Ю. Египтяне на службе в мамлюкской администрации: семья ал-Таблави // Вестник Томского государственного университета. История. № 70. Томск: Томский государственный университет, 2021. С. 76-82
10. Илюшина М. Ю. Мамлюкская военная элита в свите султана Каитбая (по материалам записок Абу-л-Бака' Ибн ал-Джи'ана о событиях 1477-1478 годов) // Вестник Пермского университета. История. № 2(57). Пермь: Пермский государственный национальный исследовательский университет, 2022. С. 33-41.

11. Кобищанов Т. Ю. Коптская католическая церковь // Православная энциклопедия. Т. XXXVII. М., 2015. С. 510-512. <https://www.pravenc.ru/text/2057206.html>
12. Куделин А. А. Борьба за власть в Османском Египте начала XVIII в. // Вестник Российского университета дружбы народов. Серия: Всеобщая история. М., Российский университет дружбы народов, 2009. С. 48-61
13. Миргалеев И. , Нуранеев Л. Перелистывая историю султана мамлюков // Эхо Веков. Казань: Государственный архив Республики Татарстан, 2003. С. 183-187
14. Панченко К.А., Моисеева С. А. Мелькитская католическая церковь // Православная энциклопедия. Т. XLIV . М., 2016. С. 642-656. <https://www.pravenc.ru/text/2562942.html>
15. Панченко К. А. К истории христиано-мусульманских отношений при мамлюках-бурджитах // Вестник Московского университета. Серия 13. Востоковедение. № 1. М., Московский государственный университет имени М. В. Ломоносова, 2017. С. 18-38
16. Родионов М. А., Сарабьев А. В. Марониты: традиция, история, политика. М.: Институт востоковедения Российской академии наук, 2013. 500 с.
17. Рыженкова Т.А. Османо-мамлюкская война 1516–1517 гг. в описании египетского историка Ибн Зунбуля // Вестник Санкт-Петербургского университета. Востоковедение и африканистика. Т. 13. Вып. 4. Санкт-Петербург: Санкт-Петербургский государственный университет, 2021. С. 569–587.
18. Толмачева Е. Г. Египет без фараонов. М.: Алетейя, 2003. 248 с.
19. Хотко С. Х. Черкесские мамлюки. Майкоп: Адыгейский государственный университет, 1997.
20. Хотко С. Х. Генеалогические предания об Инале и их связь с легендарными версиями происхождения черкесских мамлюков // Историческая и социально-образовательная мысль. Т. 7. №7. Ч. 1. Краснодар: Кубанская многопрофильная академия подготовки, переподготовки, повышения квалификации специалистов, 2015. С. 29-37
21. Хотко С. Х. Геополитические и этнокультурные причины вовлечения населения Северного Причерноморья в мобилизационную систему египетских мамлюков // Вестник Адыгейского государственного университета. Вып. 4 (167). Майкоп, Адыгейский государственный университет, 2015. С. 61-67
22. Хотко С. Х. К вопросу о сохранении черкесского (адыгского) языка в среде черкесских мамлюков // Вестник Адыгейского го-

- сударственного университета. Вып 1 (156). Майкоп: Адыгейский государственный университет, 2015. С. 71-74.
23. Abu-Izeddin N. M. Druzes. A new study of their history, faith and society. Leiden: Brill, 1984. 259 p.
  24. Ashtor E. Levant trade in Middle Ages. Princeton: Princeton University Press, 1983. XXII. 600 p.
  25. Barker H. Most precious merchandise. The Mediterranean trade in Black Sea slaves, 1260-1517. Philadelphia: University of Pennsylvania Press, 2019. VIII, 314 p.
  26. Mouawad R. J. Les Maronites. Chretien du Liban. Turnhout: Brepols, 2009. 268 p.
  27. Crecelius D. Egypt in Eighteenth century // The Cambridge history of Egypt. Modern Egypt. From 1517 the end of twentieth century. Cambridge: Cambridge university press, 1998. P. 59-86
  28. Elbendary A. Crowds and Sultans. Urban protests in late medieval Egypt and Syria. Cairo-New York: The American University in Cairo Press, 2015. XIV, 276 p.
  29. Garcin J. – C. The regim of Circassian Mamluks // The Cambridge history of Egypt. Vol. I. Islamic Egypt, 640-1517. Cambridge: Cambridge university press, 1998. P. 290-317.
  30. Hathaway J. Egypt in seventeenth century // The Cambridge history of Egypt. Modern Egypt. From 1517 the end of twentieth century. Cambridge: Cambridge university press, 1998. P. 34-58
  31. Hathaway J. The Arab lands under Ottoman rule, 1516-1800. London – New York: Routledge, 2008. XX, 324 p.
  32. Holt P. M. The age of crusades. The Near East from Eleventh century to 1517. London – New York: Routledge, 1986. XIII, 250 p.
  33. Koby J. Mamluks of Jewish origin in the Mamluk sultanate // Mamluk Studies. Vol. 22. 2019. P. 49-95.
  34. Luz N. The Mamluk city in the Middle East. History, culture and urban landscape. New-York: Cambridge university press, 2014. XVI, 268 p.
  35. Mauder Ch. In the Sultan Salon. Learning, Religion and Rulership at the mamluk court of Qanisawh al-Ghawri (1501-1516). 2 Volumes. Leiden – Boston: Brill, 2021.
  36. Marsot A. L. S. A history of Egypt from Arab conquest to the present. Cambridge: Cambridge university press, 2017. 169 p.
  37. Muir W. The Mameluke or slave dynasty of Egypt. London: Smit, Elder and Co, 1896. XXXII, 245 p.
  38. Muslu C. Y. The Ottomans and the Mamluks. Imperial diplomacy and warfare in Medieval Islamic world. London-New York: I. B. Tauris, 2017. XII, 376 p.

- 
39. Northrup L. The Bahri Mamluk sultanate, 1250-1390 // The Cambridge history of Egypt. Vol. I. Islamic Egypt, 640-1517. Cambridge: Cambridge university press, 1998. P. 242-289
  40. Petry C. F. The Mamluk sultanate. A history. Cambridge: Cambridge University Press, 2022. XIX, 358 p.
  41. Winter M. Egyptian society under Ottoman rule, 1517-1798. London – New York: Routledge, 1992. XV, 324 p.
  42. Winter M. Ottoman Egypt, 1525-1609 // The Cambridge history of Egypt. Modern Egypt. From 1517 the end of twentieth century. Cambridge: Cambridge university press, 1998. P. 1-33.

---

Yaroslav Valentynovych Pylypchuk

Doctor of historical sciences, senior lecturer of the Department of World History and Archeology of the Faculty of History and Philosophy of the National Pedagogical University named after M. P. Drahomanova, Kyiv, Ukraine  
E-mail: [pylypchuk.yaroslav@gmail.com](mailto:pylypchuk.yaroslav@gmail.com)  
<https://orcid.org/0000-0002-9809-3166>

## Circassian Mamluks in Egypt

### Summary

This article is devoted to the history of the Mamluk state in the Middle East during the period of domination of the Circassian dynasty. The coming to power of the Circassian Mamluks-Burjits was prepared by plague epidemics, a reduction in the flow of Turkic slaves due to the Islamization of the population of the Golden Horde, and internal squabbles between the Mamluks-Kipchaks. The first Circassian sultan, Barquq, was forced to wage a tough power struggle against Yalbuga al-Nasiri and Mintash before the Circassians established themselves on the throne in Cairo. Barquq established ties with the states of the Ottomans and Jelairids, as well as with the Golden Horde. Barquq's successor, Sultan Faraj, turned out to be a weak ruler, and during his reign, Egypt experienced an internal political crisis, epidemics and Chagatai invasions. Sultan Sheikh was able to stabilize the situation, who curbed the Bedouins and forced the Karaman beys to submit to the Mamluks. Under Barsbay, the Mamluk Sultanate pursued an active foreign policy. Several successful naval raids were carried out against the Kingdom of Cyprus, and the Mamluks were at war with the Turkman confederation of Qara Qoyunlu. The beys of Karaman and Dulkadir recognized their dependence on Cairo. Sultan Jakmak suppressed the uprisings of the Mamluk emirs and sent a fleet under the command of Inal against the Hospitallers from Rhodes. Sultan Inal participated in the strife in the kingdom of Cyprus. Khushkadam continued Inal's course in foreign policy. The time of the greatest power of the Mamluks was the reign of Kaitbay. Under him, the Mamluks were able to emerge victorious from a series of conflicts with the Ottoman Sultan and the beys of Dulkadir. The income of the Mamluks grew. They also managed to curb the Mamluks. Only at the end of Qaitbai's reign did the system lose stability. Period 14996-1501 was a period of crisis from which the country was led by Kansu al-Gauri, the last great sultan. To pacify the opposition, he had to resort to harsh measures. Kansu faced challenges that were not before the previous sultans. The penetration of the Portuguese fleet into the Indian Ocean forced the Sultan to spend a lot of money on the maintenance of the fleet. In addition, the Portuguese destroyed the

---

Mamluk monopoly on the spice trade. In 1516, the defeat at Marj Dabiq in which Kansu died symbolized the end of Mamluk dominance in the Middle East. Operative resistance to the Ottomans by Tumanbay II in 1516-1517, and the Mamluk uprising of 1521 by Janberdi al-Ghazali was the agony of the Mamluk regime. From 1521 to 1707 the real rule of the Mamluk lands was in the hands of the Ottomans. In the XVIII century, Egypt was ruled by the Georgian Mamluks.

უჩა ოქროპირიძე

ბათუმის შრს უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ისტორიის დოქტორი, პროფესორი

**კიდევ ერთხელ „თურქი-მესხების“ პრობლემის შესახებ**

ევროსაბჭოში შესვლისას 1999 წელს, საქართველომ, 1944 წელს გასახლებული, ე. წ. „თურქ-მესხებად“ მოხსენებული მოსახლეობის უკან დაბრუნების ვალდებულება იკისრა. აღებული ვალდებულების თანახმად, რეპატრიაციის პროცესი 2002 წელს უნდა დაწყებულიყო და 2011 წელს დამთავრებულიყო.

საქართველოში არსებული პრობლემებიდან გამომდინარე, 2005 წელს ევრო საბჭომ ახალი რეზოლუცია მიიღო, რომლითაც რეპატრიაცია 2013 წლამდე გადაიდო. 2007 წელს კი მიიღეს საქართველოს პარლამენტის კანონი „რეპატრიაციის შესახებ“, რომლის შესრულება, მასში ჩადებული ხელოვნური პრობლემების გამო, თითქმის შეუძლებელია. ამიტომაც, ქართულ სახელმწიფოებრივ სივრცეში ამ ე. წ. თურქი-მესხების საკითხი ერთ-ერთი ურთულესი პრობლემაა. ამასთან, საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი, „თურქი-მესხების“ საქართველოში დაბრუნების საკითხს უნდობლად ეკიდება, რადგან მასში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის კიდევ ერთ საფრთხეს ხედავს. განსაკუთრებით რადიკალურად არის განწყობილი მესხეთის თანამედროვე მკვიდრი მოსახლეობა.

აღნიშნული საკითხით ადრევე დავინტერესდები და ჯერ კიდევ 1991 წლის აგვისტოში ადიგენის რაიონში მოვანყვე ექსპედიცია მისი შესწავლის მიზნით. მაგრამ იმდროინდელ საბჭოთა კავშირში საკავშირო პრობლემების გააქტიურების გამო, იძულებული გავხდით საქმე მოულოდნელად შეგვეწყვიტა, თუმცა საერთო სურათის მომცემი მასალა, თითქმის ერთი-ერთზე ემთხვევა ერთმანეთს და მათგან გამომდინარე ერთიანი საბოლოო დასკვნა ასეთია: „თურქი მესხების“ საქართველოში დაბრუნება შეუძლებელია და თუ ისინი დაბრუნდებიან, ჩვენ უნდა დავტოვოთ ჩვენი სამშობლო!“ – ამბობენ მესხეთის მკვიდრნი.

ადიგენის რაიონის სოფელ უდეში მცხოვრები პეტრე ქიქოშვილი აღნიშნული კონტიგენტის შეფასებისას მეტად კრიტიკული და კატეგორიულია, აცხადებს რა, რომ „აჭარამ სარწმუნოება შეიცვალა და ენა შეინარჩუნა, რითაც აქ ქართული თავისთავადობა შენარჩუნებული იქნა. აქაურებმა კი დაკარგეს და დაივი-

წყეს როგორც ენა, ასევე უარყვეს სარწმუნოებაც და სრულიად გაათრდნენ. აჭარაში თუმცა 300 წელი იყვნენ თურქები, მაგრამ მათ ენა, ქართული შეინარჩუნეს და მათი გადაგვარება თურქებმა ვერ შეძლეს. გადაგვარებულები კი – ენას რომ დაკარგავს, გვარს რომ დაკარგავს და ყველაფერ ქართულს რომ დაკარგავს – ის თურქზე უარესია!“ და ამ შეფასებისაგან დიდად არ განსხვავდებოდა სხვა რესპონდენტთა შეფასებანი, პირიქით, ზოგიერთები ამაზე უფრო მძაფრიცაა. ამასთან ძალზე გვენიშნა ამავე სოფელელ არტემ გელაძის ნათქვამი, რომ „ადიგენის რაიონში რამდენი მეჩეთიც არის, ყველა მეჩეთი ეკლესიის საძირკველზეა აშენებული... თუ მათ ქართველობა უნდოდათ, ეს მეჩეთები 1937-1939 წლებშია ნაშენები... აქ ვერ იქართველეს, აქ, საქართველოში და ახლა შუა აზიაში ნამყოფები იქართველებენ?!.. ააშენა ღმერთმა როინ მეტრეველი, მხარი დაგვიჭირა... ნაირა გელაშვილი, მამულია, ბაქრაძე შუა აზიაში რომ დარბიან, ერთი აქ ჩამოსულიყვნენ და ჩვენთვის ეკითხათ, რას ვფიქრობთ...“

იგივე რესპონდენტი კატეგორიულად აცხადებს: „ესენი არიან ნამდვილი თათრები, არავითარი ქართველები; ადამიანი ეროვნებას რომ შეიცვლის, სახელს რომ შეიცვლის, ენას დაკარგავს თავის სამშობლოში, ის ყველაზე საშიშია!“... ამ აზრს კი სხვებიც იზიარებენ. ადგილობრივთა ვარაუდით, ჩამოსახლების შემთხვევაში, თურქი-მესხები მოინდომებენ მხარის თურქეთისათვის გადაცემას, რის გამოც მათ უკან დაბრუნებას დანაშაულად და შეუძლებლად თვლიან [ექსპედიციის მასალები, 1991].

პრობლემა მართლაც, საკმაოდ რთული და თითქმის მოუგვარებელი ჩანს, მაგრამ რა დააშავეს თუნდაც იმ მცირერიცხოვანმა ადამიანებმა, რომლებსაც ქართული სახელმწიფოს წინაშე არავითარი დანაშაული არ ჩაუდენიათ და, უსამართლოდ დასჯილნი, სამშობლოში დასაბრუნებლად იბრძვიან. ან კიდევ, დამნაშავედ შეიძლება ჩაითვალოს ადამიანები, რომლებსაც საუკუნეების განმავლობაში უწამლავდნენ ეროვნულ თვითშეგნებას და მათ მანქურთებად ჩამოყალიბებას ცდილობდნენ?! ამას კარგად დაფიქრება, ხოლო შექმნილი უმძიმესი მდგომარეობიდან ღირსეული გამოსავლის პოვნას უდიდესი შრომა, არანაკლები თავდადება და მოთმინებით მოღვაწეობა სჭირდება, (რაც მომავლის საქმეა...) და არა მოუშაადებელი, ნაჩქარევი, წინასწარ შეუსრულებლობისათვის განწირული გადანყვეტილებების მიღება.

რაც შეეხება მაშინდელ ქართულ პრესას, პირველ რიგში, უნდა აღვნიშნოთ მასში გამოხატული საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების პოზიცია, რომელიც მორიგი, კომუნისტური საზოგადოებისათვის დამახასიათებელი, დემაგოგიითა და ილუ-

ზორული სიყალბით ცდილობს ფონს გასვლას და თან ცდას არ აკლებს მეცნიერული მიუდგომლობისა და „სიღრმისეული ანალიზის“ ფონი შექმნას, – შეცდომას უწოდებს რა იმას, რაც საქართველოში ბოლშევიკური რუსეთის (და საერთოდ, რუსეთის) მიზანმიმართული პოლიტიკა იყო საქართველოს დასანაწევრებლად და დასასუსტებლად – და რადაც აღნიშნული საზოგადოება წარმოგვიდგენს სამცხე-ჯავახეთის 220 სოფლის ერთი ხელის მოსმით დაცარიელებას მოსახლეობისაგან; უნდა ითქვას, რომ ეს იყო ქართველებისაგან ამ მოსახლეობის ხელოვნურად გაუცხოების მორიგი ეტაპი და რუსულმა სახელმწიფო მანქანამ იგი ლოგიკური შედეგით დაასრულა, რათა საჭირო მომენტისთვის ახალი, შეურიგებელი მტრები შეემზადებინა ქართული სახელმწიფოებრიობის მომავლისათვის, მისთვის ზურგში ხანჯლის ჩასაცემად. ამიტომაც ამ საზოგადოების მოწოდებაც, ახლა მაინც „ვიყოთ სამართლიანი და შეძლებისდაგვარად გამოვასწოროთ ის შეცდომა, რომელმაც დანაშაულამდე მიგვიყვანა“, [მესხთა ტრაგედია, 1989] ყალბია, რადგან ამ დანაშაულში ქართველ ხალხს წილი არ უდევს და მასზე და მის ყველა შედეგებზე პასუხისმგებელია თავისი მიზნების განხორციელებაში დაუნდობელი და ვერაგი რუსული იმპერიული მანქანა. ამიტომაც მიგვაჩნია, რომ საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების პოზიცია სავსებით სამართლიანად გააკრიტიკა ცნობილმა ქართველმა მწერალმა და პუბლიცისტმა ომარ გოჩელაშვილმა წერილში „მართლაც, არ ეგების თვალის დახუჭვა“ [გოჩელაშვილი, 1989].

მაშინაც ასეთი ორგანიზაციებისა და საზოგადოებების საქმე „პარტიული ხაზის“ დაცვასა და მისი პოლიტიკის გამართლების იქით არ მიდიოდა და ვერც ნავიდოდა, მათთვის თავიდანვე განსაზღვრული როლის გამო. ამ როლიდან გამომდინარე, მათი უნიათობის გამართლების ცდას ვერაფერს მატებს საქართველოს დემოგრაფიული საზ-ბის თავმჯდომარის მოადგილის ი. ბეგიაშვილის ოპერატიულად მომზადებული საპასუხო წერილიც [ბეგიაშვილი, 1989], რომელშიც იგი „სამართლიანობის აღდგენის“ მიზნით „კომპეტენტურ ქართველ მეცნიერებსა და სპეციალისტებზე“ და „თვითმხილველ“ პარტიის ახალციხის რაიკომის პირველ მდივანზე მიუთითებს, თანაც მრავალმნიშვნელოვნად ირონიზირებს კიდევ. მაგრამ იგი თუ მართლაც სამართლიანად განსჯიდა ყველაფერს, მიხვდებოდა, რომ სწორედ ეს „კომპეტენტური მეცნიერები და სპეციალისტები“, „პარტიულ ნომენკლატურასთან“ ერთად, იყვნენ პირველხარისხოვანი დემაგოგ-გამყალბებლები და სისტემის მრუდე სარკის პირველი ავტორ-შემოქმედნი. სწორედ ისინი იყვნენ, რომ მხოლოდ პარტიის ოფიციალური პოზიციის „მეცნიერულ დასაბუთებასა“ და

მისი გასამართლებელი დებულებების შექმნას ემსახურებოდნენ და არა სიმართლეს, ისტორიული პროცესების სამართლიან, ისტორიულ ჭრილში წარმოჩენას.

ხოლო, რაც შეეხება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1956 წლის 28 აპრილის ბრძანებულებით „გადასახლებულები განთავისუფლდნენ კომენდატურის მეთვალყურეობიდან და მიეცათ საბჭოთა მოქალაქის ყველა უფლება“... და „ისინი რეაბილიტირებულნი არიან“, რასაც დიდ მონაპოვრად აცხადებს იგივე ავტორი [იქვე], – ჩვენი აზრით, სწორედ ეს იყო ამ „საბჭოთა მოქალაქის“ ყველაზე დიდი უბედურება, რომ როცა საჭიროდ დაინახავდა, მას ყოველგვარი სასამართლო პროცედურის გარეშე რეპრესირებულს გახდიდა საბჭოთა სახელმწიფო უსამართლო მანქანა, შემდეგ კი იმავე წესით, რეაბილიტაციას გამოუცხადებდა (ასე, რომ აქ ვერავინ გაიგებდა, სად იყო სიმართლე და სამართლიანობა). და თუ ავტორს მართლა სჯერა, რომ ისინი აღნიშნული ბრძანებულებით რეაბილიტირებულნი არიან და მიეცათ საბჭოთა მოქალაქის ყველა უფლება, მაშინ რატომ არ დააბრუნეს ისინი თავიანთ ადრინდელ საცხოვრისზე და გარკვეულ დრომდე, რატომ დატოვეს ისევ გადასახლებულის მდგომარეობაში?! მაშ, რას ნიშნავს რეაბილიტაცია და საბჭოთა მოქალაქის ყველა უფლების აღდგენა, ამ შემთხვევაში, თუ არა ი. ბეგიაშვილის მთელი მსჯელობის სიყალბის დამტკიცება?!..

ჩვენი აქ მოყვანილი დებულებების უშუალო დადასტურებაა თამარ საბინაშვილის სტატია – „სხვისი ჭირი“ [საბინაშვილი, 1989], რომელიც თავისი მამხილებელი ტონის გამო, ქართული კომუნისტური ნომენკლატურის პარტიულმა „ბოსებმა“, როგორც ჩანს, ძალიან სახიფათოდ მიიჩნიეს და გამოსაქვეყნებლად ნაკლებად პოპულარულ გაზეთში „სოფლის ცხოვრება“ გადაამისამართეს. ეს სტატია არის მამინდელ საბჭოურ სივრცეში მეტად გავრცელებული ურთიერთ გაბიაბრუნების მხილების თვალსაჩინო ნიმუში, როდესაც ერთმა მხარემ თითქოსდა ბევრი რამ არ იცის და ცდილობს ამ „უვიცობის“ თავის სასარგებლოდ ექსპლოატაციას, საკუთარი მიზნის მისაღწევად გამოყენებას. მეორე მხარე ცდილობს მას ყველაფერი დაწვრილებით და გასაგებად აუხსნას, ბოლოს კი ირკვევა, რომ ამ თითქოსდა „არ მცოდნეს“, სინამდვილეში არაფრის ცოდნა არ სურს და საკავშირო ელიტის მოსკოველ წარმომადგენელთა მორიგი შეკვეთილი ვოიაჟი თბილისში, უდღეური ტყუილებისა და დემაგოგიის ნაზავით, სწორედ ხალხის „დასაბოლებლად“, გარკვეული კონტიგენტისათვის კი ინსტრუქციის მისაცემად მოწყობილი ფარსია, რომლის საბოლოო მიზანსაც საქართველოსათვის ე. წ. თურქი-მესხების „შემოსალება“ წარმოადგენდა.

რაც შეეხება ი. საბინაშვილის ემოციურ შექაჩილს – „არ მინდა დავიჯერო, რომ ასეთია აზრი ხალხისა, რომლებიც ძალიან პროგრესულად აზროვნებს ... და რომელთაც ... სუნთქვაშერუღი ელოდა ყრილობა და ტელემეაყურებელიც“, მას ახლა მაინც უნდა ვუთხრათ, რომ – მაშინ შეიძლება მართლა, ადამიანურად რუსეთშიც შეაწუხა ვიღაც თბილისში მომხდარმა ამბებმა და ვერც საბჭური „განსაწმენდელის“ გავლა მოასწრეს მათ, ამიტომაც, ემოციებს აყვენს; ახლა კი ისინი სპეციალურად დამუშავებულნი, სპეციალური დავალებით ჩამოვიდნენ თბილისში საგანგებო მისიის შესასრულებლად და თავიანთი პატრონების სასარგებლოდ ცივი გონებით და ანგარიშით უნდა ემოქმედათ. ამასთან უნდა ვიცოდეთ, რომ მათ „პროგრესული აზროვნება“ შეიძლება იქამდე გაჰყვეთ, სანამ ამას მათი სახელმწიფოს ინტერესები მოითხოვს; შემდეგ კი, როგორც ტოტალიტარული სისტემის „ხოლოპებს“, თავიანთი ბატონების სასარგებლოდ, თავის გავირეშმაკება და ყოველგვარი აბსურდისა და სისულელის მტკიცება ევალებოდათ, – ხოლო თუ ვინმემ გაბედავდა და ამხელდა, ისინი ყველაფერს ურცხვად საკითხის საფუძვლიანად არცოდნას დააბრალებდნენ; ეს იმ შემთხვევაში, სინდისის ნატამალი მათ მმართველ პულტთან, თუ კიდევ ვინმეს შერჩენოდა. თუ არა და...

ამირან ავალიანი თავის წერილში „ვისია მესხეთი?“ [ავალიანი, 1989] გაკვირვებას გამოთქვამს, რომ საქართველოში ჩამოსახლებული (ზუგდიდის რ-ნი სოფ. ნარაზენი) 15 მესხის კოლექტიურ წერილში გამოხატული მათი ანტიქართული პოზიციის სრული მხილების შემდეგ კამათი მაინც გაგრძელდაო ... აბა, რა ეგონა?! ასე ადვილად დანებდებოდა ვინმე და ხელს აიღებდა დავალების შესრულებაზე?! აქ ხომ თავისი თავისუფალი ნებითა და შეგნებით არავინ მოქმედებდა; ეს იყო ერთი პულტიდან მართული თოჯინების თეატრი. ამასთან, ორივე მხარის პოზიციაში ნათლად ჩანს, რომ კომუნისტური დემაგოგიით, ისევე არაფრის მთქმელი სილოგიზმებით ცდილობენ ფონს გასვლას და სრულიადაც ვერ შეუგნიათ მომენტის სრული სერიოზულობა, როგორც თავისი, ასევე თავიანთი თანამომძიებების მდგომარეობისაც... და კამათი გრძელდება... მაგრამ ეს უკვე ნაძალადევი, შეკვეთილი კამათია, რათა შემკვეთს საქართველოში მორიგი, უკვე საერთაშორისო მასშტაბის ახალი პროვოკაციების ასაგორებლად საჭირო ბაზა შეუქმნან... აქედან გამომდინარე კი, სრულებით ბუნებრივია ავტორის კითხვა, რომელშიც პასუხიც იგულისხმება: „დიახაც, გულმონყალება ... სანაქებო თვისებაა, მაგრამ გვაქვს რისკის უფლება, როცა საქმე სამშობლოს ბედს ეხება? ჩვენს მიმართ თუ იჩენს ვინმე ასეთ გულმონყალებას?“ და აქ უნდა დავ-

ეთანხმობთ აზრს, რომ „სამი საუკუნის განმავლობაში უცვლელი დარჩა ერთი – „ქართველთა კოლექტიური უპასუხისმგებლობა“ [ტუხაშვილი, 1989]. მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, თუ როგორი რუდუნებითა და მონდომებით ზრდიდნენ ამ უპასუხისმგებლობას ქართველ ხალხში ასწლებლების მანძილზე მასზე მოძალადე აშკარა თუ ფარული მტრები! და სწორედ ამ ქართული კოლექტიური უპასუხისმგებლობის უშუალო შედეგია, რომ ყველა მხრიდან გვისვამენ კითხვებს: „ერთბაშად ‘აგიჯანყდათ’ შიდა ქართლი, ჯავახეთი, ყვარლის ლეკი მოსახლეობა, ‘თურქიმესხები’, ბერძენ-ურუმები, ოსები, აფხაზები, სამხედრო წრეები... კონფლიქტი გაქვთ ცენტრალურ ხელისუფლებასთან, მეზობელ რესპუბლიკებთან, მოითხოვთ ყველა მხარეზე დაკარგულ ტერიტორიებს, გსურთ დამოუკიდებლობა. ნუთუ ყველაფერში მართლები ხართ?“ – ამბობს ავტორი და იქვე ამ კითხვას სრულიად სამართლიანად პასუხობს: „ჰაი-ჰაი, მართლები ვართ, მხოლოდ ეგაა, ველარაფრით დაგვისაბუთებია ჩვენი სიმართლე საკავშირო და მსოფლიო საზოგადოებრიობის თვალში. ასე თანდათან ჩამოყალიბდა ანტიქართული სინდრომი... გასაქანი ეძლევა ყოველგვარ ანტიქართულ დემაგოგიას. შეიძლება ითქვას, რომ იგი აქტიურად მოქმედი ფაქტორი გახდა“ – დასძენს ავტორი და იქვე განაგრძობს – „მართლაც შეიქმნა მდგომარეობა, როდესაც ჩვენი ‘კაკალიც აღარ ჩხრიალებს’, ხოლო სხვებისა ბამბაც საშინელ ხმაურს გამოსცემს“ [იქვე]. აქ ბატონი ლოვარდ ტუხაშვილი დღეისათვის, ალბათ, აუცილებლად დაამატებდა, „რადგანაც ერთადერთი მართალი ამ სისტემაში, ჩვენი ‘უფროსი ძმა’, რუსი უნდა დარჩენილიყო“... ქართველ მეცნიერებს კი არ ჰქონდათ უფლება ადექვატური პასუხი გაეცათ ანტიქართულ შემოტევებსა და ქმედებებზე; პირიქით, ვალდებული იყვნენ, ხშირ შემთხვევაში ეს კომუნისტური პარტიის უმაღლესი ეშელონებიდან თუ საკავშირო მთავრობიდან წამოსული ანტიქართული ინიციატივები მოეწონებინათ და მისი „სიკეთე“ მეცნიერულად დაესაბუთებინათ, რაც კეთებოდა კიდევ. ამის ორ უტყუარ მაგალითს მოვიყვანთ, რომელთაც ჩვენს თვალწინ გაიარეს „აპრობაცია“. პირველია 1978 წლის აპრილის ამბები ქართული ენის სახელმწიფო სტატუსთან დაკავშირებით, როდესაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა დიდი ნაწილი, ცენტრალური საკავშირო მთავრობისა და კომპარტიის ხაზის სამართლიანობას გვიმტკიცებდა და ჩვენ, სტუდენტებს „ისტორიული გარდაუვალობის წინააღმდეგ“ წასვლას გვაბრალებდნენ. და მეორეც, სულ ახლახან – როდესაც სომეხი ისტორიკოსების სრულიად უკანონო, საქართველოს მიმართ უსამართლო პრეტენ-

ზიებს ჩვენმა კოლეგამ, საქართველოს საისტორიო გეოგრაფიის ცნობილმა მკვლევარმა, ისტორიის დოქტორმა სიმონ გოგიტიძემ თავის რეცენზიაში სათანადო პასუხი გასცა, თბილისში ვერ ვიპოვეთ ერთი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, რომელიც, მათი აზრითაც, ამ ღირსეულ პასუხს, უცხოეთში გამომავალ სამეცნიერო გამოცემაში ვიზას მისცემდა. ბოლოს კი ასეთი უცნაური პასუხით მოგვიშორეს თავიდან – „თქვენს გამო სომხებს ხომ არ მოვიმდურებთო...“ სომხები რომ სამშობლოს გვედავებოდნენ და მთელი ამიერკავკასია სომხეთად გამოაცხადეს, ეს მათთვის არაფერს ნიშნავდა... და, სამწუხაროდ, ისეთი გრძობა მაქვს, რომ „ქვათა ღალადი“ თანამედროვე საქართველოში არ დაინერებოდა! და თუ დაინერებოდა, მზის სინათლეს ვერ იხილავდა...

როცა ავტორი ზემოთ აღნიშნულ წერილში რუს „სამართლიანობისთვის მებრძოლ მეცნიერზე“ ვიაჩესლავ ივანოვზე საუბრობს, სხვა საკითხებთან ერთად მას უყენებს ბრალდებებს: „იგი უმაღლავს მსმენელს, რომ ე. წ. აფხაზური სკოლა, აფხაზური დაწესებულებანი ფაქტობრივად რუსულია. იგი მალავს იმასაც, რომ აფხაზური მოსახლეობის მნიშვნელოვანმა ნაწილმა არ იცის თავისი მშობლიური (როგორც ქართული, ისე აფხაზური. ეს მაშინდელი რეალობა იყო! – უ. ო.) ენა; რომ საოჯახო ურთიერთობაშიც იყენებს რუსულ ენას. ივანოვისეული ლოგიკის მიხედვით ქართულის ცოდნა აფხაზთა ასიმილაციას იწვევს, რუსული ენა კი ავითარებს ეროვნულ კულტურას“... ამიტომაც, ჩვენც უნდა დავეთანხმოთ მას, რომ ვიაჩესლავ ივანოვი დემაგოგი და პროვოკატორია. მაგრამ, ჩვენი აზრით, დემაგოგი და პროვოკატორია ყველა ის ქართველი მეცნიერიც, რომლებიც, რაღაც თითიდან გამონოვილი მიზეზებით, თავს არიდებენ ქართული ინტერესების მეცნიერულ საფუძველზე დაცვას!

აფასებს რა შუა აზიაში, კერძოდ ფერღანაში დატრიალებულ უბედურებას, ერთ-ერთი დაზარალებული ინტერვიუში ამბობს: „...მთელი ეს სისხლიანი პროვოკაცია მაფიოზური ძალების მიერაა ორგანიზებული და დაფინანსებული, მაგრამ ცოტამ თუ იცის ამ ხოცვა-ჟლეტის ნამდვილი მიზეზები“... მაგრამ დიდი ხანია დადგა დრო ითქვას, რომ ამ ე. წ. თურქი-მესხების საქართველოსა და ქართველთაგან გასაუცხოებლად და გარკვეულ მომენტში, მათზე სამკვდრო-სასიცოცხლოდ დასაპირისპირებლად მიზანმიმართული მუშაობა, განსაკუთრებით გაძლიერდა საბჭოთა პერიოდში. მათი შუა აზიაში გადასახლება და გარკვეულ დრომდე იქ ანტიქართული სულისკვეთებით დამუხტვაც, ამ მიზანს ემსახურებოდა. ხოლო საქართველოში აღმავალი ეროვნულ-განმათავი-

სუფლებელი მოძრაობის პერიოდში ფერღანაში მათი დარბევა და საქართველოში გადმორეკვის მცდელობაც, ამ მოძრაობისათვის ზურგში მახვილის ჩასაცემად და ერის მთელი ენერჯის საშინაო პრობლემებზე გადართვის მიზნით იყო განხორციელებული, რაც საქართველოსთვის მომაკვდინებელ საშიშროებას შეიცავდა. და არა იმიტომ, რომ „თურქი-მესხები“ იყვნენ თითქოს ასეთები, არამედ იმიტომ, რომ საბჭოთა იმპერიულ მანქანას ამ მიმართულებით სურდა მათი გამოყენება და მის ხელთ არსებულ ყველა რესურსს აამოქმედებდა საკუთარი მიზნის მისაღწევად. მათი დღევანდელი პრობლემებიც „ბოროტების იმპერიის“ აგრესიული მემკვიდრის არსებობითა და მისი არც თუ გონივრული სამომავლო მიზნებითაა განპირობებული; ჩვენ კი, ამდენი ხნის განმავლობაში მათ მიერ მიზანმიმართული ღვარძლის თესვისა და ჩვენს შორის ბოროტგანზრახული დგომის გამო, ერთმანეთის ცნობა და ერთად თანაცხოვრება ვეღარ მოგვიხერხებია.

იმავე ინტერვიუს გაგრძელებაში ნათქვამია, რომ მომხდარში „არცთუ მცირე ბრალი მიუძღვის ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს, რომლებსაც ჩვენ არაერთხელ მივანიშნეთ მოსალოდნელ ტრაგედიაზე, მაგრამ ისინი ჩვენს გაფრთხილებასა და თხოვნას ზერელედ მოეკიდნენო“, რაც მხოლოდ ამტკიცებს ზემოთ გამოთქმულ ჩვენს მოსაზრებას, ამ საქმეში მთელი საბჭოთა სისტემის თანამონაწილეობა-თანამშრომლობის შესახებ. აღნიშნულმა ადგილობრივმა ორგანოებმა ზუსტად შეასრულეს მოსკოვის ხელისუფლების უმაღლესი ემელონებიდან მომდინარე დავალება და მითითებანი. ამის კიდევ ერთი დადასტურებაა მათი ერთ-ერთი „ლიდერის“, საკუთარი ხალხის ბედით ურცხვად მოვაჭრე პროვოკატორ ი. სარვაროვის, პროვოკაციული განცხადებანი, რომ თითქოს საქართველოში „ჩვენი მოსმენა არ უნდათ, გაიძახიან“ სამშობლოში დაბრუნებისათვის საჭიროა „გახდე ქართველი“, უარი თქვა შენს ენაზე, რელიგიაზე და ბოლოს და ბოლოს გვარზეც... ასი წლის წინათ მესხები ქართველები იყვნენ და შემდეგ გათურქდნენო“... შემდეგ კი სვამს ასევე პროვოკაციული შინაარსით გაზავებულ კითხვას: „ნუთუ ისტორიის მეცნიერებათა დოქტორებს არ ესმით, ...რომ მას შემდეგ ადამიანებს ჩამოუყალიბდათ გარკვეული ეროვნული შეგნება და ახლა ამ შეგნების შესაცვლელად მათი იძულება შოვინიზმი არ არის?!“ [გადმობეჭდილია გაზ. „ლიტერატურნაია როსია“-დან; ნახევარი საუკუნე... 1989].

ამ ინტერვიუს სათაურად „ნახევარი საუკუნე უსამშობლოდ“ ჰქვია და იგი გაზეთ „ლიტერატურნაია როსიას“ კორესპონდენტ ა. პისარევს ჩაუწერია. ჩვენ ვსვამთ კონტრშეკითხვას: მსგავსი შეგ-

ნებისა და ფსიქოლოგიის ადამიანმა, სამშობლოზე თუ შეიძლება ისაუბროს, რადგან მას ასეთი რამ, საერთოდ, გააჩნია?! და აქვე უნდა ვთქვათ, რომ სარვაროვის მსგავსთა ქმედებების გამოა, რაც ამ ტანჯულ ხალხს სჭირს. მისნაირთა ქმედებების გამო დასჯილი ქართული ორიენტაციის მესხთა მისდამი გამოტანილი მსჯავრიც სრულიად სამართლიანია და ეთანხმება ჩვენს აზრს, როდესაც ისინი აცხადებენ: „სარვაროვსა და მისნაირ გამყიდველებს საკავშირო ინფორმაციის საშუალებები ფართოდ უხსნიან კარს ქართველი ერის საზიანოდ. თვითონ ჩვენც, არაქართული ორიენტაციის მესხთა ჩამოსახლების მონინაალმდეგენი ვართ, და თუ ასეთებმა მაინც შემოაღნიეს, უკან უნდა მიბრძანდნენ“... [ლია წერილი... 1989]. მაგრამ ასე გაგრძელებაც აღარ შეიძლება...

ცნობილი მეცნიერისა და მწერლის აკაკი გელოვანის მიერ გამოთქმული მოსაზრებანი [გელოვანი, 1989] ერთი-ერთზე ემთხვევა 1991 წლის აგვისტოში ადიგენის რაიონში ექსპედიციის დროს ჩვენს მიერ ამ საკითხზე მოპოვებული ვიდეო მასალის შინაარსს, რომელთაგან ზოგიერთი, მათი გამაღიზიანებელი სისასტიკისა და ვულგარულობის გამო, რესპოდენტებმა აღარ ჩაგვანერინეს. ყოველი მხრიდან დაუნდობლობისა და სასტიკი ღალატის აჩრდილთა შემოსევა ისახებოდა რესპონდენტთა მოგონებებსა და საუბრებში: და ყველაფერი ეს თვალწინ მიცოცხლებს გრიგოლ გვარამაძის წერილში გულისტკივილით დახატულ სურათს, რომ ეს „თურქი-მესხები“, იგივე „ხუჟანი“ უფრო საშიში, ვერაგი და სასტიკი მტერი იყო ჩვენი ხალხისა, ვიდრე ოსმალეთიდან შემოჭრილი თურქი დამპყრობლები. „ხუჟანები“ უფრო ვერაგულად იბრძოდნენ ქართველთა და ყველა ქრისტიანთა წინააღმდეგ“... [გვარამაძე, 1989].

ასეთი სურათის აღმქმელს, გარდა იმისა რალა დამრჩენია ვიფიქრო – რამ უნდა აქციოს ადამიანი ისეთ არსებად, რომ საკუთარ სამშობლოდ მიჩნეულ ქვეყანაში ასე, გემ აღებულნი ნადირივით დადიოდნენ და ყოვლის წამლექავმა სიძულვილმა ისიც დაგავინწყოს, საერთოდ ვინა ხარ?! მაგრამ ეს ამ ხალხის საუკუნოვანი მონობის და ორი იმპერიული სახელმწიფოს, ჩვენი ერთმანეთზე მგეშავი პოლიტიკის შედეგია, რომლის ამ შედეგების აღმოფხვრა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არანაკლებ დროსა და მოთმინებით მუშაობას მოითხოვს, ვიდრე მისმა დამწერგავებმა ამ უკიდევანო სიძულვილის ჩათესვა-გალვივებაზე დახარჯეს... თუმცა დღევანდლამდე, მტრის მიერ დიდი ოსტატობით ჩანერგილი სიძულვილის ნაყოფი ერთმანეთთან მიახლოების საშუალებასაც არ აძლევს ქართველთა ორად გახლეჩილ ცნობიერებას; მაგრამ თუ ამ ჩვენი საერთო ჭირის გადალახვა გვსურს, უნდა შევძლოთ

ორივე მხარისათვის მწარე და მეტად სამწუნხარო სიმართლის მოსმენა, რის გარეშეც შეუძლებელია ვითარების მართებული ანალიზი და სათანადო დასკვნების გამოტანა, რათა დაისახოს დღეს არსებულ რეალობის გათვალისწინებით მდგომარეობის გამოსწორების სამომავლო პერსპექტივა.

ვფიქრობთ, რადგან აფხაზეთის გარშემო შექმნილმა თანამედროვე პრობლემებმა თითქმის ყველა ჩვენთაგანის თვალწინ ჩაიარა და ჩვენს ცნობიერებაში გავლილი ჯერ კიდევ ცოცხალი ფაქტია, აფხაზეთით დავინყებ და „თურქი-მესხების საკითხისთვისაც“ (და სხვებისთვისაც- უ. ო.) ბევრი რამ საცნაური გახდება.

პირდაპირ უნდა ვთქვათ, და ეს ფაქტია, აფხაზეთში ჩვენ, ქართველებს ყველაზე მეტად გვმტრობენ „გააფხაზებული ქართველები“ (რომელთაც ისევე, როგორც „თურქი-მესხების“ დიდ ნაწილს, „გაქართველება“ ვერ წარმოუდგენია, და თუ რატომ, ამას ქვემოთ მოგახსენებთ...), რომლებიც აფხაზეთში გარკვეული პრივილეგიებისა და თანამდებობების მისაღებად „აფხაზებად“ ჩაენერნენ; ამიტომაც „აფსუებისთვის“ ყოველთვის უნდა ემტკიცებინათ, რომ ისინი მათზე ნაკლები „აფხაზები“ არ იყვნენ, და კიდევ – ამიტომაც მათ მიერ ჩადენილი ქმედებანი, ხშირ შემთხვევაში, მათ უკან, მშობლიურ წიაღში დაბრუნების ყოველგვარ შანსს უსპობდა, რადგან მათი ამ გზით წამყვანი ძალის მიერ ყველაფერი თავიდანვე ასე იყო ჩაფიქრებული. სწორედ ამ ძალის მიზანმიმართული პოლიტიკის შედეგად ისინი სინამდვილეში კი არ „გააფხაზდნენ“, არამედ „გარუსდნენ“ და ამ გზაზე აფსუათა ნაწილიც გაიყოლიეს.

მაგრამ ამ ანგარიშთან, მზაკვრულ თამაშში ჩაყოლამ უცებ დაკარგა თავისი ხიბლი საბჭოთა კავშირის დაშლისა და ქართული ეროვნული სახელმწიფოს აღდგენის პერსპექტივის გაჩენისთანავე. რადგანაც ისინი ამ მოძრაობის დაწყებისთანავე მიხვდნენ, რომ საკუთარი ამბიციების განხორციელება, მათ შეგნებაში, საკუთარი ეროვნული მეობის „ლალატის“ გარეშეც შეუძლებოდა; მაგრამ, მათივე აზრით, მათ მიერ ჩადენილი საქმეების გამო, უკან მოსაბრუნებელი გზა მოჭრილი ჰქონდათ, თანაც მათი ანგარეობით ჩადენილი ქმედებების მხილებისაც სასტიკად ეშინოდათ და ეშინიათ დღესაც. ამიტომაც, მათი პატრონის შთაგონებით, მათ მომავალი, მათივე აზრით, მხოლოდ რუსეთის მიერ კონტროლირებად აფხაზურ „ანკლავში“ ჰქონდათ და საკუთარი „პრესტიჟული არსებობის“ შესანარჩუნებლად ერთადერთი გზა, აფხაზეთში რუსული ინტერესების დაცვა და განმტკიცება იყო. მაგრამ ამ საკითხში ისინი ისე შორს არიან წასულნი, რომ საქმის ბოლომდე მისაყვანად მათი მომდევნო ნაბიჯი საბოლოო გარუსებაზე შეფა-

რული თანხმობით დასრულდება; (რაც უკვე მომხდარი, მაგრამ ჯერ კიდევ დაუსრულებელი ფაქტია). მაგრამ ნამდვილ ეროვნულ სახელმწიფოზე მეოცნებე ნამდვილი აფსუების ეშინიათ, რადგან ამ ნაბიჯს ისინი ღალატში ჩაუთვლიან, თუმცა ეს ბრალდება ამ „დღევანდელ ლამურებს“ საბოლოოდ მანაც არ ასცდებათ. იციან რა ესეც, ამიტომაც, თავიანთ ერთადერთ ხსნას მათი „სულის მყიდველ“ რუსეთში ხედავენ. მაგრამ, მათდა სამწუხაროდ, მათ არ იციან, თუ რა დასჭირდება რუსეთს მომავალში, – ან საბოლოო გადაშენების პერსპექტივას ხომ არ აჯობებდა, რომ აფსუებთან ერთად თავიანთ თანამოძმე ქართველებთან ურთიერთობის მოგვარებაზე ეზრუნათ? მითუმეტეს ჩვენ კარგად გვესმის მათი როგორც ადრინდელი, ისე დღევანდელი პრობლემები და არც არაფერში ვადანაშაულებთ; ზემოთ მოყვანილი მკვეთრი გამოთქმები და ცნებები კი იმისთვის მოვიხმეთ, რომ მათი ახლანდელი მდგომარეობა მათთვისვე ნათლად დაგვეჩვენებინა. ამასთან, შევასხენებთ ისტორიულ წარსულს, რომ დღევანდელი ე. წ. „მესამე რომის“ წინამორბედმა ბიზანტიის იმპერიამ, როცა მას გაუჭირდა და დასჭირდა, როგორ მიუგდო მის მიერ მიტაცებული ქართული მიწები საქართველოს მეფე ბაგრატ IV-ს... რა ვიცი, რა ხდება?! ჩვენთან კი, ნორმალურ პირობებში, მათ არავითარი პრობლემა არც არასდროს ჰქონდათ და არც არასდროს ექნებათ. ამიტომაც შევამზადოთ ნიადაგი ურთიერთ მოსალაპარაკებლად და კონსესუსის ნიადაგზე რომ არ გადაიჭრას, ჩვენი ღრმა რწმენით, ისეთი პრობლემა ჩვენს შორის არ არსებობს.

რაც შეეხება ყოველივე ამასთან „თურქი მესხების“ საკითხის კავშირს, ისინი ამ მიმართულებით კიდევ უფრო შორს არიან წასულნი და მათი მნიშვნელოვანი ნაწილი უკვე იმ დონეზეა გათურქებულ-გათათრებული, რომ ამის დაფარვას არც ცდილობენ და კიდევაც ამკარად გამოდიოდნენ და გამოდიან საქართველოს სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ, როგორც თურქეთისა თუ რუსეთის ინტერესების აგენტები. ასეთ ვითარებაში, როგორ უნდა მოიქცეს ქართული სახელმწიფო საკუთარი სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე? მან, უპირველეს ყოვლისა, უნდა დაიცვას საკუთარი ქვეყნის სახელმწიფოებრივი ინტერესები! ეს მსოფლიო პოლიტიკის აქსიომაა.

მოდით, სალად შევხედოთ მომავალს, თავი გავანებოთ ჩვენი ქვეყნებისა და ხალხის ინტერესების სხვათა საქმეების კეთებისათვის შეწირვას და ბოლოს და ბოლოს, დავინყოთ ჩვენი საერთო სამშობლოს ნამდვილ მომავალზე ზრუნვა. გავაანალიზოთ, ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, საერთო არაკეთილმოსურნეების მიერ ჩვენს შორის ხელოვნურად გაღვივებული სიძულვილისა და ფალსიფიცირებული ურთიერთობის შედეგად

ჩვენთვის თავსმოხვეული მძიმე მემკვიდრეობა და აღვადგინოთ იმ დროის ტრადიცია, როდესაც ერთმანეთი გვეიმედებოდა.

მესხთა ტრაგედია არ ახალია. იგი წარმოშობილია მათი თურქ-ოსმალთა ბატონობის ქვეშ მოქცევის დროიდან და ახალი ფორმით გაგრძელდა მხარის რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შესვლის შემდეგაც, როდესაც აქაური მოსახლეობის უდიდესი ნაწილი განდევნილი იქნა საკუთარი მიწა-წყლიდან, მათ მაგივრად კი ჩამოასახლეს სომხები თურქეთიდან. საბჭოთა პერიოდში უფრო მეტი მონდომებით გაისარჯნენ უზურპატორ-ინტერნაციონალისტები და იმის მაგივრად, რომ ქართული თვითშეგნებისა და ცნობიერების აღდგენაზე ეზრუნათ მათში, მათი სრული და საბოლოო გადაგვარების პროექტის განხორციელებას შეუდგნენ. მესხეთში გახსნეს თურქულ-აზერბაიჯანული სკოლები და ამავდროვნების „მასწავლებლებით“ გაავსეს რეგიონი, რამაც მათი საქართველოსა და ქართველებისაგან გაუცხოების პროცესი კიდევ უფრო გააძლიერა; ერთი მოდგმისა და ორი რელიგიური თემისაგან შემდგარ მოსახლეობაში საურთიერთობო ფონი კიდევ უფრო დაამძიმა და ხელოვნურად ვითარების გამწვავებისთვისაც, „ბოროტების იმპერია“ მის არსენალში არსებულ არცერთ იარაღს არ დაიშურებდა. ბოლოს კი მივიღეთ ის, რომ ამ ორი რელიგიური აღმსარებლობისა და საერთო წარმოშობის ქართული თემის მნიშვნელოვან ნაწილს ერთად ცხოვრება წარმოუდგენლად მიაჩნიათ. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების ქართველ წარმომადგენლებს, რომ ამ პრობლემის საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესების შესაბამისად გადაწყვეტა ნდომებოდათ, ადრევე დაიჭერდნენ თადარიგს და 1988 წელს მაინც, როდესაც მიღებული იქნა „მაჰმადიანი მესხების და ინგილოების უფლებების აღდგენისა და დაცვის ლიგის დეკლარაცია“, მიიღებდნენ სათანადო ზომებს, როგორც ამ დეკლარაციაშია აღნიშნული „ქართველი მაჰმადიანების ეროვნული თვითგამორკვევისათვის, მათი ეროვნული თვითშეგნების განმტკიცებისათვის“... (ლაპარაკია მაჰმადიან მესხებზე – უ. ო.) ხელს შეუწყობდნენ „სხვადასხვა სარწმუნოების ქართველთა შორის ურთიერთსიყვარულის, ურთიერთნდობისა და პატივისცემის გაღვივებას“... (მაჰმადიანი მესხების... 1988) მაგრამ, სწორედ, საქართველოში საბჭოთა მმართველობის ერთგული დამცველი და მისი პოლიტიკის გამტარებელი კომუნისტური ნომენკლატურა წარმოადგენდა იმ რგოლს, რომლის მეშვეობითაც ქართველი ხალხის ნების იგნორირებით, ამასთან მისი სახელით ხდებოდა ყველაზე ანტიქართულ უბინძურეს საქმეთა აღსრულება, რაც, ხშირ შემთხვევაში, სასტიკად წამლავდა ატმოსფეროს სხვადასხვა აღმსარებლობის

ქართველთა შორის. ასეთი პოლიტიკით ისინი ცდილობდნენ ეს ხალხი საერთო ქართული ეთნოფსიქოლოგიის დამანგრეველ ელემენტად ექციათ და საკუთარი ბოროტი მიზნების გამტარებელ მანქურთებად გამოეყენებინათ. ყოველივე ამის მენტალური შედეგები კი დღემდე წამლავს ქართულ საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ გარემოს.

თავს თუ არ მოვიტყუებთ, ორივე მხარემ კარგად ვიცით, რომ დღევანდელი ქართული სახელმწიფოს თითქმის ყველა პრობლემის არსებობის მიზეზი, ხანგრძლივ პერიოდში საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს არარსებობაში, თანამედროვე პირობებში კი ჩამოყალიბების გაზაზუე მდგარი დამოუკიდებელი ქვეყნისა და სახელმწიფო სტრუქტურების სისუსტეში უნდა ვეძიოთ. ამ სისუსტეს განაპირობებს ისიც, რომ საქართველოშიც სახელმწიფოებრივი მანქანის გაკონტროლებას ცდილობს ის ძალა, რომელიც ყალბი ილუზიებით „ასაზრდოებს“ მსოფლიოს და ეროვნული სახელმწიფოებისა და მისი ტრადიციული თვითმყოფადობის დაცვა მისთვის არაფერს წარმოადგენს; ასეთ ვითარებაში კი ჩვენი ქვეყანა განიარაღებულია და არ გააჩნია ერის ღირსების დამცავი რეალური მექანიზმები. ამიტომაც, იგი კვლავ განაგრძობს არსებობას საკუთარი სუვერენობის, სხვა სახელმწიფოთა და მსოფლიოს თანამედროვე წესრიგის მესვეურთა მიერ, მიმძლავრების ფონზე, სადაც მასზე და მის ნებაზე, სამწუხაროდ, თითქმის აღარაფერია დამოკიდებული.

ამ მდგომარეებიდან, ჩვენი აზრით, ერთადერთი გამოსავალია, საქართველოს სახელმწიფომ გააერთიანოს მის ხელთ არსებული ყველა რესურსი, პირველ რიგში, მოამზადოს მომავალი თაობა და ქვეყანაც, აღნიშნული გამოწვევებისათვის საჭირო პასუხის გასაცემად (დავით აღმაშენებლისა და თამარის ეპოქა, გრიგოლ ხანძთელისა და მისი მოწაფეების, აგრეთვე საზღვარგარეთ მაშინ მოქმედ ქართული საგანმანათლებლო ცენტრების მიერ აღზრდილ სულიერებაზე აღმოცენდა) და ჩვენ ამ დაუნდობელ შერკინებაშიც ერთად მოგვიწევს ბრძოლა საკუთარი მეობისა და კავკასიური იდეის გადასარჩენად. სასწრაფოდ უნდა გავაცნობიეროთ, რომ ჩვენ ამ მისიის შესასრულებლად ერთმანეთი ძალიან გვჭირდება! სწორედ ამაზეა დამოკიდებული ჩვენი ხალხის მომავალი, თუ კი გვსურს, რომ ის საერთოდ გვქონდეს.

### გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

1. ექსპედიციის მასალები... 1991: 1991 წლის 19-20 აგვისტოს საქართველოს ეროვნული მოძრაობის ისტორიის მუზეუმის მიერ ადიგენის რაიონში ჩატარებული ექსპედიციის მასალები – ვიდეო გადაღება (ინტერვიუები 3 საათი)
2. მესხთა ტრაგედია, 1989: მესხთა ტრაგედია, გაზ., „ახალგაზრდა კომუნისტი“, 04.07.1989
3. გოჩელაშვილი, 1989: გოჩელაშვილი ო., მართლაც არ ეგების თვალის დახუჭვა, გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 17.07.1989
4. ბეგიაშვილი, 1989: ბეგიაშვილი ი., მესხთა ტრაგედიის გამო, გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“ 27.07.1989
5. საბინაშვილი, 1989: საბინაშვილი თ., სხვისი ჭირი, გაზ. „სოფლის ცხოვრება“, 21.07.1989
6. ავალიანი, 1989: ავალიანი ამ., ვისია მესხეთი, გაზ. „თბილისი“, 08.07.1989
7. ტუხაშვილი, 1989: ტუხაშვილი ლ., „სინდრომი“, გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 27.07.1989
8. ნახევარი საუკუნე..., 1989: ნახევარი საუკუნე უსამშობლოდ, ინტერვიუ, გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 08.08.1989
9. თუნგია, 1989: თუნგია მ., შეხვედრა სამშობლოსთან, გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 08.08.1989
10. აბაიშვილი, 1989: აბაიშვილი პ., დახმარება ჩვენი ზნეობრივი ვალია, გაზ. „თბილისი“, 07.08.1989
11. გელოვანი, 1989: გელოვანი აკ., თურქობაზე ორი აზრი?!, გაზ. „თბილისი“, 27.11.1989
12. ბაშარული, 1989: ბაშარული ზ., მესხეთმა უწყის, რას ნიშნავს „თურქობა“, გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 01.08.1989
13. ღია წერილი..., 1989: ღია წერილი ზურაბ ბაშარულს, გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 14.10.1989
14. გვარამაძე, 1989: გვარამაძე გრ., იმას რა დამავინწყებს, გაზ. „სოფლის ცხოვრება“, 09.12.1989
15. ვადაჭკორია, 1989: ვადაჭკორია ბ., დაუმთავრებელი საუბარი, გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 08.08.1989
16. მაჰმადიანი მესხების..., 1988: მაჰმადიანი მესხების და ინგილოების უფლებების აღდგენის და დაცვის ლიგის დეკლარაცია, გაზ. „სამშობლო“, №17, აგვისტო, 1988

Ucha Okropiridze

**Once again on the problem of “Turk Meskhs”**

Summary

Joining the Council of Europe in 1999, Georgia assumed the obligation to return the population called “Turk Meskhs”, expelled in 1944. According to the commitment, the repatriation process was to start in 2002 and end in 2011.

Due to problems in Georgia, in 2005 the Council of Europe adopted a new resolution that postponed repatriation until 2013. In 2007, the Parliament of Georgia adopted the law “On repatriation”, the implementation of which is practically impossible due to the artificial problems inherent in it. That is why the Turk Meskhs issue is one of the most difficult problems in the Georgian state space. At the same time, a significant part of society does not trust the issue of the return of the Turk Meskhs to Georgia, since they see it as yet another threat to the territorial integrity of Georgia. The modern population of Meskheta is especially against of the repatriation of the “Turk Meskhs”.

გიორგი ლალიაშვილი

**რამდენიმე შენიშვნა მანანა სანაძის მონოგრაფიაზე:  
„მეფე დარჩილი (ვახტანგ გორგასლის ვაჟი)  
და მისი ცხოვრების ამსახველი ქრონიკები“**

2021 წელს „საქართველოს უნივერსიტეტმა“ გამოსცა ამავე უნივერსიტეტის პრეზიდენტისა და პროფესორის, ისტორიკოს მანანა სანაძის მონოგრაფია. წინამდებარე წერილი, განსახილველი ნაშრომის გამოცემიდან მალევე, იმავე 2021 წელს დაიწერა. თუმცა, მის გამოქვეყნებაზე დიდხანს ვფიქრობდი. ყოყმანის მიზეზი პირველ რიგში იყო ის, რომ არ მინდოდა სამეცნიერო საზოგადოებაში წარმოვჩენილიყავი, როგორც ჩასაფრებული პოზიციის მქონე სუბიექტი. ასეთი აღქმის საფუძველს კი თვით ქვემოთ მოცემული კრიტიკა იძლევა. თუმცა, სხვაგვარად, ასე რომ ვთქვათ, რბილად დანერა იმ უხეშ შეცდომებზე, რაც განსახილველ ნაშრომშია წარმოდგენილი, ვფიქრობ შეუძლებელია. სხვათა შორის, სანამ გადავწყვეტი კრიტიკის გამოქვეყნებას, ავტორს გავაცანი ჩემი მოსაზრებები მის მიერ დაშვებულ ზოგიერთ უზუსტობაზე. მან ისინი არ მიიღო და მირჩია „წყაროებში კარგად ჩამეხედა“. მიყვები მის რჩევას, კიდევ ერთხელ გადავამოწმე ჩვენი საისტორიო მატრიანეები და სამეცნიერო ლიტერატურა, რამაც უფრო გამიძყარა აზრი, რომ საჭირო იყო კრიტიკული შენიშვნების გამოქვეყნება.

გარდა ამისა, ჩემთვის მიუღებელია ნაშრომის პათოსი და შესრულების მანერა – პრეტენზიულ და დაუსაბუთებელ განცხადებებზე, გადაუმონებელ მონაცემებზე დაყრდნობით თეორიების აგება, რასაც ავტორი ზოგჯერ კუროიზულ შეცდომებამდე მიჰყავს. ასე სამეცნიერო ნაშრომი არ იწერება! და, რაც არ უნდა ორიგინალური მიგნებები ჰქონდეს, მათ ღირებულებას ეჭვქვეშ აყენებს. თუ გადაჭარბებულია ჩემი უარყოფითი შეფასებები, ანდა რამდენად ობიექტურია ქვემოთ მოცემული კრიტიკა, ამის განსჯა მკითხველისთვის მიმინდვია.

მ. სანაძის ნაშრომის ძირითადი კონცეფცია მდგომარეობს შემდეგში: „ქართლის ცხოვრებისეული“ VIII ს-ში მოღვაწე მონამე არჩილი, ვახტანგ გორგასლის ვაჟი – იგივე დარჩილია. ავტორის აზრით, ლეონტი მროველმა ვახტანგ გორგასლის შვილების, დარჩილისა და მირის (მირდატის) ცხოვრება სტეფანოზ ერისმთავრის ვაჟების, მირისა და არჩილის ცხოვრებად გაიაზრა და ეს ყველაფერი არაბების შემოსევების ფონზე მოგვითხრო. შესაბამისად, ლეონტისთან გადმოცემული ამბები: მურვან ყრუს დასავლეთ საქართველოში ლაშქრობა, არგვეთელი მთავრების

დავით და კონსტანტინეს ნამება და სხვ. შეცდომით მოთხრობილია VIII ს-ის ისტორიულ ფონზე. რეალურად კი, ეს ამბები VI ს-ში მოხდა და არაბი დამპყრობლების ნაცვლად ზოროასტრი სპარსელები უნდა ვიგულისხმოთ. არაბების დასავლეთ საქართველოში ლაშქრობის ქვეშ კი სპარსეთ-ბიზანტიის ე.წ. „დიდი ომიანობა“ ეგრისში.

კონცეფცია, თავისთავად საინტერესო და ორიგინალურია. თუმცა, განსახილველ ნაშრომში ჩემი ყურადღება მიიპყრო, რიგ შემთხვევებში დაუსაბუთებელმა განცხადებებმა, ზოგჯერაც ფაქტობრივმა შეცდომებმა. ამდენად, წინამდებარე წერილის მიზანია არა მოცემული კონცეფციის კრიტიკა, არამედ, ყურადღების გამახვილება შემჩნეულ უზუსტობებსა თუ დაუსაბუთებელ განცხადებებზე.

ამ მიმართულებით ნაშრომში, პირველ რიგში, ყურადღებას იქცევს ისტორიულ-გეოგრაფიული ხასიათის უზუსტობანი, რომლებიც შეეხება ცალკეული ისტორიული პუნქტებისა თუ სავაჭრო გზების ლოკალიზაციას.

მაგალითად, ავტორი ერთმანეთთან აიგივებს ქ. თელავსა და „ქართლის ცხოვრებაში“ მოხსენიებულ პუნქტ „ტყე-ტბას“, იგი წერს: **„ტყე-ტბა კი, როგორც ცნობილია თელავის უძველესი სახელია“** [გვ. 118]. ახლა განვიხილოთ საკითხი, რამდენად მართებულია ავტორის ეს განცხადება? პირველ რიგში ვიტყვი, რომ თელავის ქალაქად წარმოქმნის საკითხისადმი მიძღვნილ სპეციალურ ლიტერატურაში<sup>1</sup> ამ აზრს ვერ ვხვდებით. თვით გეოგრაფიული პუნქტი „ტყე-ტბა“, ქართლის ცხოვრებაში სულ ორჯერ არის მოხსენიებული. ორივეჯერ, კავკასიელ ეთნარქთა შორის მამულების განაწილების კონტექსტში. კერძოდ, ლეონტი მროველი გვამცნობს, რომ:

**1. „ხოლო ჰეროსს მისცა ქუეყანა მტკუარისა ჩრდილოთ, მცირისა ალაზნისთავითგან ვიდრე ტყე-ტბამდე, რომელსა აწ ჰქვიან გულგულა“<sup>2</sup>**

**2. „ხოლო კახოსს მისცა კავკასიასა და კახეთის მთასა შორის, არაგვითგან ვიდრე ტყე-ტბამდე, რომელ არს საზღვარი ჰერეთისა“<sup>3</sup>**

ციტირებული წყაროდან ცხადია, რომ ერთი მხრივ „ტყე-ტბა“ ეთნოგრაფიული კახეთ-ჰერეთის სასაზღვრო პუნქტია, მეორე

<sup>1</sup> ც. ჩიკოძე, ქალაქი თელავი, ისტორიულ-არქეოლოგიური გამოკვლევა, თბ., 1979 წ.

<sup>2</sup> „ქართლის ცხოვრება“, (მთ. რედ. აკად. რ. მეტრეველი), თბ., 2008, გვ. 26

<sup>3</sup> „ქართლის ცხოვრება“, (მთ. რედ. აკად. რ. მეტრეველი), თბ., 2008, გვ. 29

მხრივ კი, ლეონტი მას გულგულასთან აიგივებს. მოტანილი თეზისი ტყე-ტბა – გულგულის იგივეობის შესახებ, „ქართლის ცხოვრების“ კიდევ ერთი პუნქტიდან დასტურდება: მათიანე, როდესაც მოგვითხრობს ადარნასე ბრმის ძმსწულების ჰერეთში დამკვიდრების შესახებ, აქაც წყარო სასაზღვრო პუნქტად ასახელებს გულგულას „...და დაემკვიდრნეს სამნივე იგი ძმანი ვიდრე გულგულამდის“.<sup>4</sup>

რაც შეეხება ტყე-ტბა-გულგულისა და თელავის იგივეობას, თელავი, როგორც ცნობილია, ქართულ წერილობით წყაროებში პირველად XI ს-ის ამბების თხრობასთან დაკავშირებით იხსენიება. კერძოდ, ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით, ის კახეთ-ჰერეთის გაერთიანებული სამეფოს ცენტრად აქცია კვირიკე III „დიდმა“.<sup>5</sup> თელავი ასევე იხსენიება „მატიანე ქართლისა“-ში<sup>6</sup> და ჟამთააღმწერელთან,<sup>7</sup> შესაბამისად XI და XIII სს-ის პოლიტიკური ამბების თხრობასთან დაკავშირებით. ხაზგასმით არის აღსანიშნავი, რომ დასახელებულ წყაროებში ტყე-ტბა – თელავის იგივეობა არ დასტურდება. აღარაფერს ვიტყვი XVIII-XIX სს ავტორთა ჩვენებებზე (პაპუნა ორბელიანი, დავით ბაგრატიონი, იოანე ბაგრატიონი და სხვ.),<sup>8</sup> რომლებიც შეეხება ქალაქის ისტორიის შესაბამის პერიოდს.

მითითებულ წყაროებში არსად გვხვდება „ტყე-ტბა“, იგივე გულგულა თელავის მნიშვნელობით (და პირიქით). აღსანიშნავია ისიც, რომ ლეონტი მროველი თავისი თხზულების იმ პუნქტებში, სადაც ტყე-ტბა-გულგულაზე მოგვითხრობს, საერთოდ არ ახსენებს თელავს. მას საიდან გამომდინარეობს დასკვნა, რომ ტყე-ტბა-გულგულა და თელავი ერთი და იგივე გეოგრაფიული პუნქტებია, გნებავთ „**ტყე-ტბა თელავის უძველესი სახელია**“? თუკი ეს მ. სანაძის სუბიექტური მოსაზრებაა, მაშინ ის გამაგრებული უნდა იყოს შესაბამისი არგუმენტებით და მკითხველისადმი ისე არ უნდა იყოს მიწოდებული, როგორც საყოველთაოდ ცნობილი ფაქტი.

რაც შეეხება ტყე-ტბა-გულგულის მდებარეობას, როგორც ზემოთ დავრწმუნდით ლეონტი მროველი მას კახეთ-ჰერეთის

<sup>4</sup> „ქართლის ცხოვრება“, (მთ. რედ. აკად. რ. მეტრეველი), თბ., 2008, გვ. 224

<sup>5</sup> ვახუშტი ბაგრატიონი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ ქართლის ცხოვრება (აკად. ს. ყაუხჩიშვილის რედ.), ტ. IV, თბ., 1973, გვ. 548

<sup>6</sup> „ქართლის ცხოვრება“, (მთ. რედ. აკად. რ. მეტრეველი), თბ., 2008, გვ. 194<sup>6</sup>

<sup>7</sup> „ქართლის ცხოვრება“, (მთ. რედ. აკად. რ. მეტრეველი), თბ., 2008, გვ. 717<sup>16</sup>, 718<sup>19</sup>

<sup>8</sup> გ. გამყრელიძე, დ. მინდორაშვილი, ზ. ბრაგვაძე, მ. კვაჭაძე, ქართლის ცხოვრების ტოპოარქეოლოგიური ლექსიკონი, თბ., 2013, გვ. 242. წყაროების მითითება იხ. იქვე

ეთნოგრაფიული საზღვრის კონტექსტში წარმოგვიდგენს. ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით ეს საზღვარი გადიოდა თურდოს ხევზე, სადაც მდებარეობდა „**გულგულა, რომელსა ეწოდა პირველ ტყეცბა**“.<sup>9</sup> თურდოს ხეობის ქვემო წელზე დღესაც არსებობს სოფელი გულგულა (რომელიც, რატომღაც განსახილველი ნაშრომის ავტორს თელავად წარმოუდგენია). საინტერესოა სოფელში შემონახული გადმოცემა, რომ მათი წინაპრები გადმოსახლებულნი არიან ამავე მდინარის სათავეებთან არსებული ადგილიდან, რომელსაც ადგილობრივები დღესაც „ნაქალაქარს“ უწოდებენ. ამ ტერიტორიაზე, 2018-2019 წწ. ვანარმოეთ სადაზვერვო არქეოლოგიური სამუშაოები, რომლის დროსაც აღმოჩნდა შუა საუკუნეთა ხანის ვრცელი ნამოსახლარები, ეკლესიები, საფორტიფიკაციო ნაგებობები. ამ სამუშაოთა შედეგები გამოქვეყნებულია<sup>10</sup> და გამოთქმულია მოსაზრება, რომ სწორედ ეს პუნქტი უნდა ყოფილიყო ლეონტი მროველთან მოხსენიებული „ტყეცბა“, **რომელსა აწ ჰქვიან გულგულა**. აღნიშნულს, თითქოს „ნაქალაქარის“ ტოპოგრაფიაც მიგვანიშნებს, ის შეფენილია ცივგომბორის ქედის ტყიან ფერდობებზე, იქვე პატარა უსახელო ტბაა....

იმისგან დამოუკიდებლად, გაზიარებული იქნება თუ არა ტყეცბის ჩემუელი ლოკალიზაცია, ფაქტი ერთია: თელავი და ტყეცბა-გულგულა სულ სხვადასხვა ისტორიულ-გეოგრაფიული პუნქტებია. ამდენად, მათი გაიგივება ფაქტობრივი შეცდომაა.

განსახილველ ნაშრომში ვხვდებით განცხადებებს ადრეშუა-საუკუნეების<sup>11</sup> კავკასიის სავაჭრო გზათა შესახებ. მ. სანაძე ავითარებს კონცეფციას, რომ V-VI ს-ში სამხრეთ კავკასიაში მიმდინარე მთელი რიგი სამხედრო-პოლიტიკური მოვლენები (მაგალითად: ვახტანგ გორგასლის მიერ კავკასიონის გადმოსასვლელების დაკავება-გაკონტროლება, სპარსეთ-ბიზანტიის ომი ეგრისში და სხვ), დაკავშირებული იყო „აბრეშუმის გზაზე“ კონტროლის დამყარების მცდელობასთან. სავაჭრო მაგისტრალების კონტროლი დიახვაც ყოველთვის იყო ამა თუ იმ სახელმწიფოს პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი განმსაზღვრელი. მაგრამ,

<sup>9</sup> ვახუშტი ბაგრატიონი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ ქართლის ცხოვრება (აკად. ს. ყაუხჩიშვილის რედ.), ტ. IV, თბ., 1973, გვ. 547

<sup>10</sup> გ. ლალიაშვილი, 2019 წელს „ნაქალაქარის“ ტერიტორიაზე წარმოებული არქეოლოგიური სამუშაოების ანგარიში. 2019 წ. წარმოებული არქეოლოგიური გათხრების ანგარიშების კრებული, თბ., 2020 წ.

<sup>11</sup> ამ პერიოდს, ავტორი დასავლური ისტორიოგრაფიის შესაბამისად გვიანანტიკურ ხანად მოიხსენიებს, თუმცა ამას ამჟამად არ აქვს გადაწყვეტი მნიშვნელობა.

ნაშრომში ჩემს ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ ავტორი არ იცნობს (ყოველ შემთხვევაში არ იყენებს) შესაბამის ისტორიულ-გეოგრაფიულ ლიტერატურას. უფრო მეტიც, ის თვითნებურად „ხაზავს“ ისეთ სავაჭრო გზებს, რომელთა შესახებაც დღემდე სპეციალურ ლიტერატურასა თუ წყაროებში არანაირი მონაცემი არ არსებობს. ამასთან, თავის მიერ შემოთავაზებულ ამა თუ იმ გზის ლოკალიზაციას, არანაირ არგუმენტაციას არ ურთავს. მაგალითად, ყოველგვარი წყაროს მითითებისა თუ არგუმენტის გარეშე ავტორი გვამცნობს, რომ ვახტანგ გორგასლის მიერ დაღესტნის მაღალმთიანი პროვინციების: ხუნძეთისა და წუქეთის დაკავების მიზანი იყო ჩრდილოეთ კავკასიიდან აბრეშუმის ქართლში გატარება [გვ. 24]. გორგასლის გარდაცვალების შემდეგ კი ავტორის სიტყვით: „სპარსეთმა მდ. სამურის სათავეებიდან ქართლის სიღრმისკენ მომავალი აბრეშუმის ნაკადი გადაკეტა“ [გვ. 25]. რა მტკიცებულება არსებობს (ან თუ არსებობს მითითებული უნდა ყოფილიყო), რომ მდ. სამურის სათავეებიდან სამხრეთ კავკასიის ბარში რაიმე სავაჭრო გზა გადმოდიოდა? ხუნძეთისა და წუქეთის ალაზნის ველთან დამაკავშირებელი გზები (მათგან პირველი მიუყვებოდა ჭარის, ხოლო მეორე ქურმუხის ხეობას) დიდი ხანია ცნობილია სამეცნიერო ლიტერატურაში.<sup>12</sup> თუმცა, ისინი დღემდე არსებული მონაცემების მიხედვით, ადგილობრივი – მთისა და ბარის დამაკავშირებელი გზები იყო. ყოველ შემთხვევაში არ არსებობს მოწმობა იმისა, რომ ამ ხეობების საშუალებით საქართველო ჩართული იყო ტრანსკავკასიურ, გლობალურ ვაჭრობაში. თუ კი ავტორი დაგვისაბუთებდა აღნიშნულ მოსაზრებას, ეს ახალი სიტყვა იქნებოდა საქართველოს ისტორიულ გეოგრაფიაში. თუმცა, ნაშრომის ამ პუნქტში, როგორც ზემოთ აღინიშნა, მხოლოდ მშრალი განცხადებაა მოცემული.

ავტორი ვრცლად ეხება ასევე ე.წ. „სოგდიანა-ეგრისის“ აბრეშუმის სავაჭრო გზის მარშრუტს, რომელიც შემდეგი სახით აქვს მოცემული: „ეს გზა ცენტრალურ აზიაში, სოგდიანაში იწყებოდა, ჩრდილოეთიდან უვლიდა კასპიის ზღვას და მიჰყვებოდა კავკასიონის ქედის ჩრდილო კალთებს. აქ ალანიიდან ეგრისისაკენ მიმავალ აბრეშუმს მდ. კოდორის სათავეებთან უღელტეხილებით კავკასიონის მთავარი ქედი უნდა გადაეკვეთა და ქალაქ ცხუმთან (დღევანდელი სოხუმი) შავი ზღვის სანაპიროზე დაშვებულიყო. ცხუმიდან სოგდიანას აბრეშუმი ამ მიზნისათვის ახლად აგებულ ციხე-ქალაქ პეტრაში ჩაჰქონდათ, საიდანაც ბიზანტიელები მას

<sup>12</sup> თ. პაპუაშვილი, ჰერეთის ისტორიის საკითხები, თბ., 1970, გვ.357-358

**საზღვაო გემებზე** (სახმელეთო გემი არსებობს? ხაზგასმა ჩემია – გ.ლ.) **დატვირთავდნენ და კონსტანტინოპოლისაკენ გაუყენებდნენ გზას**“ [გვ. 23-24].

ახლა გავარჩიოთ ციტირებული პუნქტი. პირველ რიგში თვალშისაცემია ის, რომ ამ მარშრუტის შემოთავაზებისას, ავტორი არანაირ წყაროსა თუ ლიტერატურას არ უთითებს. შესაბამისად გაურკვეველი რჩება რა მონაცემებზე დაყრდნობით არის მიღებული სავაჭრო გზის ეს ლოკალიზაცია. განსაკუთრებით საყურადღებოა მისი ბოლო მონაკვეთი – ცხუმი-პეტრა. ავტორის ლოგიკით გამოდის, რომ აბრეშუმს ჩაიტანდნენ სანავსადგურლ ქალაქ ცხუმში, შემდეგ კვლავ ზღვისპირა ციხე-ქალაქ პეტრაში, სადაც საქონელს „**საზღვაო გემებზე**“ დატვირთავდნენ და კონსტანტინოპოლში გაჰქონდათ. აქ იბადება კითხვა: რა აუცილებლობას წარმოადგენდა ისედაც ზღვისპირა ქალაქიდან (ცხუმი), რომელსაც მშვენიერი ნავსადგური ჰქონდა, ასევე მეორე ზღვისპირა პუნქტში (პეტრა) საქონლის გადაზიდვა იმ მიზნით, რომ ამ უკანასკნელიდან ზღვით გაეტანათ კონსტანტინეპოლში? ნაშრომში ეს საკითხი გაურკვეველი რჩება.<sup>13</sup> გარდა ამისა, უახლესი გამოკვლევები აჩვენებს, რომ პეტრას ნავსადგური საერთოდ არ ჰქონია!<sup>14</sup> შესაბამისად, მ. სანაძის ისედაც დაუსაბუთებელი მოსაზრება პეტრადან ზღვით აბრეშუმის გატანის შესახებ – დღის წესრიგიდან იხსნება.

გარდა ამისა, ნაშრომის განხილულ პუნქტში ჩემს ყურადღებას იპყრობს ისიც, რომ ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე საუბრისას, როგორებიც არის ტრანსკავკასიური აბრეშუმის სავაჭრო გზა და სპარსეთ-ბიზანტიის ომი, საერთოდ არ არის გამოყენებული თუ გათვალისწინებული შესაბამისი ლიტერატურა. რომ აღარაფერი ვთქვათ XX საუკუნის მდიდარ სამეცნიერო მემკვიდრეობაზე, არსებობს ახალი გამოკვლევები ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა: აბრეშუმის სავაჭრო გზები კავკასიაში, სპარსეთ-ბიზანტიის

<sup>13</sup> ცხუმიდან პეტრაში საქონლის გადაზიდვა მისი შემდგომი გატანის მიზნით, შეიძლება პეტრაში მჯდარი იოანე ციბეს მიერ დაწესებული მონოპოლიისათვის დაგვეკავშირებინა. საკითხის ამგვარი ახსნა ლოგიკურიც არის და შესაბამება კიდევ ციბეს საბაჟო პოლიტიკას (იხ. ქვემოთ). თუმცა, ავტორს არანაირი საბუთი არ მოაქვს ცხუმიდან პეტრაში აბრეშუმის გადაზიდვის (ისევე როგორც მთლიანად სოგდიანა-ეგრისის სავაჭრო მარშრუტის) შესახებ. ამასთან, არც თვლის საჭიროდ ახსნას საკითხი, თუ რა აუცილებლობას წარმოადგენდა ცხუმიდან პეტრაში აბრეშუმის გადაზიდვა მისი კონსტანტინოპოლში გატანის მიზნით.

<sup>14</sup> დ. მინდორაშვილი, არქეოლოგიური გათხრები პეტრა-ციხისძირში, ბათუმი 2021 წ. გვ. 47-51

ომი, ეგრისის სამეფოს ციხე-სიმაგრეები და მათი სამხედრო-პოლიტიკური თუ ეკონომიკური მნიშვნელობა რეგიონულ და გლობალურ კონტექსტში.<sup>15</sup> ავტორი რომ გაცნობოდა (ყოველ შემთხვევაში გამოეყენებინა) აღნიშნულ ლიტერატურას, იქნებ იქ ეპოვა კიდევ მისეული ზოგიერთი მოსაზრების სასარგებლო არგუმენტები.

ის, რომ მ. სანაძე არად აგდებს არც წერილობითი წყაროების ჩვენებებსა და არც სამეცნიერო ლიტერატურას, დასტურდება თუნდაც განცხადებიდან, რომ ვითომც ციხე-ქალაქი პეტრა ბიზანტიელებმა სოგდიანას აბრეშუმის გადასაზიდად ააგეს (იხ. ზემოთ, ციტირებული აბზაცი, ხაზგასმა). სამეცნიერო ლიტერატურას რომ თავი დავანებოთ, პირველწყარო – პროკოფი კესარიელი სრულიად გარკვევით მიუთითებს პეტრას დანიშნულეზაზე, ის აგებული იქნა ეგრისში ვაჭრობის გაკონტროლებისა და ბიზანტიური სავაჭრო მონოპოლიის დამყარების მიზნით: „და სძარცვავდა (იგულისხმება პეტრაში დამჯდარი იოანე ციხე. – გ.ლ.) ლაზთა ქონებას. ვაჭრებს უკვე ხომ ნება აღარ ჰქონდათ კოლხიდაში შეეტანათ მარილი და სხვა საქონელი, რაც ლაზები-სთვის აუცილებლად საჭიროა, არც აქედან შეეძლოთ რამე ეყიდინებინათ, არამედ მან შემოიღო ეგრეთწოდებული მონოპოლი და თვით გარდაიქცა მთავარ მენჭრილმანედ და მთელი ამ საგნებით ვაჭრობის ზედამდგომელად“.<sup>16</sup> შესაძლოა, იმ „სხვადასხვა საქონელში“ (როგორც პროკოფი წერს) აბრეშუმიც ყოფილიყო, მაგრამ, წყაროს ჩვენებაში არსად ჩანს ის, რომ პეტრა მაინცდამაინც სოგდიანას აბრეშუმით ვაჭრობისათვის იქნა აგებული (როგორც მ. სანაძე აცხადებს), რადგან ასეთ, აბრეშუმით ვაჭრობის დომინაციის შემთხვევაში, პროკოფი კესარიელი აუცილებლად აღნიშნავდა ამას (როგორც მაგ. მარილზე უსვამს ხაზს). ესეც არ იყოს, პეტრა-ციხისძირის ისტორიის კვლევა XIX საუკუნიდან დაიწყო და დღემდე მიმდინარეობს. მის ირგვლივ შექმნილ აურაცხელ ლიტერატურაში<sup>17</sup> ამ თვალსაზრისს არ ვხვდებით. აქ კვლავ იბადება კითხვა: რა მონაცემებზე დაყრდნობით არის

<sup>15</sup> მაგალითად იხ. ნ. მურღულია, ეგრისის სამეფოს გამაგრების სისტემა IV-VI საუკუნეებში (არქეოლოგიური მასალებისა და ისტორიული წყაროების მიხედვით), დისერტაცია არქეოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად. თბ., 2012 წ.; დ. ბრაუნდი, საქართველო ანტიკურ ხანაში, კოლხეთისა და ამიერკავკასიის იბერიის ისტორია ძვ.წ. 550-ახ.წ. 562, ბათუმი 2014 წ.; ე. ავდალიანი, საქართველო და აბრეშუმის სავაჭრო გზები (VI-XIII სს), თბ., 2019 წ.

<sup>16</sup> პროკოპი კესარიელი, გეორგიკა II, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა., თბ., 1965, გვ. 38-234

<sup>17</sup> დ. მინდორაშვილი, არქეოლოგიური გათხრები პეტრა-ციხისძირში, ბათუმი 2021 წ. სრული ბიბლიოგრაფია იხ. იქვე.

გაკეთებული ეს განცხადება? ამაზე, ნაშრომიდან ვერაფერს ვიგებთ.

გარდა აღნიშნული, რბილად რომ ვთქვათ, უზუსტობებისა, ნაშრომში ვხვდებით მთელ რიგ, ერთი შეხედვით არაარსებით, მაგრამ საერთო ჯამში ისეთ ფაქტობრივ შეცდომებს, რომლებიც ერთის მხრივ უარყოფითად მოქმედებს ნაშრომის ღირსებაზე, მეორე მხრივ კი სამომავლოდ შეიძლება დასაბამი გახდეს გარკვეული გაუგებრობებისა. მაგალითად:

**„მდ. სამურის სათავეებიდან შავ ზღვამდე ციხე-ქალაქების მთელი სისტემა ააგო ან გაამაგრა** (იგულისხმება ვახტანგ გორგასალი – გ.ლ.): **სორნაბუჯი, ჭერემი, უჯარმა, მცხეთა და არტანუჯი...**“ [გვ. 24]. მხოლოდ რუკაზე დახედვით საჭირო იმაში დასარწმუნებლად, რომ ჩამოთვლილთაგან არც ერთი ციხე-ქალაქი არ მდებარეობს სამურის სათავეებთან.

თელავის მუნიციპალიტეტის სოფ. გულგულასთან მდებარე ტაძარი, ნაშრომში მოხსენიებულია ხან „ნოტკორნად“ [გვ. 115], ხანაც „ნოტკორად“ [გვ. 118]. სინამდვილეში, ტაძარს ადგილობრივ ზეპირსიტყვიერებაში ეწოდება „ნატკორა“ და ასეა შესული სპეციალურ ლიტერა-ტურაშიც.<sup>18</sup> ნაშრომში საიდან გაჩნდა მის აღსანიშნავად, ზემოთ მოცემული დასახელებები? აღსანიშნავია ისიც, რომ ნაშრომში ასეთივე დასახელებებით არის მოხსენიებული თიანეთში, სოფ. ნადოკრასთან ახლოს მდებარე „არჩილის მონასტერიც“. ტოპონიმების ასეთი თვითნებური ინტერპრეტაცია საკითხში ნაკლებად ჩახედულ მკითხველს დააბნევს. ამასთან, ეს აღნიშვნები არც ასახავს თუნდ თიანეთში და თუნდ თელავთან მდებარე ძეგლების დასახელებებს.

იმავე თიანეთში მდებარე „არჩილის მონასტერს“, ავტორი ვახტანგ გორგასლის ვაჟის, დარჩილის საძვალედ მიიჩნევს [გვ. 116]. აღნიშნული სამონასტრო კომპლექსის უძველესი ნაგებობაა დარბაზული ეკლესია (მას ქვემოთ კიდევ დავუბრუნდები), რომელიც VIII ს-ით არის დათარიღებული.<sup>19</sup> ამ ფონზე, ალოგიკური ხომ არ არის ხსენებული ეკლესიის მიჩნევა VI ს-ის მოღვაწის (ვახტანგ გორგასლის ვაჟის) საძვალედ? ან სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, როგორ უნდა ყოფილიყო დაკრძალული VI ს-ის მოღვაწე VIII ს-ის ეკლესიაში? თუ ავტორს მიაჩნია, რომ დარჩილი ამ ეკლესიაშია დაკრძალული, მაშინ სულ მცირე უნდა დაესვა

<sup>18</sup> საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ. I-II, თბ., 2015 წ. ბიბლიოგრაფია იხ. იქვე.

<sup>19</sup> საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ. II, თბ., 2004 წ. გვ. 394, ლიტ. იხ. იქვე.

საკითხი ამ ეკლესიის შემდგომი კვლევისა და გადათარიღების საჭიროებაზე. უნდა აღინიშნოს, რომ არჩილის საძვალედ მიჩნეული ეკლესიის VIII ს-ით დათარიღება,<sup>20</sup> ძირითადად მაინც იმ ქართულ საისტორიო ტრადიციას ეფუძნება, რომლის მიხედვითაც სტეფანოზ ერისთავის ვაჟის – არჩილ მეფის საფლავი ამ ეკლესიაშია.<sup>21</sup> აქედან გამომდინარე, შესაძლოა მისი გადათარიღების საკითხიც თავისთავად დაისვას და ავტორს, აღნიშნულზე რომ გაემახვილებინა ყურადღება, ეს დეტალი მის დებულებას მეტ დამაჯერებლობას შესძენდა.

იმავე არჩილ მეფის (მ. სანაძის მიხედვით დარჩილის) სამარხზე მსჯელობისას, კიდევ უფრო კურიოზულ განცხადებას ვხვდებით ნაშრომში. 116-ე გვერდზე მოცემულია ფოტო, რომელზეც ვხედავთ სიონთგორის (იგივე „არჩილის მონასტრის“) კომპლექსის ეზოში მდგარ ერთსართულიან, გუბათოვანი გადახურვის მქონე სწორკუთხა ნაგებობას. ფოტოს ანოტაციაში ვკითხულობთ: **„ნოტკორის ეკლესიის აკლდამა, რომელშიც მეფე დარჩილია დაკრძალული“**. რეალურად, ხსენებული ნაგებობა გვიან შუა საუკუნეებს განეკუთვნება და განსაზღვრულია მარნად. ამის ნათელი დადასტურებაა მის ინტერიერში ქვევრებისა და სანახლის არსებობა.<sup>22</sup> სრულიად გაუგებარია რა მონაცემებზე დაყრდნობით აცხადებს ავტორი მას აკლდამად?! ჯერ კიდევ პ. უვაროვას აღწერით, მეფე არჩილის (დარჩილის) სამარხი მდებარეობდა კომპლექსში შემავალი დარბაზული ეკლესიის ინტერიერში და ეს ცნობა მ. სანაძეს მოცემულიც აქვს განსახილველ ნაშრომში [გვ. 118]. ამრიგად, ნაშრომის ერთ გვერდზე ავტორი გვამცნობს, რომ დარჩილი დაკრძალულია სიონთგორის კომპლექსის მარანში [გვ. 116], ხოლო, მეორე გვერდზე [გვ. 118], პ. უვაროვას ცნობაზე დაყრდნობით წერს, რომ იგივე პიროვნების სამარხი დარბაზულ ეკლესიაშია.

იმავე არჩილის მონასტრის შესახებ ავტორი გვამცნობს, რომ: **„XX ს-ის მეორე ნახევარში გარკვეული დაზვევითი გათხრები აქ აწარმოეს ბ. ჯორბენაძემ და რ. რამიშვილმა.....“** [გვ. 118]. არქეოლოგიურ ლიტერატურაში არსებული მონაცემების მიხედვით, ხსენებულ მონასტერში არანაირი გათხრები არ ყოფილა.

<sup>20</sup> ბ. ჯორბენაძე, სოფელ სიონთგორის სამონასტრო კომპლექსი, „ძეგლის მეგობარი“ №57, თბ., 1981, გვ. 21

<sup>21</sup> ვახუშტი ბაგრატიონი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ ქართლის ცხოვრება (აკად. ს. ყაუხჩიშვილის რედ.), ტ. IV, თბ., 1973, გვ. 534

<sup>22</sup> საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ. II, თბ., 2004 წ. გვ. 395; ბ. ჯორბენაძე, სოფელ სიონთგორის სამონასტრო კომპლექსი, „ძეგლის მეგობარი“ №57, თბ., 1981, გვ. 22

გამოქვეყნებულია მხოლოდ ზედაპირული აღწერის მასალები და მოცემულია კომპლექსში შემავალ ნაგებობათა დათარიღება.<sup>23</sup> ნაშრომის აღნიშნულ გვერდზე, სადაც საუბარია ვითომც გათხრების შესახებ, მითითებულია არქეოლოგ ბ. ჯორბენაძის ნაშრომი [ჯორბენაძე 1981, გვ. 20-30], თუმცა, გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალში მას ვერ ვხვდებით. შესაბამისად, მკითხველისათვის გაურკვეველი რჩება დასახელებული არქეოლოგის რომელ ნაშრომს უთითებს ან რა გათხრებზე საუბრობს ავტორი.

ბოლოს დასკვნის სახით ვიტყვი, რომ ზოგადად, მთელ ნაშრომს ახასიათებს შემდეგი ტენდენცია: ავტორის მიერ გაცხადებული ესა თუ ის მოსაზრება გადმოცემულია, როგორც საყოველთაოდ ცნობილი და სავალდებულოდ მისაღები ფაქტი, ისე, რომ არ არის მოცემული ან დასაბუთება, ანდა შესაბამისი წყაროს/ლიტერატურის მითითება, საიდანაც შეიძლება მოტანილი იყოს ის კონკრეტული აზრი. ავტორი პრაქტიკულად არ სცნობს საისტორიო კვლევის ისეთ მეთოდებს, როგორებიცაა მოტანილი მოსაზრების დასაბუთება და მოცემული ცნობის გადამოწმებადობა. ამის გამო, ნაშრომში გადმოცემული მთელი რიგი კატეგორიული ხასიათის განცხადებები ფაქტობრივ მტკიცებულებებს არის მოკლებული და მათი სანდოობა კითხვის ნიშნის ქვეშ დგება.

<sup>23</sup> ბ. ჯორბენაძე, სოფელ სიონთგორის სამონასტრო კომპლექსი, „ძეგლის მეგობარი“ №57, თბ., 1981

მოგონებანი ◆ Memories ◆ Воспоминания

„ჩაის სახლი“ ანუ რამდენიმე სურათი  
გასული საუკუნის 70-80-იანი წლების სტუდენტური  
ცხოვრებიდან

ყველა უნივერსიტეტელს (და არა მარტო მათ) მშვენივრად მოეხსენება, თუ რა ადგილი ეკავა „ჩაის სახლს“ (რომელიც იმხანად გ. მელიქიშვილის ქუჩის, ი. ჭავჭავაძის გამზირის, კ. კეკელიძის ქუჩისა და ვარაზის ხევის კვეთაზე, სკვერთან მდებარეობდა და პირველი ღვინის ქარხნის გალავანს ესაზღვრებოდა), იმ პერიოდის ახალგაზრდების დიდი ნაწილის ცხოვრებაში.

აქ თავს იყრიდნენ ძირითადად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (და ასევე სხვა უმაღლესი სასწავლებლების) სტუდენტები და ლექციების შემდეგომ, ლექციათა შორის (ე.წ. „ფანჯარა“), თუ ბიბლიოთეკებში მეცადინეობით დაღლილნი, თავისუფალი დროის მონაკვეთებს ატარებდნენ; იყო ერთი სჯაბაასი, ქალაქური ჭორების მიეთ-მოეთი, შეხუმრება-ლექსთა ჭიდილი სიმღერა-გადაძახილების ფონზე, იგეგმებოდა ლაშქრობა-გასვლები და ალპინიადები...

მარტო ის რად ღირს, რომ 1991 წლის 31 მარტს ჩატარებული საყოველთაო რეფერენდუმის შედეგების საფუძველზე, საქართველოს უზენაესი საბჭოს საგანგებო საესიაზე მიღებულ 9 აპრილის „საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტს“, სამი „ჩაის სახლელი“ დეპუტატის – ნიკა კილასონიას, ემზარ გოგუაძის და დათო გოგაძის ხელმოწერებიც ამშვენებს (მაგრამ ეს უკვე ცალკე საუბრის თემაა...)

ასე რომ აქ, ჩაისთან ერთად, დულდა და გადმოდულდა იმ პერიოდის სტუდენტური ცხოვრება...

ამ სტუდენტური რიყარების დროიდან, ეს პოეტური „მარგალიტები“ შემოგვრჩა:

„TEA HOUSE“ or several pictures  
From student life in the 70-80s of the last century

All university students (and not only them) remember very well the place occupied by the „Tea House“ (which at that time was located at the intersection of G. Melikishvili streets, I. Chavchavadze avenue, K. Kekelidze and Varazi Khevi streets, near the square and the first fenced wineries), in the lives of a significant part of the youth of that period.

Here, together with tea, the student life of that period boiled and boiled away...

From the time of this student life, these poetic „pearls“ have survived:

## „ჩაის სახლის“ ამქარი

## I

ვაკეში რომ სახლია,  
კობტა, ფუძე მაგარი,  
თქვენ იკითხავთ, რა არი?  
როგორი და რაგვარი?

გეტყვით „ჩაის სახლია“  
კარგი ჩაი აქ არი,  
ჩაის გარდა აქა ზის  
„ჩაის სახლის“ ამქარი.

ამქარია განთქმული  
საკუთარი თილისმით,  
არ გეგონოთ უცნობნი,  
იცნობს მთელი თბილისი.  
მარტო „ბევრი“ რადა ღირს,  
ღმერთმა რომ გააჩინა,  
თეატრალურ ინსტიტუტს  
ხურდა არ შეარჩინა.

„ბევრი“ მარტო არ არის,  
გვერდს უმშვენებს „ბევრიხა“,  
თუ „ბევრიხა“ არ არის  
მაშინ „ბევრის“ დაერხა.  
ღმერთმა ქნას და ოჯახი  
შექმნილიყოს მაგარი,  
ღვინის სმაზე გადავა  
მაშინ „ჩაის“ მაყარი.

## II

„ჩაის სახლის“ ამქარი  
სიმღერაშიც ვარგია,  
ცალკ-ცალკე რომ ავილოთ  
მანაც ყველა კარგია,  
ისე უნდა დახვეტო  
ამუშავო ყანაში,  
„ჩაის სახლში“ მასწავლეს  
ასოებზე თამაში,  
ნუთუ არა ბეზრდებათ  
მთელი დღე რომ იქ ზიან,  
ნეტა ვინ დაუნესა  
მათ ასეთი მისია.

## III

„სპილო“, „ცხვირა“, „სმეტანა“  
სახელები ფერადი,  
პირველად რომ მივედი,  
იცით როგორ ველავდი?

„სპილოს“ კარგი ბანი აქვს,  
ჯანებშიაც გასნია.  
გუშინ ერთი „მოსკვიჩი“  
ცალი ხელით ასნია,  
პოეტესა „სმეტანა“  
ნიჭიერი ქალია,  
მაგრამ ჩაი უყვარს და  
ეს რა მისი ბრალია,  
გვერდით უზის ნინიკო,  
აბოლებენ სიგარეტს,  
რა სჯობია ამ ყოფას,  
აბა ამ დროს რა გალევს.

## III

ისე მანაც ხანდახან  
გარეთ თუ არ გამოხვალთ,  
მაგ ბოლში და მაგ კვამლში  
„ლორებივით“ გამოხვალთ,  
ამ ყოფაში, ამ სჯაში,  
მწვერვალამდე მიხვედით,  
საქართველოს თქვენი აქვს  
უდიდესი იმედი.

## IV

აქ მრავალნი არიან  
სად ჩამოვთვლი სახელებს,  
ბული არის ისეთი  
თვალს ვერ ვახელ, მახველებს,  
ზოგი არის არტისტი,  
ზოგი ფილოლოგია,  
ზოგი არის მთამსვლელი,  
ზოგიც გეოლოგია,  
მაგრამ ერთი რაც არის  
ყველას ერთი ლოგია  
ამ ლოგიას დავარქვი  
**უსაქმუროლოგია.**

## V

სხვებს ისევ თქვენ სჯობიხართ  
 თუმცა გზები გაიყო,  
 გაჩნდნენ კონკურენტები  
 „ქარვასლა“ და „მაიკო“.

## VI

მიდით თქვენი ჭირიმე,  
 არ დატოვოთ ეგ სახლი,  
 არ სჯობია „ჩაის სახლს“  
 ყავისა და წყლის სახლი.  
 ნურც დაბეროს სხვა სიომ,  
 ნურც დაბეროს სხვა ქარმა,  
 „იგულაოს“ ბოლომდე  
 „ჩაის სახლის“ ამქარმა.

სიყვარულით, „ღვინის სახლელი“ ვალალ გაუმარჯოშვილი  
 12. 04. 1986

### „ორი შავი და ერთი მწვანე“

ორი შავი და ერთი მწვანე - ყვირის ლამარა  
 და „ბევრი“ თავის მწვანე ქაფქაფა ჩაის პირში ისხამს,  
 „სპილო“ და „ცხვირა“ თავისთვის ღიღინებენ  
 და პირველი ხმის მოლოდინში აქეთ-იქით იყურებიან.  
 „ეგერ გოჩა მოდის“ – ამბობს პაატა და ინვევს სამღერად,  
 მაგრამ პირველი ტენორი მაინც აკლიათ.

სხვებიც აქ არიან:

ვასკა, თენგო, მიშკა

და რა ვიცი კიდევ ვინ!

სხედან და ელიან:

ელიან რას?! ვის?!

თვითონაც არ იციან,

მაგრამ მაინც ელიან!

საუბრობენ! საუბრობენ! საუბრობენ!

ვის ვინ უყვარს,

ვინ ვინ მიატოვა,

ვინ ვისთან დადის,

რა საინტერესოა?!

და გადის ასე ცხოვრება.

„ორი შავი და ერთი მწვანე“ - ყვირის ლამარა

და „სმეტანა“ თავის ორ შავს აიღებს.

დაჯდება, დალევს ნინოსთან ერთად ჩაის  
და დანერს ლექსს ცხოვრების ამოებაზე.  
და გავა ასე წლები!  
ლამარა კი იყვირებს - „ორი შავი და ერთი მწვანე“  
და იქნებიან სხვები და სხვები;  
ბლეფი კი ბლეფად დარჩება!

პატივისცემით „ღვინის სახლელი“ შარაფ ფეხზემკიდა  
07. 04. 1986

### პასუხი „ღვინის სახლელ“ შარაფ ფეხზემკიდას

შარაფ ფეხზემკიდავ  
გითანაგრძნობ, ვწუხდები,  
ალბათ „პახმელიაზე“  
დაგესიენ ბუზები.

მე კი ჩაის მივირთმევ  
დიდი სიამოვნებით,  
გულის გასაგრილებლად  
დილიდანვე მოვედი.

პოემიდან შევიტყვე  
ცოტა რამ გვაქვს საერთო,  
ზოგიერთი შენიშვნა  
შეცდომაა საერთოდ.

აბა ჩვენთან რას მოვა  
„ქარვასლა“ და „მაიკო“  
გორბაჩოვის კანონებს  
ცუდად იცნობ, ძამიკო.

ბლეფი ბლეფად დარჩება  
შენ სხვა რამე განუხებს,  
რა ვქნათ, ვერ გაექეცი  
თეთრი ლექსის მარწუხებს.

ვზივართ, ველით რაღაცას,  
გვიხარია ცხოვრება,  
ჩაი და მეგობარი  
არის ჩვენი ცხოვნება.

აქ არიან ქალებიც  
და ვინც ვისზე გაბრაზდა,  
გუშინ ვის რა ეწყინა,  
ყველაფერი გაბაზრდა.

რაღაც ხშირად გვიხსენებ  
შენც რა ჭირი გეტაკა,  
მეხოტბე და მელექსე  
ისედაც ჰყავს „სმეტანკას“.

სხვა სახელიც ბევრია –  
რიკრიკა და ყვარყვარე,  
ვინც შემოხვლათ სუყველას  
ჩაის სმას შეგაყვარებთ.

ირმა, მარი, ლამარა,  
კიდეე ერთიც დამისხით,  
ამ ცხოვრების თავდაღმართს  
უნდა შევხვდე ჩაის სმით.

აქტიური ჩაის მსმელი

### აქტიურ ჩაის მსმელს და ყველა „ჩაინიკს“ ანუ პასუხის პასუხი

პასუხი რომ მოგვეცით  
დიდი გრძნობით ვისმინეთ,  
თქვენი ლექსით დავტკბით და  
აბლა ჩვენც მოგვისმინეთ.

როგორც თქვენგან გავიგე,  
თეთრი ლექსი არ მოგწონთ,  
პასუხს რითმით მოგართმევთ,  
თუმცა მე სულ არ მომწონს.

დიდ მადლობას მოგიძღვნით, თანაგრძნობას რომ მიწვევთ, მაგრამ რომ არ მჭირდება, რა ვქნა, ტყუილად მიწვევთ.

მე მიტომაც დავირქვი „შარაფ ფეხზემკიდია“, რომ არაზე არ ვწუხვარ, ყველა ფეხზე მკიდია.

„სმეტანას“ რომ მეხოტბე არ აკლია, ეს ვიცით. ღმერთმა სულ მოუმრავლოს, რატომ გვკვილავთ, არ ვიცით?!

ბლეფი ბლეფად დარჩება, თქვენც თუ კარგად ეს იცით, ტყუილებით რომ იქცევთ თავებს, განა არ იცით?

ნუთუ მართლა გგონიათ, რომ რალაცას აკეთებთ? სულ ტყუილად იტყუებთ თავებს, არას აკეთებთ.

რაც ეხება „ბაზრობას“, ეგ ხომ უკვე გითხარით, სულ არ გვიკვირს „მაგ სახლში“ თქვენ ახალი გვითხარით.

„ზოგიერთის“ კანონებს ნუ გვიხსენებ თუ ძმა ხარ, მაგან არ დაგაშინოთ, ქართველები არა ხართ?

ჩვენ რომ გვერჩი ძმობილო, სულ სირცხვილით დავინვით, თუ გაქვთ რაიმეს თავი, მოდით, ჭიქა აგვინით.

ქართველებში ჩაის სმა, სხვა ქვეყნიდან მოსულა, იქნებ თქვენაც გგონიათ, რომ იქიდან მოსულხართ?

ჩაი სასარგებლოა, პატარამაც ეს იცის, მაგრამ ჩასხმა ამდენის თვით აზიამ არ იცის.

„ჩაის სახლში“ დასხდომა ჩვენც კი გვიყვარს ხანდახან, მაგრამ თქვენი სიარულს ვერ შევძლებდით მხარდამხარ.

ესეც უკვე გითხარით, მაინც კარგი ხალხი ხართ, სიტყვებს იმიტომ ვხარჯავთ, რომ ტყუილად დადისართ!

თუმც ჩვენ რა გვანუნუნებს, იყავით მანდ მარადფაშას, საქართველომ იკითხოს, თქვენით ცოცხლობს ბოლო ჟამს!

ჩვენ კი ჩვენთვის ვიქნებით, მეტს აღარ შეგანუხებთ, მივხედავთ ჩვენ „ღვინის სახლს“ თქვენით არა ვინუხებთ.

პატივისცემით და სიყვარულით  
შარაფ ფეხზემკიდია  
და მისი ამალა:  
ვალალ გაუმარჯოშვილი  
ჭირიმია ღვინისახლეელი  
არქიფო არყისმხდელი  
სქელო თამადათუხუცესი  
თავა მერიქიფე  
ბუზლუნა შგოთისთავი  
ბურდლუნა ღვინიაშვილი  
ბრეჟია ჩამომსხმელი

## ღვინის სახლელთა პასუხი ჩაის სახლელთა პასუხზე

1

გავიგე თქვენი პასუხი  
და თქვენი გულის ნადები,  
მე თქვენის ლექსის წამკითხველს  
მემატებიან დარდები.  
მეგონა ვარდებს დასთესდით,  
დაგითვისიათ ბარდები  
ღვინოს ვსვამთ და ღვინო გვათრობს,  
არაყიც არ გვაკლია,  
აბა ჩაის ხომ არ დავლევთ,  
ან ჩაიში რა ყრია.

თქვენ კი დამსხდარხართ,  
ჩაის სვამთ,  
საიდან მოხველთ, ვინა ხართ?  
ნუთუ არ იცით სამშობლო  
ღვინომ რომ შემოგვინახა.  
ღვინის მსმელთ ვერრა დაგვაკლო  
მარაბდამ, ვერცა გარნისმა,  
ქართველი მაშინ წამხდარა,  
როცა დაიწყო ჩაის სმა.

საკვირველია ჩაის მსმელთ  
როგორ გიფეთქავთ გულები,  
რალაც კანონებს ახსენებთ  
წინაპართ დაკარგულები,  
მგონიხართ მინად მოთხრილნი  
ქოთნებში გადარგულები.

2

რაც შეეხება „სმეტანას“  
რადგანაც უკვე გაბაზრდა,  
ამ ამბის სიგრძე-სიგანე  
გაზომა „ღვინის დარბაზმა“;  
ჩვენ გვიყვარს თქვენი „სმეტანა“,  
ის მაინც კარგი ქალია  
და თუ რაიმე შესცოდა,  
ისიც ჩაის სმის ბრალია.  
თორემ მას ღვინო რომ ესვა,  
მსწრაფლ მოვიდოდა ჭკუაზე,  
სიკეთის ნათლად მნახველი  
არ წავიდოდა უარზე.

გვინდოდა ღვინის სახლელებს  
 მოძმის ქორნილი გვენახა,  
 გვინდოდა ჩაის ბუჩქები  
 გადავექცია ვენახად,  
 გვინდოდა თქვენი მოყვრობა  
 სუყველას რომ დაენახა,  
 და თუ არ მოხდა, ამაშიც  
 დამნაშავენი თქვენა ხართ.

თქვენი არის „სმეტანიკა“,  
 თქვენ გიცოცხლოთ თავი მისი,  
 „არა შეჯდა მწყერი ხესა,  
 არა იყო გვარი მისი“.

დილიდან ჩაის სახლობა  
 თვალებში ჩაის უყურებს,  
 ამ ქვეყნად კიდეც ეგ სახლი  
 ჭკუას ბევრს გადაუბრუნებს.

## 3

ღვინის სახლელებს გვიხმობენ  
 ჩვენ არ გვაქვს არვის ვალები,  
 არაფერზე და არვისზე  
 ჩვენ არა გვრჩება თვალები,  
 მადლობა უფალს, ამქვეყნად  
 ჯერ არ გამწყდარან ქალები.

უკეთესობას მოენახავთ,  
 არ ავიშალოთ ნერვები,  
 ვინც ჩვენ სიყვარულს გაგვიგებს  
 ჩვენც თავზე შემოვევლებით.

ჩვენი პასუხის პასუხი  
 დანერილია მაისში,  
 ჩვენ გაგვიმარჯოს ღვინოში,  
 თქვენ გაგვიმარჯოთ ჩაიში.

## ჩაის სახლელებსა და ღვინის სახლელებს ქარვასლელებსაგან

გავიგეთ ომი გქონიათ,  
გქონიათ ლექსთა ჭიდილი,  
ტვინთა ჭყლეტაში დაგწვიათ  
მრავალი სანთელ – ფითილი.

ღმერთმა იცის, ხატმაც იცის,  
ჩვენ ჩარევა არ გვინდოდა,  
მაგრამ თურმე ჩვენს გვახსენეთ,  
რას გვერჩოდით, რა გინდოდათ.

რადგანაც ქვეყნად ცხოვრებამ  
დაიწყო უკვე აღმასვლა,  
ჭკვიანმა ხალხმა იფიქრა  
და აღადგინა ქარვასლა.

ქარვასლა ძველად განთქმული,  
დასაძრახისად არ თქმული,  
ქარვასლა სახლი მომავლის,  
ფიქრებით ცაში გართული.

ჩაის სახლელის არ იყოს,  
თქვენთან რა მოსატანი ვართ,  
ვამაყობთ ჩვენი სიმდიდრით,  
სხვებთან რა მოსაყვანი ვართ.

ქარვასლა არის სასახლე,  
თქვენები არის სახლები,  
რა „მასტის“ ხალხი ბრძანდებით  
ჩამოდით, დაგვენახენით.

„ღვინის სახლს“ გისაყვედურებთ,  
ვახ, ეს რა მოგინდომიათ;  
ჩაის სახლს დასცხეთ? შეეშვით,  
სანამ არ შემოგკვედომიათ.

ჩაის სახლელნო, გახსოვდეთ  
ვაკეს ჯობია ლოტკინი,  
გაფრთხილდით, ბევრი ჩაის სმით  
არ აიკიდოთ „ბოტკინი“.

ღვინის სახლელნო, იცოდეთ,  
თუ საშარაფოთ მოტოვდით,  
ჩვენ ვაჟკაცები გვეგონეთ,  
თავს ნუ წაიხდენთ ლოთობით.

ნიჭი კი გიჭრით ორივეს,  
 ლექსით მწვერვალი დაიპყრეთ,  
 ან საქართველოს რას ერჩით  
 რა გახდა, რით ვერ გაიყვეთ.

ორივემ საქმეს მიხედეთ,  
 ურთერთში მტრად ნუ იქნებით,  
 ერთმა დარეცხეთ ბოცები,  
 მეორემ ჩაინიკები.

ქარვასლას თავი ანებეთ,  
 გვმფარველობს დიდი სიონი,  
 ვიქნებით სანამ ამქვეყნად  
 დიან მტკვარი და რიონი.

ქარვა სლელი  
 ეგზავნებათ ღვინოელებს და  
 ჩაიელებს თითო ეგზემპლარად

## ღვინის სახლელთა პასუხი ქარვასლელებს

I

როდესაც სადღეგრძელებლად  
 გველოდნენ ტყე და ველები,  
 ზურგიდან მუხანათურად  
 დაგვესხნენ ქარვასლელები.

ჰვი, თქვენ, ქარვასლელებო,  
 გათანგულეხო ყავითა,  
 ეგ რა ფირმანი მოგვწერეთ,  
 საიდან რასა ხავითა.

ჩვენი მიიღეთ პასუხი,  
 არ დავიჩაგროთ თავია,  
 ღვინო ნასვამსა არწივსა  
 რას დაუდგება ყვაფია.

თქვენა გქონიათ სიმდიდრე,  
 სხვას არაფერი გარეთა,  
 მუხრან ბატონის ნაქონი  
 არ დაგეკარგოთ კარეტა.

გამიგონია, მანდ ადრე  
 იყიდებოდა მაუდი,  
 ქარვასლა არის დუქანი  
 და დუქნის ხალხიც დაუდის.

2

ღვინის სახლს ძველი ღვინო აქვს,  
ჩაის სახლს ჩაი „ბაიხის“,  
თქვენთან „სტრიპტიზსაც“ გახსნიან  
ქალი ცეკვაში გაიხდის.

გვწერდით ვიქნებით მანამდის  
სანამ მტკვარი და რიონი,  
სიმდიდრეც თავზე გადაგვდის,  
გვიცავსო დიდი სიონი.

მე გეტყვით, თქვენი შემყურე  
დაგუბდა მტკვარიც, რიონიც,  
წმინდა ადგილებს მოეშვით  
არ წაგვიბილწო სიონი.  
ლაზლანდარ უსაქმურთათვის  
ღიაა თქვენი კარები,  
თქვენთვის სულაც არ რეკავენ  
დიდი სიონის ზარები.

ისე დღეს საქართველოში  
საქმე კი არის საზაროდ,  
„ქარვასლა“, „მაიკოებში“  
ხალხი მომრავლდა მაზალო.

3

ნეტა, ერთს მაინც თუ ესმის,  
მანდ რა გაქვთ გამოფენილი,  
ჭორით და უაზრობებით  
თავი გაქვთ გამოტენილი.

ჩვენ გავეხუმრეთ ჩაის სახლს  
და ისევ მოვეფერებით,  
ჩაის სახლსა და ღვინის სახლს  
შორს ქარვასლელთა ხელები.

შაირის მოსახატავად  
ვერ გირჩევიათ ფერები,  
ღვინის სახლსა და ჩაის სახლს  
ვერ მისწვდნენ თქვენი მდევრები.

მე არაკს გეტყვით ძველებურს,  
სიტყვას არ გიგდებთ ბანზედა,  
კამეჩთან მოჭიდავე ხარს  
რქები არ შერჩა თავზედა.

მკითხაობით ხართ გართულნი,  
მე მგონი არც მანდ ვარგისხართ,  
პირში სიგარეტგაჩრილნი  
წალმა-უკულმა დადიხართ.

## 4

სხვას აღარაფერს არ გეტყვით,  
არა ხართ ლექსის ღირსნია,  
მაღონებს თქვენი ყურება,  
ღვინოც კი ველარ მისვია.

გისურვებთ გამოსწორებას,  
არ ვიყო დახანებული,  
თქვენგან სიკეთის გამგონე,  
ვდიოდე გახარებული.

ღვინის სახლელი  
ვალალ გაუმარჯოშვილი  
15. 05. 86

## ჩაის სახლელ ბიჭებს

## I

მე არ გიცნობდით, გაგიცანთ,  
ვიცინი, აღარ ვსტირი მე,  
კაი ვაჟკაცნი ყოფილხართ,  
დაგლოცავთ, თქვენი ჭირიმე.

თქვენმა ნიჭმა და სიმღერამ  
ვარდი ახარა მდელიში,  
თქვენი გაგების კაცობას  
ეხაროს საქართველოში.

კაი ბიჭების შემყურეს  
გული იმედით მერთობა,  
არ ვიქნეთ დაკარგულები,  
ქართველთ გვექონოდეს ერთობა.

სული გვეყოლოდეს კეთილი,  
სამშობლო – თავისუფალი,  
ქვეყნად სიმართლით თუ ვივლით  
მაღლით დაგვლოცავს უფალი.

ნუ შეგვაშინებს ცხოვრება,  
ვხედავთ, ეს არის, რაც არის,  
მტერს გულში ტყვია ვაგემოთ,  
მოშურნეს – თვალში ნაცარი.

2

სადაც თქვენ გსურდეთ  
 იქ იყავთ,  
 მღვდელი იცნობა ჭილოფში,  
 თქვენ თუ ჩაი გსურთ  
 ჩაი სვით,  
 ჩვენ ღვინოს დავლევთ ჩრდილოში.

მართალს გეტყოდით ორივეს,  
 ერთი გვაქ საკეთებელი,  
 არა გეჩვენია ქადილი,  
 ჩუმია გამკეთებელი.

ვიციტ რაც არის საფიქრი,  
 უკვე არა ვართ ბავშვები,  
 თუ მოითხოვა მამულმა,  
 ბოლო წვეთამდე დაეშვრებით.

ნუ გენყინებათ კაფია,  
 გიყურებთ, თვალი ძმურია,  
 ნაღდ ქართველს ნაღდი ქართველის  
 სისხლი არასდროს სწყურია.

ჩვენ ცოტა არ გაგვიმართლა,  
 ნაღველი ვერ დავძალენით,  
 რამე ცუდი რომ არ გვექნა  
 ღვინის სმას დავეძალენით.

3

ჩვენი ქეიფის შემყურე,  
 გაიშლებიან ვარდები,  
 ვართ ვაჟკაცები ალაღნი,  
 მტერსაც კი შევუყვარდებით.

ჩვენ თქვენი გვინდა სიკეთე,  
 ბევრჯერ თქვენთან ვართ ფიქრებით,  
 ჩვენს ლამაზ საქართველოში  
 გვებაროს, სანამ ვიქნებით.

15. 05. 86

ღვინის სახლელთა სახელით  
 ვალალ გაუმარჯოშვილი

გამარჯობათ ბესო, დათო და ზურა  
ვიცი მომენტ კარგად იქნებით, მეც კარგადა ვარ. თბილისში ცხელა  
და საერთოდ არასაინტერესო გაგებაა. ვერავის ვერ ვხვდები, დავწერე  
ახალი „შედეგები“. გიგზავნით ხელნაწერს, დადექით და იცინეთ.

### ღვინის სახლელთა მეგობრებს

ღვინის სახლელნი მეგობრებს ვეძებთ,  
ნამდვილ მეგობრებს, გულით მეგობრებს,  
უკაცოდ კაცი, უგულოდ კაცი,  
სიკეთის იებს ვერასდროს მოკრეფს.

ღვინის სახლობამ ღვინო  
ვის არ დააღვინა,  
ამერიკაშიც ჩვენი კაცი გვყავს  
ტუტე ქვეინა.

მართალი არის, შორს არის,  
მაგრამ ჩვენ მალე მოველით,  
მას მეტსახელიც შევარქვით  
„ღვინტიკა ჩიკაგოელი“.

ჩვენ გვიყვარს ჩვენი ქვეინა,  
ცხრამთასიქითა ძამია,  
მაგრამ მანძილი ძმობისთვის  
დამერწმუნებით, წამია.

ჩვენ გვიყვარს ჩვენი პრისილაც,  
ჩვენთან გრძნობებით მოსული,  
მალე გვენახოს პრისილა,  
ქართველისაგან ორსული.

ახლა აქ გადმოვინაცვლოთ,  
(ჩიკაგოში ხომ გავტიეთ),  
მახსოვს კუპრა და საღალღო  
ჩვენ ქარვასლაში დავტიეთ.

ზაფხულში ღვინის სახლელებს  
თბილისში უჭირთ სუნთქვაი,  
ექსპედიციებს – „ჰელოუ“,  
ჩაის სახლელებს – „გუდბაი“.

ჩამოვალთ თბილისში სექტემბრის ჩრდილებში,  
სუფრების გაშლაში არ გვიყვარს ლაილა,  
ჩვენ ისევ გველიან ძველებურ ღიმილით  
„ფუმფო“ ფუმფულა და კანჭა „ტრულაილა“.

ჩვენ ისევ გველიან თბილისის ქუჩები,  
 ჩვენ ისევ გველიან ქართლი და კახეთი,  
 ჩვენ ისევ გველიან გაშლილი სუფრები,  
 ჰა, ღვინის სახლელნო, ფიქრში ნუ წახვედით!

გალმა-გამოღმა სხვა მეგობრები,  
 ღმერთისგან სიტკბოს მონალოცია,  
 ღვინის სახლელთა ჯანსაღ ერთობას  
 ფეხზე ადგომით დაგვილოცია.

ჩვენი სიმართლით ჩვენ გაგვიმარჯოს,  
 რა სჯობს, სიტკბოში თუ დავბერდებით,  
 ჩვენ გაგვიმარჯოს და კიდევ მასაც,  
 ვისაც ჩვენ კარგად გავახსენდებით.

### **ღვინის სახლელთა ისტორია, გეოგრაფია ანუ ღვინის სახლის აპოლოგია**

ღმერთო, დალოცე ღვინი სახლელნი  
 და დაუკმკვიდრე ყოფა მარადის,  
 ვაზის კულტი ხომ უკუნისიდან  
 უკუნისამდე ჩვენში გადადის.

ღვინის სახლელი ბიჭები  
 ვართ ალალები გულითა,  
 აქამდე მოველთ ნანახით  
 ჩვენ ბევრის დაკარგულითა.

ბევრჯერ დავთმეთ სიყვარული,  
 ვიცით, რაა მწუხარება.  
 ბევრჯერ ჭიქას ჩვენგან აწვდილს  
 თან ახლავდა მდუმარება.

და მაინც წელში ვსწორდებით,  
 ვხარობთ ურთერთის ნახვითა,  
 ვინც კაცობაში არ ვარგა,  
 გაგვიცხავთ მთელი ძრახვითა.

ღვინოს ვსვავთ, ღვინო გვაღალღებს,  
 ვიცით სიმღერა, მოლხენა  
 და ვისაც ჩვენი არ ესმის,  
 ჭირმა წაილოს, ოხერმა.

ვიცით სინათლის დალოცვა,  
 ვიცით წასულთა შენდობა,  
 ღვინის სახლელთა სიკეთეს  
 კაცი ბოლომდე ენდობა.

ჩვენ ჩვენი წილი გაგებით,  
კიდევ ვართ სხვაზე მეტია,  
ღვინის სახლელზე დალოცვა,  
ღმერთისგან გასამეტია.

ვიცით ურთერთის გატანა,  
ვართ ერთმანეთის ძმებია,  
და ჭირის ერთად ატანაც  
ცხოვრების გზაზე გვრგებია.

მე ვიცნობ ომარ ხაიამს  
და ლექსებს შეხიდ ბალხელის,  
მას გაუმარჯოს ვის გული  
აქვს ნაღდი ღვინის სახლელის.

თუმც ბევრჯერ წავიფორხილეთ,  
რალაცით ვერ ვიმარჯვენით,  
ეს ისევ ჩვენ არ ვინდომეთ,  
თორემ ჩვენ გავიმარჯვებდით.

და თუ რამეში დავმარცხდით,  
ჩვენ მაინც ჩვენი გვრჩენია,  
ღმერთი გვიყურებს დიდებით,  
ბოლო გზა მაინც ჩვენია.

ვართ ვაჟკაცები მკვიდრები,  
როგორიც ქვა, კლდე ფრიალო,  
დრო მოვა საქართველოში  
ჩვენ უნდა დავიგრიალოთ.

ჩვენ ჩვენსას მაინც გავიტანთ,  
სიმართლით დავილოცებით,  
ან გავანათებთ წყვდიადში,  
ან ერთად დავიხოცებით.

ქვეყნად სიკეთეს დავმოძღვრავთ  
და ხმლებსაც დავლლით კვეთებით,  
სამშობლოს საკურთხეველზე  
ჩირალდნებივით ვენთებით.

არა ვართ მარტო შთენილნი,  
ჩვენს სახელს ვარდი ეყარა,  
ჩვენა ვართ ქვეყნის გულში და  
ჩვენია მთელი ქვეყანა.

„ღვინის სახლელ“ ძმაკაცს  
„ღვინის სახლელისგან“

„ღვინის სახლელო“ გავიგე  
შენი ხმა, შენი ძახილი,  
არ გვინდა, არა გვჭირდება,  
არა გვჩვევია ქადილი.

ჩვენა რომა გვაქვს ურთერთის  
მეგობრობა და გატანა,  
სიყვარული და კაცობა,  
არ უნდა სიტყვებს მოტანა.

რა ვუყოთ, თუნდაც ხანდახან  
ბედი თუ გვაქცევს ზურგითა,  
ჩვენ მაინც ჩვენსას მივალწვეთ,  
ლელოს გავიტანთ ბურთითა.

ძმაკაცები ვართ ბოლომდის,  
ვინც რაც უნდა თქვას ენითა,  
„ღვინის სახლს“ არა შევარცხვენთ  
სხვასაც კარგს ბევრსა ველითა.

ზოგჯერ რომ სიყვარულშიაც  
წავაგეთ, ჩვენი ბრალია,  
მაინც მთავარი ის არის  
არავის შეგვრჩეს ვალაია.

ვიყოთ ბოლომდე კაცობით,  
ნურავინ გვძრახდეს გაგებით  
და თუ მაინც ცუდს იტყვიან,  
დავრჩეთ ჩვენივე გაგებით.

ღმერთს და ქალს ვეთაყვანებით,  
დოქი გვაქვს გვერდში მოდგმული,  
ქართულ მინაზე ბევრ ალაგს  
ფესვი ხომა გვაქვს გადგმული.

ქართველად დავიბადენით,  
ქართველად დავიხოცებით,  
არვის არაფერს შევარჩენთ,  
სანამ არ წარვიხოცებით.

### მოკითხვა დათოს და ბესოს დათოსა და პაატასგან

მივიღეთ თქვენი პასუხი,  
ლაზიკის ძველი მთიდანა.  
გვეგონა ტკბილი ბულბული  
გაგვესაუბრა ციდანა.

გავიგეთ კარგად ყოფილხართ,  
ნურცა გვენახეთ ცუდადა,  
ნურც მოხდეს, სუფრა გაშლილი  
გადაგვექციოს გუდათა.

მე და პაატა ერთად ვართ,  
დავდივართ ნაცნობ ბალშია\*  
სულელი დადის იმდენი  
კაცი არ გაცვლი ხახვშია.

იქ ასტახსონიც შემოგვხვდა,  
ვილაც რუსს გამოდებულა,  
ვახ, რა კარგ ბიჭად ვიცნობდით,  
ახლა სულ გალოთებულა.

„სპილო“ არ ხუმრობს, სპილუკა  
სიმღერით თავზე დაგვესხა,  
მოსკოვსაც არ დაეკითხა,  
„ფე-ერ-გე“-ს მოსცხო პაესტკა.

აქ ფაჩო ვნახე ქუჩაში  
ლილინით რომ მოდიოდა,  
ახლოს მივედი, ვაკოცე,  
არაყის სუნი სდიოდა.

მაყალსონს „ვაფშე“ ვერ ვხედავ,  
არ ვიცი ეგ რას გვიპირებს,  
ნეტავ ვიცოდე სად არის,  
ეგ ხომ არ გააციმბირეს?

სხვა, სხვამხრივ არა გვიშავსრა,  
ჭკუას არ ვილლით „ნიმფებით“,  
სხვა ამბებს შემდეგ გიამბობთ,  
ერთად რომ შევიკრიბებით.  
იცოდნენ, კარგად იცოდნენ,  
სოფელს არა ვართ მდგმურადა,  
ძმებს თბილისიდან გეხვევით  
სამეგრელოში ძმურადა.

ვალალ და ჭურუმი  
1986 წლის 15 ოქტომბერი

\* უნივერსიტეტის ბაღი

### ღვინის სახლელთა ჩივილი

ღვინის სახლელთა ერთობას,  
ბიჭები თავზე ვეველებით,  
მგონი თანდათან ვიშლებით,  
ლამის წამომსკდეს ცრემლები.

სად არის ფაჩო, დავკარგეთ  
ან მაყალსონი რა იქნა,  
ჩვენი დასხდომა საჯაროდ,  
მანც არა და არ იქნა.

მაგრამ ამაზე კი არა,  
სხვაზე იფიქრებს კაციო,  
„უცხო ენები“-ს კარებზე  
კუნტრუშობს ჩვენი ვაციო.

განა იმისთვის შევერთდით,  
რომ ქალებისთვის ვითიშოთ,  
დაფიქრდი ბესო, ძამიკო,  
ფრთხილად არ გაიპინტრიშო.

სხვაზე რა უნდა ვიდარდო,  
ფიქრი სხვას აღარ დარაჯობს,  
ყველა ჩვენ გზას რომ დავადგეთ  
რას იტყვით, ასე ხომ არ ჯობს?

ნუთუ ახლავე გახუნდა,  
ვახმე, რა ძნელად მეთმობა,  
ღვინის სახლელთა ძმობა და  
ღვინის სახლელთა ერთობა.

აბა, ჩვენ ვიცით, ბიჭებო,  
არც დაგვეკარგოს ფერიო,  
გაგვმრავლებოდეს მოკეთე,  
განყვეტილიყოს მტერიო.

და თუკი ერთხელ დაარსდა,  
არ მოშლილიყოს ბოლომდე,  
გვექონოდეს სული კაცური,  
სულ სიხარული გვექონოდეს.

1986  
დ. სანდოძე  
ვალალ